აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 12

23 სექტემბერი 2008 წელი ქ. ბათუმი

საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა სახელმძღვანელო ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 30-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 80-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

მუხლი 1. დამტკიცდეს საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა სახელმძღვანელო ინსტრუქცია დანართის შესაბამისად.

მუხლი 2. ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი გამოქვეყნებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 3. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე ა. მიქელაძე

კომისიის მდივანი ქ. ჯიქია

სარჩევი

თავი I. საუბნო საარჩევნო კომისიის შემადგენლობა 3
საუბნო საარჩევნო კომისიის უფლებამოსილების ვადა 3
საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირების უფლებამოსილება 3
თავი II. საუბნო საარჩევნო კომისიის სხდომა 4
საუბნო საარჩევნო კომისიის პირველი სხდომა 4
საუბნო საარჩევნო კომისიის სხდომების გამართვა 5
საუბნო საარჩევნო კომისიის სხდომის ოქმი 6
თავი III. საუბნო საარჩევნო კომისიის სარეგისტრაციო ჟურნალი 6
I. შემოსული დოკუმენტაცია 6
II. გასული დოკუმენტაცია 7
სარეგისტრაციო ჟურნალის დახურვა 7
თავი IV სამართლებრივი აქტები 8
საუბნო საარჩევნო კომისიის განკარგულება 8
საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის განკარგულება 8
თავი V. ამომრჩეველთა სიები 9
თავი VI. ამომრჩევლის ბარათი 11
თავი VII. საოლქო საარჩევნო კომისიისგან საარჩევნო დოკუმენტაციის და საარჩევნო ინვენტარის მიღება 12
თავი VIII. საარჩევნო უბნის მოწყობა 14
თავი IX. კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირები 15
თავი X. კენჭისყრამდე ჩასატარებელი პროცედურები 17
საარჩევნო უბნის გახსნა 17
ჩანაწერთა წიგნის გახსნა 17
წილისყრა 17
ამომრჩეველთა რაოდენობის გამოცხადება 19
მიღებული საარჩევნო ბიულეტენების და კონვერტების რაოდენობის გამოცხადება 19
საარჩევნო ყუთის დალუქვა 19
კომისიის წევრებისთვის მასალების გადაცემა 20
საკონტროლო ფურცლის შევსება 20
თავი XI. კენჭისყრის პროცესი 21
კენჭისყრაში მონაწილე ამომრჩეველთა აღრიცხვა 23
თავი XII. კენჭისყრის პროცესის განსაკუთრებული შემთხვევები 24
1) ამომრჩეველი ვერ მიიღებს კენჭისყრაში მონაწილეობას, თუ: 24
2) ამომრჩევლის რეგისტრაცია სპეციალურ სიაში 24
3) ამომრჩეველი ბიულეტენის შევსებისას საჭიროებს დახმარებას 24
4) ამომრჩეველს/კომისიის წევრს გაუფუჭდა საარჩევნო ბიულეტენი 25
5) კომისიის წევრის ფუნქციის დროებით გადაცემა 25
6) კენჭისყრის შეწყვეტა 25
7) საარჩევნო ყუთის მთლიანობის დარღვევა 25
8) კენჭისყრის დროზე ადრე დამთავრება 25
თავი XIII. გადასატანი საარჩევნო ყუთის საშუალებით ხმის მიცემა 26
თავი XIV. კენჭისყრის დღეს წესრიგის დაცვა კენჭისყრის შენობაში 26
თავი XV. საარჩევნო უბნის დახურვა 27
თავი XVI. სამხედრო ნაწილში გახსნილი საარჩევნო უბნის პროცედურები 27
თავი XVII. საარჩევნო ყუთის გახსნამდე ჩასატარებელი პროცედურები 30
თავი XVIII. საარჩევნო ყუთების გახსნა 32
თავი XIX. საარჩევნო ბიულეტენების დახარისხება, დათვლა და დალუქვა 34
თავი XX. კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის შევსება 36
თავი XXI. საარჩევნო დოკუმენტაციის გადაცემა 38
თავი XXII. კენჭისყრის დღის განცხადებები და საჩივრები 39
თავი XXIII. კომისიის წევრების უფლება-მოვალეობა 42
ამომრჩეველთა ნაკადის მომწესრიგებელი 42
ამომრჩეველთა რეგისტრატორი 43
საარჩევნო ყუთისა და კონვერტების ზედამხედველი კომისიის წევრი 44
გადასატანი საარჩევნო ყუთის თანმხლები 45
კომისიის თავმჯდომარის მოადგილე 47
საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანი 48
საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე 49
თავი XXIV. საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევისთვის დადგენილი პასუხისმგებლობა 52

თავი I. საუბნო საარჩევნო კომისიის შემადგენლობა

საუბნო საარჩევნო კომისია არის საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის დროებითი ტერიტორიული ორგანო, რომელიც თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე, უზრუნველყოფს არჩევნების კანონიერად ჩატარებას, საარჩევნო კანონმდებლობით დადგენილი კენჭისყრის პროცედურების მიმდინარეობას, ამომრჩეველთა, საარჩევნო სუბიექტთა, მათ წარმომადგენელთა და დამკვირვებელთა უფლებების დაცვას (საარჩევნო კოდექსი, მუხლი 38.2).

საუბნო საარჩევნო კომისია შედგება 13 წევრისგან. საუბნო საარჩევნო კომისიის 6 წევრს კონკურსის საფუძველზე ირჩევს საოლქო საარჩევნო კომისია, ხოლო 7 წევრს ნიშნავენ პარტიები (კანონი "უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ", მუხლი 31.4).

საარჩევნო კომისიის წევრი არ არის მისი დამნიშვნელი/ამრჩევი სუბიექტის წარმომადგენელი. იგი თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციას, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციას და მოქმედ კანონებს. მასზე ზემოქმედება, მის საქმიანობაში ჩარევა გადაწყვეტილების მიღებაზე ზეგავლენის მიზნით აკრძალულია და ისჯება კანონით (კანონი "უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ", მუხლი 23.3).

საუბნო საარჩევნო კომისიის უფლებამოსილების ვადა

საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის უფლებამოსილება იწყება კომისიის პირველი შეკრების დღეს და წყდება საოლქო საარჩევნო კომისიაში კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის დამტკიცებისთანავე (კანონი "უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ", მუხლი 24.3).

აკრძალულია საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის გამოწვევა კენჭისყრის დღემდე 15 დღით ადრე (კანონი "უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ", მუხლი 25.8).

საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირების უფლებამოსილება

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე (საარჩევნო კოდექსი, მუხლი 39.1):

- ასრულებს სრულ ადმინისტრაციულ ფუნქციებს საუბნო საარჩევნო კომისიაში;
- უძღვება საუბნო საარჩევნო კომისიის სხდომას;
- იღებს და ანაწილებს საუბნო საარჩევნო კომისიაში შეტანილ საარჩევნო საბუთებსა და საუბნო საარჩევნო კომისიის სახელზე შესულ კორესპონდენციას;
- პირადად აგებს პასუხს საარჩევნო ბიულეტენების, სპეციალური კონვერტების, კომისიის ბეჭდების, შემაჯამებელი ოქმების, საკონტროლო ფურცლისა და სხვა საარჩევნო დოკუმენტაციის შენახვისა და დანიშნულებისამებრ გაცემისთვის;
- საარჩევნო ადმინისტრაციის რეგლამენტის შესაბამისად დავალებას აძლევს თავმჯდომარის მოადგილეს, კომისიის მდივანსა და კომისიის სხვა წევრებს;
- კენჭისყრის დღეს, ორგანიზებას უწევს კომისიის წევრთა შორის ფუნქციათა წილისყრით განაწილებას;
- პასუხისმგებელია, კენჭისყრის დღეს, საარჩევნო უბნის შენობაში და მიმდებარე ტერიტორიაზე წესრიგის დაცვაზე;
- კენჭისყრის შედეგების შეჯამებისთანავე საოლქო საარჩევნო კომისიას გადასცემს ყველა საარჩევნო დოკუმენტაციას;
- ახორციელებს საარჩევნო კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე (საარჩევნო კოდექსი, მუხლი 39.2):

- ასრულებს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოვალეობას, თუ კომისიას არ ჰყავს თავმჯდომარე ან მას არ შეუძლია თავისი მოვალეობის შესრულება;
- საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის განკარგულებით ახორციელებს კომისიის თავმჯდომარის ცალკეულ უფლებამოსილებას (განკარგულებით ზუსტად უნდა განისაზღვროს მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლები და ვადა).

საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანი (საარჩევნო კოდექსი, მუხლი 39.3)**:**

- ამზადებს კომისიის განკარგულებათა პროექტებს;
- ახორციელებს კომისიაში საარჩევნო დოკუმენტაციის, განცხადებების, საჩივრების მიღებას, გაცემასა და აღრიცხვა-რეგისტრაციას;
- ვალდებულია აწარმოოს საუბნო საარჩევნო კომისიის სარეგისტრაციო ჟურნალი და კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნი;
- პასუხისმგებელია საჯარო ინფორმაციის გაცემაზე;
- ადგენს საარჩევნო კომისიის სხდომათა ოქმებს, მათ შორის, კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმს და თუ საჭიროა – შესწორების ოქმს;
- ახორციელებს საარჩევნო კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

თავი II. საუბნო საარჩევნო კომისიის სხდომა

საუბნო საარჩევნო კომისიის პირველი სხდომა

საუბნო საარჩევნო კომისიის პირველ სხდომას საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის, მოადგილისა და მდივნის არჩევის მიზნით იწვევს საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე კენჭისყრამდე არა უგვიანეს 34-ე დღისა (საარჩევნო კოდექსი, მუხლი 20.4).

სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის სრული შემადგენლობის უმრავლესობა (7 წევრი) (კანონი "უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ", მუხლი 26.6).

საუბნო საარჩევნო კომისიის პირველ სხდომას კომისიის თავმჯდომარის არჩევამდე თავმჯდომარეობს კომისიის უხუცესი წევრი (საარჩევნო კოდექსი, მუხლი 22^1.6). სხდომის თავმჯდომარე კომისიის მდივნის არჩევამდე აკეთებს კანდიდატურების კენჭისყრის შედეგების ჩანაწერებს.

თავმჯდომარის კანდიდატურის დასახელების უფლება აქვს საუბნო საარჩევნო კომისიის არანაკლებ ორ წევრს (საარჩევნო კოდექსი, მუხლი 22^1.2), კომისიის თავმჯდომარის მოადგილეობის კანდიდატის – კომისიის თავმჯდომარეს, ხოლო კომისიის მდივნობის კანდიდატის – კომისიის თავმჯდომარეს ან კომისიის არანაკლებ ორ წევრს (კანონი "უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ", მუხლი 27.2). სხდომის თავმჯდომარე კენჭისყრაზე აყენებს თავმჯდომარის/მოადგილის/მდივნის თითოეულ კანდიდატურას თანმიმდევრობით. საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, მოადგილე და მდივანი ირჩევა სახელობითი კენჭისყრით.

თავმჯდომარედ/თავმჯდომარის მოადგილედ/მდივნად არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატურა, რომელსაც მხარს დაუჭერს სრული შემადგენლობის უმრავლესობა. თუ კანდიდატი ვერ აირჩა, კომისიის წევრებს უფლება აქვთ თავიდან დაასახელონ კანდიდატურები, მაგრამ ერთი და იმავე კანდიდატურის წარდგენა შეიძლება მხოლოდ ორჯერ (კანონი "უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ", მუხლი 27.1, მუხლი 27.3).

საუბნო საარჩევნო კომისიამ უნდა მიიღოს განკარგულებები საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის/მოადგილის/მდივნის არჩევის შესახებ, რომელიც მიიღება კომისიის სრული შემადგენლობის უმრავლესობით (7 წევრი) (კანონი "უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ", მუხლი 27.1).

☝ თუ დადგენილ ვადაში ვერ აირჩა საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე/თავმჯდომარის მოადგილე/მდივანი, აღნიშნული თანამდებობის პირის მოვალეობას მის არჩევამდე ასრულებს კომისიის ის წევრი, რომელიც არჩევნებისას ყველაზე მეტ ხმას მიიღებს, ხოლო ხმათა თანაბრობის შემთხვევაში – მათგან წილისყრით განსაზღვრული პირი (კანონი "უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ", მუხლი 27.4).

საუბნო საარჩევნო კომისიამ სხდომაზე უნდა გადაწყვიტოს კომისიის მუშაობის

ორგანიზაციული საკითხები: კომისიის თავმჯდომარის წინადადებები საუბნო საარჩევნო კომისიის მუშაობის განაწილებისა და დავალების შესრულების შესახებ; აგრეთვე ყოველდღიური მუშაობის გრაფიკი.

საუბნო საარჩევნო კომისიის სხდომების გამართვა

საუბნო საარჩევნო კომისია განსაზღვრავს სხდომების პერიოდულობას. აუცილებლობის შემთხვევაში, კომისიის თავმჯდომარის ან მისი მოადგილის მოთხოვნით, მოიწვევა რიგგარეშე სხდომა (კანონი "უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ", მუხლი 26.4).

კომისიის მდივანმა საუბნო საარჩევნო კომისიაში თვალსაჩინო ადგილას უნდა გამოაკრას განცხადება სხდომის მოწვევის შესახებ, სხდომის ზუსტი დროისა და სავარაუდო დღის წესრიგის მითითებით. თავმჯდომარის მოადგილე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში, კომისიის მდივანი, პირადად არის პასუხისმგებელი სხდომის თარიღი და მისი დაწყების ზუსტი დრო შეატყობინოს კომისიის ყველა წევრს.

საუბნო საარჩევნო კომისიის სხდომა ღიაა (კანონი "უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ", მუხლი 69.1). საუბნო საარჩევნო კომისიის სხდომაზე დასწრების უფლება აქვთ:

- ✓ საუბნო, საოლქო და ცესკო/უსკო-ს წევრებსა და აპარატის თანამშრომლებს;
- ✓ საარჩევნო სუბიექტების თითო წარმომადგენელს;
- ✓ საერთაშორისო და ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციების თითო წარმომადგენელს;
- ✓ პრესისა და მასობრივი ინფორმაციის აკრედიტირებულ წარმომადგენლებს.

წესრიგის დარღვევისა და კომისიის მუშაობისათვის ხელის შეშლის შემთხვევაში, კომისიის თავმჯდომარეს უფლება აქვს წესრიგის დამრღვევი პირი გააძევოს სხდომის დარბაზიდან, რაც აღინიშნება სხდომის ოქმში (კანონი "უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ", მუხლი 69.1).

სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის სრული შემადგენლობის უმრავლესობა (კანონი "უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ", მუხლი 26.6).

კომისიის წევრები სხდომაზე დასწრებას ადასტურებენ დასწრების ფურცელზე ხელმოწერით (საუბნო საარჩევნო კომისიის რეგლამენტი, საარჩევნო კოდექსი, მუხლი 6.2).

სხდომას უძღვება კომისიის თავმჯდომარე ან მისი მოადგილე (კანონი "უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ", მუხლი 26.5). თუ საუბნო საარჩევნო კომისიას არ ჰყავს თავმჯდომარე და თავმჯდომარის მოადგილე, კომისიის სხდომას თავმჯდომარის ასარჩევად იწვევს და მის არჩევამდე თავმჯდომარეობს კომისიის მდივანი, ხოლო თუ კომისიას არც მდივანი ჰყავს, კომისიის სხდომას იწვევს და თავმჯდომარის არჩევამდე თავმჯდომარეობს კომისიის უხუცესი წევრი (საარჩევნო კოდექსი, მუხლი 22^1.6).

კომისიის სხდომის დღის წესრიგს ამზადებს კომისიის მდივანი. კომისიის წევრს უფლება აქვს სხდომის დღის წესრიგის დამტკიცებამდე მოითხოვოს დამატებითი საკითხის დღის წესრიგში შეტანა. დღის წესრიგში საკითხის დამატება წყდება კენჭისყრით (საუბნო საარჩევნო კომისიის რეგლამენტი, მუხლი 6.4 და 6.6).

კომისიის ყველა წევრს დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთან დაკავშირებით უფლება აქვს სიტყვით გამოვიდეს 2 წუთის განმავლობაში. იგივე საკითხთან დაკავშირებით მას უფლება აქვს მხოლოდ კომისიის თავმჯდომარის ნებართვით, დამატებით გამოვიდეს სიტყვით ერთი წუთის განმავლობაში. კომისიის წევრს, რომელიც არ ეთანხმება კომისიის გადაწყვეტილებას, უფლება აქვს წერილობით გამოთქვას განსხვავებული აზრი, რომელიც ერთვის ოქმს. ამასთან, განსხვავებული აზრის მქონე კომისიის წევრი ვალდებულია პატივი სცეს და დაემორჩილოს კომისიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს. მას არა აქვს უფლება თავისი ქმედებით ხელი შეუშალოს ამ გადაწყვეტილებათა აღსრულებას (საუბნო საარჩევნო კომისიის რეგლამენტი, მუხლი 7.6).

კომისიის სხდომაზე დასწრების უფლების მქონე პირები სხდომაზე სიტყვით გამოდიან სხდომის თავმჯდომარის თანხმობით კომისიის წევრების შემდეგ. გამოსვლათა ხანგრძლივობას განსაზღვრავს კომისია (საუბნო საარჩევნო კომისიის რეგლამენტი, მუხლი 6.11).

საუბნო საარჩევნო კომისიის სხდომის ოქმი

კომისიის სხდომებზე საკითხთა განხილვისა და გადაწყვეტილებათა მიღების მიმდინარეობა ფიქსირდება ოქმში. კომისიის მდივანი ოქმს აფორმებს სხდომის მომდევნო დღის 18 საათამდე (საარჩევნო კოდექსი, მუხლი 22.10, 22.11). სხდომის ოქმს ხელს აწერენ სხდომის თავმჯდომარე და კომისიის მდივანი (საუბნო საარჩევნო კომისიის რეგლამენტი, მუხლი 6.8 და 6.9).

საარჩევნო კომისიის წევრს, რომელიც არ ეთანხმება კომისიის გადაწყვეტილებას, უფლება აქვს წერილობით გამოთქვას განსხვავებული აზრი, რომელიც ერთვის ოქმს. ამასთან, განსხვავებული აზრის მქონე წევრი ვალდებულია პატივი სცეს და დაემორჩილოს კომისიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას და არ აქვს უფლება, რომ თავისი ქმედებით ხელი შეუშალოს ამ გადაწყვეტილების აღსრულებას (საუბნო საარჩევნო კომისიის რეგლამენტი, მუხლი 6.11).

ოქმები ფორმდება სხდომების მიმდინარეობის ჩანაწერის და სხვა მასალების საფუძველზე, რომლებიც მომზადდა სხდომებისთვის (მოხსენებების, გამოსვლების ტექსტები, განცხადებები, განკარგულების პროექტები, დღის წესრიგი, დამსწრეთა სია და სხვ.).

ოქმების ტექსტის შედგენისას გამოიყენება მესამე პირის მრავლობითი რიცხვი (მოისმინეს, აზრი გამოთქვეს, გადაწყვიტეს), გამომსვლელთა შინაარსი გადმოიცემა მესამე პირით მხოლობით რიცხვში.

ოქმის ტექსტი შედგება შესავალი და ძირითადი ნაწილებისაგან. შესავალ ნაწილში შეივსება შემდეგი რეკვიზიტები: თავმჯდომარე; მდივანი; ესწრებოდნენ; დღის წესრიგი.

ოქმის ძირითადი ნაწილი შედგება განაყოფებისაგან, რომლებიც შეესაბამება დღის წესრიგის პუნქტებს. თითოეული განაყოფის ტექსტი აიგება შემდეგი სქემის მიხედვით: მოისმინეს, აზრი გამოთქვეს, დაადგინეს (გადაწყვიტეს). მოხსენებებისა და გამოსვლების ძირითადი შინაარსი შეიტანება ოქმის ტექსტში. თუ მოხსენებებისა და გამოსვლების ტექსტები ერთვის ოქმს, ამ შემთხვევაში გამოიყენება ოქმის მოკლე ფორმა. კომისიის მიერ დამტკიცებული განკარგულება ერთვის ოქმს. განსხვავებული აზრი ოქმში ჩაიწერება ძირითადი ნაწილის შემდეგ.

ოქმები ინომრება რიგითი ნომრებით კალენდარული წლის ფარგლებში.

☝ განსაკუთრებულ შემთხვევას წარმოადგენს კენჭისყრის დღე, როდესაც მთელი საარჩევნო პროცესი განიხილება როგორც კომისიის სხდომა; შესაბამისად კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნი წარმოადგენს ერთგვარ კომისიის სხდომის ოქმს.

თავი III. საუბნო საარჩევნო კომისიის სარეგისტრაციო ჟურნალი

დოკუმენტბრუნვის მოწესრიგების და რეგისტრაციის მიზნით, საუბნო საარჩევნო კომისიაში წარმოებს სარეგისტრაციო ჟურნალი, რომელსაც საუბნო საარჩევნო კომისიას პირველი სხდომის დღეს გადასცემს საოლქო საარჩევნო კომისია დანომრილ, ზონარგაყრილ და ბეჭედდასმულ მდგომარეობაში.

სარეგისტრაციო ჟურნალი დაყოფილია ორ ნაწილად: შემოსული და გასული დოკუმენტაცია.

I. შემოსული დოკუმენტაცია

კომისიის მდივანი ვალდებულია დოკუმენტის/განცხადების შემოსვლისას დაარეგისტრიროს შემოსული დოკუმენტი. სარეგისტრაციო ჟურნალში მიეთითება დოკუმენტის რეგისტრაციის ნომერი: შემოსული დოკუმენტაცია კლასიფიცირდება ნომრით “01” და ინომრება შემოსვლის რიგითობით, უწყვეტი თანმიმდევრობით, მაგ. 01/01, 01/02, 01/03 ა.შ. სარეგისტრაციო ჟურნალში ასევე მიეთითება დოკუმენტის შემოსვლის თარიღი და დრო, განმცხადებელი ორგანიზაციის დასახელება, დოკუმენტის შინაარსი (რომელშიც ასევე მიეთითება ფურცლების რაოდენობა) და განმცხადებელი (დოკუმენტის შემომტანი) პირის ხელმოწერა.

დოკუმენტის მიღების დასტურად, კომისიის მდივანი განმცხადებელს გადასცემს ცნობას, რომელშიც მიეთითება განცხადების მიღების თარიღი და ზუსტი დრო, ასევე, ჟურნალში მისთვის მინიჭებული სარეგისტრაციო ნომერი. აღნიშნული ცნობა კომისიის

მდივანმა უნდა დაადასტუროს ხელმოწერით.

კომისიის მდივანი სარეგისტრაციო ჟურნალში რეგისტრირებულ ყველა დოკუმენტს წარუდგენს კომისიის თავმჯდომარეს, რომელიც საკუთარი რეზოლუციით ანაწილებს მათ კომისიის ცალკეულ წევრებზე და მიუთითებს შესრულების კონკრეტულ ვადებს. მითითება რეზოლუციის ფორმით შეიცავს შემსრულებლის გვარს, დავალების შინაარსს, შესრულების ვადას. რეზოლუცია უნდა იქნეს ხელმოწერილი და დათარიღებული.

კომისიის მდივანი ვალდებულია სარეგისტრაციო ჟურნალში ზუსტად მიუთითოს, თუ რომელ პირს დაევალა ამა თუ იმ დოკუმენტზე რეაგირება. სარეგისტრაციო ჟურნალში შეტანის შემდეგ, კომისიის მდივანი რეზოლუციების შესაბამისად გადასცემს დოკუმენტაციას შესაბამის შემსრულებელ პირებს. კომისიის თავმჯდომარე აკონტროლებს რეზოლუციებში მითითებული ვადების დაცვას და კომისიის წევრთა დროულ და ეფექტურ საქმიანობას. ამ მიზნით, იგი უფლებამოსილია ერთიდაიგივე დავალების შესრულება დააკისროს რამდენიმე წევრს ერთობლივად.

საუბნო საარჩევნო კომისია ვალდებულია განცხადების მიღებიდან 2 დღის ვადაში განიხილოს იგი და მიიღოს შესაბამისი განკარგულება (რეგლამენტი, საარჩევნო კოდექსი, მუხლი 8.8).

☝ გამონაკლისს წარმოადგენს კენჭისყრის დღე, როდესაც საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ დაუყოვნებლივ უნდა მოახდინოს განცხადებაზე რეაგირება და თუ დარღვევა დადასტურდა, აღმოფხვრას იგი.

II. გასული დოკუმენტაცია

საარჩევნო დოკუმენტაცია ხელმისაწვდომია ყველა პირისათვის. არჩევნების შესახებ ინფორმაციისა და საარჩევნო დოკუმენტაციის გაცემა სავალდებულოა მათი მოთხოვნიდან 2 დღის ვადაში. კომისიაში საჯარო ინფორმაციის გაცემასა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირია კომისიის მდივანი. აკრძალულია კომისიაში არსებული დოკუმენტის დედნის გაცემა, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა; ხოლო ასლების მოთხოვნის შემთხვევაში საუბნო საარჩევნო კომისიის მიერ შეიძლება დაწესდეს საფასური ასლების გადასაღებად საჭირო თანხის ოდენობით საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

კომისიის მდივანი ვალდებულია დოკუმენტის ასლის გაცემა დაარეგისტრიროს სარეგისტრაციო ჟურნალში, რომელშიც მიეთითება გასული დოკუმენტის რეგისტრაციის ნომერი: გასული დოკუმენტაცია კლასიფიცირდება ნომრით “02” და ინომრება გაცემის რიგითობით, უწყვეტი თანმიმდევრობით, მაგ. 02/01, 02/02, 02/03 ა.შ.; სარეგისტრაციო ჟურნალში ასევე მიეთითება დოკუმენტის გაცემის თარიღი და დრო, მიმღები ორგანიზაციის დასახელება, დოკუმენტის შინარსი (მაგ. მაჟორიტარული შემაჯამებელი ოქმი და ფურცლების რაოდენობა), დოკუმენტის მიმღები პირის (გამტანის) ხელმოწერა.

სარეგისტრაციო ჟურნალის დახურვა

სარეგისტრაციო ჟურნალი იხსნება ყოველდღე და იხურება ყოველი დღის 18 საათზე. კომისიის მდივანი ჟურნალში (შემოსული/გასული) უკანასკნელი ჩანაწერის შემდეგ აკეთებს წარწერას: „ჟურნალი დახურულია“, მიუთითებს თარიღს, ზუსტ დროს და მოაწერს ხელს.

კენჭისყრის დღეს სარეგისტრაციო ჟურნალი იხურება კომისიის მდივნისა და კომისიის წევრთა ხელმოწერებით და მოწმდება საუბნო საარჩევნო კომისიის ბეჭდით.

საუბნო საარჩევნო კომისიის განკარგულება

საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანი ამზადებს კომისიის განკარგულებათა პროექტს და გასაცნობად წარუდგენს კომისიის წევრებს.

კომისიის განკარგულება მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს სხდომაზე დამსწრეთა უმრავლესობა, მაგრამ არანაკლებ კომისიის სრული შემადგენლობის ერთი მესამედისა (5 წევრი) (კანონი "უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ", მუხლი 26.7, მუხლი 30.3). ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია სხდომის თავმჯდომარის ხმა (კანონი "უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ", მუხლი 26.8).

საუბნო საარჩევნო კომისიის განკარგულება უნდა გაფორმდეს მისი მიღებისთანავე, რომელიც ხელმოწერისთანავე (მაგრამ არა უგვიანეს მეორე დღისა) უნდა გამოიკრას საარჩევნო უბანში (მუხლი 3.4 (რეგლამენტი); საარჩევნო კოდექსი, მუხლი 38.3).

საუბნო საარჩევნო კომისიის განკარგულებას ხელს აწერენ კომისიის სხდომის თავმჯდომარე და კომისიის მდივანი (საარჩევნო კოდექსი, მუხლი 25.4).

საუბნო საარჩევნო კომისიის განკარგულება შეიძლება გამოიცეს:

- საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის და მდივნის თანამდებობაზე არჩევის შესახებ (მიიღება კომისიის სრული შემადგენლობის უმრავლესობით) (კანონი "უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ", მუხლი 27.1).
- საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის და მდივნის თანამდებობიდან ვადამდე გათავისუფლების შესახებ (კანონი "უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ", მუხლი 25.3).
- საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის კენჭისყრის შენობის დროებითი ჩაკეტვის/კენჭისყრის შეჩერების ან კენჭისყრის შენობის გახსნის/კენჭისყრის გაგრძელების შესახებ განკარგულების დადასტურების ან გაუქმების შესახებ (საარჩევნო კოდექსი, მუხლი 49.3);
- კენჭისყრის შეწყვეტის და საარჩევნო უბნის დახურვის შესახებ (საარჩევნო კოდექსი, მუხლი 49.3);
- საარჩევნო ყუთის ლუქის მთლიანობის დარღვევის შემთხვევაში (1) კენჭისყრის პროცესის შეჩერების, (2) საარჩევნო ყუთის ხელახლა დალუქვისა და (3) კენჭისყრის გაგრძელების შესახებ (საარჩევნო კოდექსი, მუხლი 54.6);
- კენჭისყრის შედეგების შეჯამების პროცედურის გაგრძელების შესახებ – თუ კენჭისყრის დასრულების შემდეგ საარჩევნო ყუთის ლუქის მთლიანობა დარღვეული აღმოჩნდა, მაგრამ საუბნო საარჩევნო კომისიამ მიიჩნია, რომ ამას არ გამოუწვევია საარჩევნო კოდექსის მოთხოვნათა დარღვევა (საარჩევნო კოდექსი, მუხლი 58.2);
- საოლქო საარჩევნო კომისიის წინაშე საარჩევნო უბანში კენჭისყრის შედეგების ბათილად ცნობის საკითხის დასმის შესახებ (მიიღება საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა სრული შემადგენლობის უმრავლესობით) (საარჩევნო კოდექსი, მუხლი 38.2.ე);
- ხმების დათვლის დროს საარჩევნო დოკუმენტაციის დალუქვისა და საოლქო საარჩევნო კომისიაში წარდგენის შესახებ (1) საარჩევნო ყუთის ლუქის მთლიანობის დარღვევის აღმოჩენის, (2) საარჩევნო ყუთში საკონტროლო ფურცლის არარსებობის ან განსხვავების გამოვლენის, გადასატან საარჩევნო ყუთში არსებული კონვერტების და სიის დანართში ხელმოწერების განსხვავებული რაოდენობის აღმოჩენის შემთხვევებში (საარჩევნო კოდექსი, მუხლი 57).

საუბნო საარჩევნო კომისიის განკარგულება უნდა გაფორმდეს მისი მიღებისთანავე, რომელიც ხელმოწერისთანავე (მაგრამ არა უგვიანეს მეორე დღისა) უნდა გამოიკრას საარჩევნო უბანში (საარჩევნო კოდექსი, მუხლი 3.4 (რეგლამენტი); საარჩევნო კოდექსი, მუხლი 38.3).

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის განკარგულება

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის სამართლებრივი აქტია საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის განკარგულება, რომელიც გამოიცემა:

- თავმჯდომარის მოადგილესთვის კომისიის თავმჯდომარის ცალკეული უფლებამოსილებების განხორციელების დავალების შესახებ (განკარგულებით ზუსტად განისაზღვრება მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლები და ვადა) (საარჩევნო კოდექსი, მუხლი 39.1.ე), საარჩევნო კოდექსი, მუხლი 39.2.ბ));
- კენჭისყრის შენობის დროებითი ჩაკეტვის/კენჭისყრის შეჩერების ან კენჭისყრის შენობის გახსნის/კენჭისყრის გაგრძელების შესახებ (საარჩევნო კოდექსი, მუხლი 49.3);

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის განკარგულებას ხელს აწერს კომისიის თავმჯდომარე (საარჩევნო კოდექსი, მუხლი 25.4).

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის განკარგულება უნდა გაფორმდეს მისი მიღებისთანავე, რომელიც ხელმოწერისთანავე (მაგრამ არა უგვიანეს მეორე დღისა) უნდა გამოიკრას საარჩევნო უბანში (საარჩევნო კოდექსი, მუხლი 3.4 (რეგლამენტი); საარჩევნო კოდექსი, მუხლი 38.3).

სამართლებრივი აქტების რეგისტრაცია

კომისიის მდივანი განკარგულებას ანიჭებს ნომერს (ინომრება მიღების რიგითობით, უწყვეტი თანმიმდევრობით კალენდარული წლის ფარგლებში, მაგ. №01/2008, №02/2008 ა.შ.) და ატარებს რეგისტრაციაში სარეგისტრაციო ჟურნალის "შემოსული დოკუმენტაციის" ნაწილში (სარეგისტრაციო ნომერი მიენიჭება ისევე, როგორც შემოსულ დოკუმენტაციას); სარეგისტრაციო ჟურნალში გრაფაში "შინაარსი" მიეთითება განკარგულების დასახელება და მისი ნომერი, განკარგულების მიღების თარიღი და დრო, დოკუმენტის დასახელება; მდივანი ხელს მოაწერს გრაფაში "შემომტანის ხელმოწერა".

თავი V. ამომრჩეველთა სიები

ამომრჩეველთა ერთიანი სია (კანონი "უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ", მუხლი 16))

საუბნო საარჩევნო კომისია არა უგვიანეს პირველი შეკრების დღისა საოლქო საარჩევნო კომისიისგან იღებს ამომრჩეველთა ერთიანი სიის 2 ეგზემპლარს: საარჩევნო კომისიისთვის და საჯარო ინფორმაციისთვის განკუთვნილ ვერსიებს. საუბნო საარჩევნო კომისიამ საჯარო ინფორმაციისთვის განკუთვნილი ვერსია, დაუყოვნებლივ უნდა გამოაკრას საუბნო საარჩევნო კომისიის შენობაში თვალსაჩინო ადგილას.

საარჩევნო რეგისტრაციის მქონე პარტიას/საარჩევნო ბლოკს, დამკვირვებელ ორგანიზაციას და ამომრჩეველს უფლება აქვთ, რომ გაეცნონ საუბნო საარჩევნო კომისიაში არსებულ ამომრჩეველთა სიების საჯარო ინფორმაციისთვის განკუთვნილ ვერსიას (ამომრჩეველს უფლება აქვს მოითხოვოს მხოლოდ მის და მისი ოჯახის წევრთა შესახებ არსებული ყველა მონაცემის გაცნობა და მათში ცვლილებების შეტანა) და უზუსტობის აღმოჩენის შემთხვევაში, არჩევნების დღემდე არა უგვიანეს მე-16 დღისა, მოითხოვონ ამომრჩეველთა მონაცემებსა და ამომრჩეველთა სიებში ცვლილების შეტანა.

საუბნო საარჩევნო კომისიამ სიებთან დაკავშირებული შემოსული განცხადებები დაუყოვნებლივ, მაგრამ არჩევნების დღემდე არა უგვიანეს მე-16 დღისა უნდა გადასცეს საოლქო საარჩევნო კომისიას, რომელიც განიხილავს შემოსულ განცხადებებს და იღებს გადაწყვეტილებას 2 დღის ვადაში. საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულება ამომრჩეველთა მონაცემებში/სიებში ცვლილების შეტანაზე უარის თქმის შესახებ საუბნო საარჩევნო კომისიამ განკარგულების გამოცემის მომდევნო დღიდან, მოთხოვნისთანავე, უნდა გადასცეს განმცხადებელს.

საუბნო საარჩევნო კომისიას არჩევნების დღემდე არა უგვიანეს მე-2 დღისა გადაეცემა დაზუსტებული სიების **საბოლოო** ვერსიის 2 ეგზემპლარი. საუბნო საარჩევნო კომისიამ საჯარო ინფორმაციისთვის განკუთვნილი ვერსია დაუყოვნებლივ უნდა გამოაკრას საუბნო საარჩევნო

კომისიის შენობაში თვალსაჩინო ადგილას.

სამხედრო შენაერთში მყოფ ამომრჩეველს შეუძლია ხმა მისცეს თავისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით (სამხედრო შენაერთის დისლოკაციის ნაცვლად), რისთვისაც ის მიმართავს საუბნო საარჩევნო კომისიას ამომრჩეველთა ერთიან სიაში შეყვანის მოთხოვნით არჩევნებამდე არა უგვიანეს 16 დღისა. საუბნო საარჩევნო კომისიამ აღნიშნული მოთხოვნა დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს საოლქო საარჩევნო კომისიას (კანონი "უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ", მუხლი 17.9).

ამომრჩეველთა სპეციალური სია (კანონი "უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ", მუხლი 17)

ამომრჩეველთა სპეციალურ სიას ადგენს და განკარგულებით ამტკიცებს საოლქო საარჩევნო კომისია კენჭისყრის დღემდე არა უგვიანეს მე-3 დღისა და დაუყოვნებლივ გადასცემს შესაბამის საუბნო საარჩევნო კომისიას.

საუბნო საარჩევნო კომისიისთვის გადაცემულ სპეციალურ სიაში შეიძლება შეყვანილ იქნეს:



- საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეები, რომლებიც საარჩევნო კომისიაში საქმიანობის გამო კენჭისყრის დღეს ხმას ვერ აძლევენ თავიანთ საარჩევნო უბანში;



- ამომრჩევლები, რომლებიც კენჭისყრის დღეს სამკურნალოდ წვანან საავადმყოფოში;
- ამომრჩევლები, რომლებიც იმყოფებიან წინასწარ პატიმრობაში;
- საქართველოს სამხედრო ძალებისა და შენაერთების ვადიანი ან საკონტრაქტო სამხედრო მოსამსახურეები;

- ამომრჩეველი, რომელიც ჩამოვიდა საზღვარგარეთიდან, გამოვიდა ციხიდან ან გამოეწერა საავადმყოფოდან (კანონი "უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ", მუხლი 16.11). *(მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამომრჩეველმა არჩევნების დღემდე არა უგვიანეს მე-16 დღისა ვერ მოასწრო მიემართა საოლქო (ან საუბნო) საარჩევნო კომისიისთვის სიაში ცვლილების შეტანის მიზნით).*

გამონაკლის შემთხვევაში შექმნილ საარჩევნო უბანს (საკონსულო, სამხედრო ნაწილი, საავადმყოფო, გემი ან სხვა) გადაეცემა მხოლოდ სპეციალური სია.

საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანმა სპეციალურ სიაში შეყვანილი ან სხვა უბნის სპეციალურ სიაში გადაყვანილი ამომრჩეველი უნდა მოძებნოს ამომრჩეველთა ერთიან სიაში (სამაგიდო და ასევე კედლის ეგზემპლარებში) და მისი გვარის გასწვრივ გრაფაში "ფაქტობრივი მდგომარეობა" გააკეთოს აღნიშვნა "კომისიის წევრია", "წინასწარ პატიმრობაშია", "სამხედრო სამსახურშია", "საავადმყოფოშია", "ნაოსნობაშია" ან "იმყოფება უცხოეთში"); ხოლო გრაფაში "კომისიის წევრის ხელმოწერა" საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ და მდივანმა უნდა მოაწერონ ხელი.

სპეციალურ სიაში შეყვანილი ამომრჩეველი მონაწილეობს:

- როგორც მაჟორიტარული, ისე პროპორციული სისტემით ჩატარებულ არჩევნებში, თუ იგი ადგილსამყოფელს იცვლის ერთი და იმავე მაჟორიტარული საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზე; ან
- მხოლოდ პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე ჩატარებულ არჩევნებში, თუ იგი ხმას აძლევს სხვა საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზე.

ამომრჩეველთა სიის დანართი (კანონი "უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ", მუხლი 18)

საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანი სარეგისტრაციო ჟურნალში აწარმოებს აღრიცხვას, თუ რომელიმე ამომრჩეველი წერილობითი ან სატელეფონო განცხადებით, კენჭისყრის დღემდე 2 დღით ადრე, საუბნო საარჩევნო კომისიას მიმართავს გადასატანი საარჩევნო ყუთის საშუალებით ხმის მიცემის მოთხოვნით. კომისიის მდივანი სარეგისტრაციო ჟურნალში უთითებს განცხადების/შეტყობინების შემოსვლის ზუსტ დროს/ტელეფონის ნომერს.

კომისიის მდივანმა სასურველია ამომრჩეველი გააფრთხილოს, რომ ის ხმას მისცემს გადასატანი საარჩევნო ყუთის საშუალებით და საარჩევნო უბანში გამოცხადების შემთხვევაში ხმას ვერ მისცემს. გადასატანი საარჩევნო ყუთით ხმის მიცემის მოთხოვნა შეუძლია:

- ამომრჩეველს, რომელსაც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არ შეუძლია კენჭისყრის შენობაში მისვლა;
- ამომრჩეველს, რომელსაც შეზღუდული შესაძლებლობის გამო არ შეუძლია კენჭისყრის შენობაში მისვლა (*მხოლოდ ის ამომრჩეველი, რომელსაც დამოუკიდებლად არ შეუძლია საარჩევნო უბანში მისვლა*);
- ამომრჩეველს, რომელიც იმყოფება საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე, მაგრამ ძნელად მისადგომ ადგილას.

საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანმა უნდა შეამოწმოს შემოსული განცხადებები: მიეკუთვნება თუ არა მოცემული ამომრჩეველი აღნიშნულ საარჩევნო უბანს (არის თუ არა შეყვანილი მოცემული საარჩევნო უბნის ერთიან სიაში) და მხოლოდ ამის შემდეგ შეიყვანოს ის სიის დანართში.

განცხადებების შეტანის ვადის ამოწურვის შემდეგ, საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანმა უნდა შეავსოს სიის დანართის ბლანკი შემოსული განცხადებების საფუძველზე; ასევე საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანმა სიის დანართში უნდა შეიყვანოს კენჭისყრის დღეს სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებაში მყოფი ამომრჩევლები. ამ მონაცემს საუბნო საარჩევნო კომისია იღებს საოლქო საარჩევნო კომისიისგან კენჭისყრის დღემდე არა უგვიანეს მე-2 დღისა (საარჩევნო კოდექსი, მუხლი 56.2).

საუბნო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებით სიის დანართში შეჰყავთ სპეციალურ სიაში შეყვანილი ის ამომრჩევლები, რომლებიც იმყოფებიან წინასწარ პატიმრობაში. ასევე ავტომატურად შეჰყავთ სპეციალურ სიაში შეყვანილი ის ამომრჩევლები, რომლებიც იმყოფებიან <u>სახელმწიფო საზღვარზე განლაგებულ</u> სამხედრო ნაწილში.

კომისიის მდივანს სიის დანართში შეაქვს ამომრჩევლის იგივე მონაცემები, რაც არის ერთიან სიაში, აღნიშნავს მის რიგით ნომერს ერთიან ან სპეციალურ სიაში, გრაფაში „ფაქტობრივი მდგომარეობა“ მიუთითებს ამომრჩევლის სიის დანართში შეყვანის მიზეზს და ამომრჩევლის ფაქტობრივ ადგილსამყოფელს (სახლის/საავადმყოფოს/ციხის/სამხედრო ნაწილის მისამართს); კომისიის მდივანი ერთიანი ან სპეციალური სიის გრაფაში „ფაქტობრივი მდგომარეობა“ აკეთებს აღნიშვნას „შეყვანილია დანართში“; ხოლო გრაფაში “კომისიის წევრის ხელმოწერა” საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ და მდივანმა უნდა მოაწერონ ხელი.

ამომრჩეველთა სიის დანართში გადაყვანილი ამომრჩევლის მონაცემები ერთიან ან სპეციალურ სიებში არ იშლება!

თავი VI. ამომრჩევლის ბარათი

საუბნო საარჩევნო კომისია ვალდებულია საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ და ამომრჩეველთა ერთიან სიაში შეყვანილ ყველა ამომრჩეველს კენჭისყრამდე არა უგვიანეს 2 დღისა გადასცეს ამომრჩევლის ბარათი (საარჩევნო კოდექსი, მუხლი 14).

საუბნო საარჩევნო კომისია საოლქო საარჩევნო კომისიიდან იღებს დაბეჭდილ ამომრჩეველთა ბარათებს, რომელშიც მითითებულია:

- კენჭისყრის თარიღი და დრო;
- სარჩევნო ოლქის ნომერი და დასახელება, საარჩევნო უბნის ნომერი;
- კენჭისყრის შენობის მისამართი, სართულისა და ოთახის ნომრები;
- ამომრჩევლის სახელი, გვარი, დაბადების თარიღი (დღე, თვე, წელი);

- ამომრჩევლის რეგისტრაციის ადგილი;
- ამომრჩევლის ნომერი ამომრჩეველთა სიაში;
- ამომრჩევლის მიერ ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ან სხვა მიზეზით კენჭისყრაში გადასატანი საარჩევნო ყუთის მეშვეობით მონაწილეობის მიღების თაობაზე განცხადების ან განაცხადის გაკეთების წესი, საუბნო საარჩევნო კომისიის ტელეფონის (ფაქსის) ნომრები და სხვა რეკვიზიტები.

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე და კომისიის მდივანი ადგენენ ამომრჩეველთა ბარათების დარიგების გეგმას და კომისიის წევრებს აცნობენ ბარათების დარიგების განრიგს.

ამომრჩევლის ბარათის მიუღებლობა არ წარმოადგენს კენჭისყრაში მონაწილეობის უფლების შეზღუდვის საფუძველს.

ამომრჩევლის ის ბარათები, რომლებიც ვერ დაურიგდა ამომრჩევლებს მითითებული მისამართების მიხედვით, კომისიის წევრებმა უნდა დაუბრუნონ კომისიის მდივანს.

თავი VII. საოლქო საარჩევნო კომისიისგან საარჩევნო დოკუმენტაციის და საარჩევნო ინვენტარის მიღება

საუბნო საარჩევნო კომისია, კენჭისყრისთვის მზადების და კენჭისყრის ჩასატარებლად, საოლქო საარჩევნო კომისიიდან იღებს საარჩევნო დოკუმენტაციას, საარჩევნო ინვენტარს და სხვა დამხმარე მასალას (საარჩევნო კოდექსი, მუხლი 34.2.ნ)):

- საკანონმდებლო მასალები: საარჩევნო კოდექსი, კანონი "უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ", საუბნო საარჩევნო კომისიის რეგლამენტი;
- საარჩევნო დოკუმენტაცია:
  - საუბნო საარჩევნო კომისიის სარეგისტრაციო ჟურნალი;
  - საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების მოწმობები;
  - ამომრჩეველთა ერთიანი სია;
  - ამომრჩეველთა სპეციალური სია;
  - ამომრჩეველთა სიის დანართის ბლანკი;
  - ამომრჩეველთა ბარათები;
  - საარჩევნო ბიულეტენების ბლოკნოტები;
  - სპეციალური კონვერტები;
  - კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნი;
  - საკონტროლო ფურცლები;
  - კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმები და "შესწორების ოქმის" ფორმები;
  - სადემონსტრაციო ოქმები;
- საარჩევნო ინვენტარი
  - ძირითადი და გადასატანი გამჭვირვალე საარჩევნო ყუთები;
  - საარჩევნო ყუთების ლუქები;
  - კენჭისყრის კაბინები და კაბინის ფარდა;
  - მარკირების სითხე და მარკირების შესამოწმებელი სპეციალური ხელსაწყო (ულტრაიისფერი ფარანი);
  - საუბნო საარჩევნო კომისიის ბეჭედი;
  - რეგისტრატორების ბეჭდები;
  - შტამპი "არჩევნებიდან მოხსნილია";
- სხვა საარჩევნო მასალა:
  - საარჩევნო სუბიექტების სია;
  - განცხადება, თუ საარჩევნო ბიულეტენში შეყვანილი რომელიმე საარჩევნო სუბიექტი აღარ მონაწილეობს არჩევნებში;

- საარჩევნო ბიულეტენის შევსების ინსტრუქცია;
- ამონარიდი კანონიდან, თუ რა შემთხვევაშია ბიულეტენი ბათილი;
- საარჩევნო უბნის აბრა.
- ასლგადამღები მანქანა;
- სამელნე ბალიშები;
- საარჩევნო დოკუმენტაციის შესაფუთი კონვერტები:
- ყუთი/ტომარა საარჩევნო დოკუმენტაციის/ინვენტარის ჩასაწყობად;

საარჩევნო ბიულეტენები და სპეციალური კონვერტები საოლქო საარჩევნო კომისიამ უნდა გადასცეს საუბნო საარჩევნო კომისიას კენჭისყრამდე არა უგვიანეს 12 საათისა (საარჩევნო კოდექსი, მუხლი 51.10).

მიღება-ჩაბარება

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, ან თავმჯდომარის განკარგულების საფუძველზე – თავმჯდომარის მოადგილე, არის საოლქო საარჩევნო კომისიისგან საარჩევნო დოკუმენტაციის მიღებაზე პასუხისმგებელი პირი. ხოლო საუბნო საარჩევნო კომისიაში საარჩევნო დოკუმენტაციის შენახვაზე პასუხისმგებელია საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე და კომისიის მდივანი (საარჩევნო კოდექსი, მუხლი 51.6).



საარჩევნო დოკუმენტაციის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებამდე მიმღები და გამცემი პირები ამოწმებენ ბიულეტენების რეკვიზიტების შესაბამისობას და ითვლიან გადასაცემი საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობას. ამის შემდეგ მონაცემები შეიტანება მიღება-ჩაბარების აქტში; ბიულეტენები ილუქება და ბიულეტენების შეკვრას ხელს აწერენ მიმღები და გამცემი პირები (საარჩევნო კოდექსი, მუხლი 51.10[1]).

მიღება-ჩაბარების აქტში მიეთითება საარჩევნო დოკუმენტაციის სახეობები და რაოდენობები. მიღება-ჩაბარების აქტს ხელს აწერენ საარჩევნო დოკუმენტაციის გამცემი და მიმღები პირები (საარჩევნო კოდექსი, მუხლი 51.10).

გახსოვდეთ

მიღება-ჩაბარების აქტის ორმხრივად გაფორმება აუცილებელია. აქტის ერთი ცალი უნდა დარჩეს საარჩევნო დოკუმენტაციის გადამცემ საოლქო საარჩევნო კომისიაში, ხოლო მეორე – საარჩევნო დოკუმენტაციის მიმღებ საუბნო საარჩევნო კომისიაში.

მიღება-ჩაბარების აქტი საჯარო ინფორმაციაა. ნებისმიერ დაინტერესებულ პირს უფლება აქვს გაეცნოს მიღება-ჩაბარების აქტში შეტანილ ინფორმაციას.

თავი VIII. საარჩევნო უბნის მოწყობა

საარჩევნო უბანში თვალსაჩინო ადგილას გამოკრული უნდა იყოს:

- ინფორმაცია კომისიის შემადგენლობის შესახებ;
- ინფორმაცია კომისიის ადგილსამყოფელისა და სამუშაო საათების შესახებ;
- ზუსტი მისამართი და საკონტაქტო ტელეფონის/ფაქსის ნომრები (თუ აქვს);
- ინფორმაცია საარჩევნო უბნის საზღვრებისა და საარჩევნო უბანში შემავალი ყველა საცხოვრებელი შენობა-ნაგებობის მისამართის მითითებით (საარჩევნო კოდექსი, მუხლი 16.2[1]);
- საარჩევნო ადმინისტრაციის ის სამართლებრივი აქტები, რომლებიც შეეხება ამ კომისიის საქმიანობას;
- კომისიისა და კომისიის თავმჯდომარის განკარგულებები;
- ამომრჩეველთა სიები, ამომრჩეველთა სიებში ცვლილებების შეტანის და უზუსტობების გასაჩივრების წესი და ვადები;
- არჩევნებში მონაწილე საარჩევნო სუბიექტების სია (პარტიული სიები, კანდიდატთა სიები);
- ხმის მიცემის ინსტრუქცია ანუ საარჩევნო ბიულეტენების შევსების წესი;
- ამონარიდი კანონიდან, თუ რა შემთხვევაშია ბიულეტენი ბათილი;
- განცხადება, თუ საარჩევნო ბიულეტენში შეყვანილი რომელიმე საარჩევნო სუბიექტი აღარ მონაწილეობს არჩევნებში;
- კენჭისყრის შედეგების სადემონსტრაციო ოქმები (ერთი მაჟორიტარული და ერთი პროპორციული სისტემის არჩევნების შედეგებისთვის).

კენჭისყრის პროცედურების ჩასატარებლად, საუბნო საარჩევნო კომისიის წევრები ვალდებულნი არიან კანონით დადგენილი წესების დაცვით, კენჭისყრამდე არა უგვიანეს ერთი დღისა მოაწყონ კენჭისყრის შენობა (თვალსაჩინოებისთვის იხილეთ კენჭისყრის პროცესის დიაგრამა). საუბნო საარჩევნო კომისიამ უნდა მოაწყოს (საარჩევნო კოდექსი, მუხლი 50.3):

- ამომრჩეველთა სარეგისტრაციო მაგიდები (ერთი სარეგისტრაციო მაგიდა ყოველ 300 ამომრჩეველზე (საარჩევნო კოდექსი, მუხლი 52.1.ბ);
- ფარული კენჭისყრის კაბინები: ერთი კაბინა ყოველ 500 ამომრჩეველზე. კაბინის ერთი მხარე ღია უნდა იყოს მისი სიმაღლის ნახევრამდე, ხოლო ზედა ნახევარი ფარდით უნდა იყოს დაფარული. ფარული კენჭისყრის კაბინაში უნდა იყოს საწერი კალამი; მასში გამოკრული უნდა იყოს ხმის მიცემის ინსტრუქცია, განცხადება, თუ რომელიმე საარჩევნო სუბიექტი აღარ მონაწილეობს არჩევნებში და ამონარიდი კანონიდან, თუ რა შემთხვევაშია ბიულეტენი ბათილი;
- სპეციალური კონვერტების მაგიდა (უნდა იდგეს საარჩევნო ყუთთან ახლოს).

კენჭისყრის შენობაში გამჭვირვალე საარჩევნო ყუთი თვალსაჩინო ადგილზე უნდა იყოს მოთავსებული ისე, რომ ამომრჩეველი დაუბრკოლებლად მივიდეს მასთან და კონვერტის ჩაშვების შემდეგ დაუყოვნებლივ დატოვოს საარჩევნო უბანი.

საუბნო საარჩევნო კომისია (ეტლით მოსარგებლე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ამომრჩევლების მიერ კენჭისყრის დღემდე არა უგვიანეს 25-ე დღის მიმართვის შემთხვევაში) კენჭისყრის დღემდე არა უგვიანეს მე-20 დღისა მიმართავს სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს, რომ მათ უზრუნველყონ კენჭისყრის ადგილის დროებითი, მარტივი ადაპტაცია (საარჩევნო კოდექსი, მუხლი 50.2).

გახსოვდეთ, რომ კენჭისყრის წინა დღის 24 საათამდე, საარჩევნო უბნის შენობაში უნდა ჩამოიხსნას საარჩევნო სუბიექტების საარჩევნო პროგრამები (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

თავი IX. კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირები

კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლება აქვთ (კანონი "უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ", მუხლი 69.2):

- ✓ ადგილობრივი ორგანიზაციის 1 დამკვირვებელს;
- ✓ საერთაშორისო ორგანიზაციის 2 დამკვირვებელს (დამატებით შესაძლოა ახლდეს თარჯიმანი);
- ✓ პრესისა და მასობრივი ინფორმაციის ერთი და იმავე საშუალების 3 წარმომადგენელს;
- ✓ საარჩევნო სუბიექტის 1 წარმომადგენელს;
- ✓ საქართველოს ცენტრალური, აჭარის ა/რ უმაღლესი, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებს;
- ✓ საქართველოს ცენტრალური, აჭარის ა/რ უმაღლესი და საოლქო საარჩევნო კომისიების წარმომადგენლებს.

კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე ყველა პირს (კენჭისყრის შენობაში ყოფნისას) აუცილებლად უნდა ეკეთოს მისი ვინაობის დამადასტურებელი სამკერდე ნიშანი (კანონი "უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ", მუხლი 69.3).

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს უფლება აქვს, უფლებამოსილების გადაჭარბების შემთხვევაში, კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირს მიუთითოს შეწყვიტოს აღნიშნული ქმედება, წინააღმდეგ შემთხვევაში, კომისიის თავმჯდომარეს შეუძლია კენჭისყრის ოთახში მოიწვიოს სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენელი და წესრიგის დამრღვევი გააძევოს კენჭისყრის შენობიდან (საარჩევნო კოდექსი, მუხლი 55.4, კანონი "უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ", მუხლი 69.1).

დამკვირვებლის უფლებების მთავარი პრინციპია "კენჭისყრის დღეს ნებისმიერ დროს იმყოფებოდეს კენჭისყრის შენობაში, შეუზღუდავად გადაადგილდეს საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე და ნებისმიერი ადგილიდან დააკვირდეს კენჭისყრის პროცესის ყველა ეტაპს". არავის აქვს იმის უფლება, რომ დამკვირვებელს მიუჩინოს და მიუთითოს დაკვირვების კონკრეტული ადგილი, გარდა იმ შემთხვევისა თუ დამკვირვებელი ხელს უშლის ამომრჩეველს საარჩევნო უფლებით სარგებლობისას ან ერევა საუბნო საარჩევნო კომისიის ფუნქციებში.

დამკვირვებლის უფლებები საარჩევნო პროცედურების თანმიმდევრობით:

- დამკვირვებელს უფლება აქვს დაესწროს და დააკვირდეს საარჩევნო კომისიის სხდომებს;
- დამკვირვებელს უფლება აქვს კენჭისყრის დღის ნებისმიერ დროს შეენაცვლოს თავისი წარმდგენი ორგანიზაციის სხვა რეგისტრირებულ წარმომადგენელს (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- დამკვირვებელს უფლება აქვს მიიღოს მონაწილეობა საარჩევნო ყუთების შემოწმებაში მათ დალუქვამდე და მათი გახსნის შემდეგ;
- თუ დამკვირვებელი მიიჩნევს, რომ ნაკადის მომწესრიგებელმა კომისიის წევრმა პროცედურის დაცვით არ შეამოწმა (ამომრჩეველის) მარკირება, მას უფლება აქვს მოსთხოვოს ნაკადის მომწესრიგებელს თავიდან განახორციელოს ეს პროცედურა (საარჩევნო კოდექსი, მუხლი 52^1.4.);
- დამკვირვებელს უფლება აქვს დააკვირდეს ამომრჩეველთა სიებში ამომრჩეველთა რეგისტრაციას, საარჩევნო ბიულეტენების დამოწმებას და გაცემას კენჭისყრის პროცესის ხელის შეუშლელად;
- თუ დამკვირვებელი მიიჩნევს, რომ რეგისტრატორმა პროცედურის დაცვით არ მოახდინა ამომრჩევლის მარკირება, მას უფლება აქვს მოსთხოვოს რეგისტრატორს თავიდან განახორციელოს ეს პროცედურა (საარჩევნო კოდექსი, მუხლი 52^1.4.);
- დამკვირვებელს უფლება აქვს მოსთხოვოს ამომრჩეველს კაბინაში შესვლამდე უჩვენოს, რამდენი საარჩევნო ბიულეტენი აქვს ხელში; ამომრჩეველი ვალდებულია დააკმაყოფილოს ეს მოთხოვნა (საარჩევნო კოდექსი, მუხლი 54.5);

- ✗ დამკვირვებელს არ აქვს უფლება დაესწროს ხმის მიცემას ფარული კენჭისყრის კაბინაში;
- ✗ დამკვირვებელს არ აქვს უფლება დაეხმაროს ამომრჩეველს ბიულეტენის შევსებაში (მას-მედიის წარმომადგენელს აქვს ამის უფლება) (საარჩევნო კოდექსი, მუხლი 54.3);
- ▪ დამკვირვებელს უფლება აქვს მოსთხოვოს ამომრჩეველს სპეციალურ კონვერტში ბიულეტენ(ებ)ის ჩადებამდე უჩვენოს, რამდენი საარჩევნო ბიულეტენი აქვს ხელში; ამომრჩეველი ვალდებულია დააკმაყოფილოს ეს მოთხოვნა (საარჩევნო კოდექსი, მუხლი 54.5, კანონი "უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ", მუხლი 72.1);
- ▪ დამკვირვებელს უფლება აქვს დააკვირდეს საარჩევნო ყუთს და საარჩევნო ყუთში სპეციალური კონვერტების ჩაყრას/მოთავსებას;
- ▪ დამკვირვებელს უფლება აქვს დააკვირდეს გადასატანი საარჩევნო ყუთის საშუალებით ხმის მიცემის პროცესს;
- ▪ დამკვირვებელს უფლება აქვს დაესწროს და დააკვირდეს ხმების დათვლას ისეთ პირობებში, რაც უზრუნველყოფს საარჩევნო ბიულეტენის დანახვას:
    - • დამკვირვებლებისგან წილისყრით გამოვლენილი 2 მეთვალყურე ადგილს იკავებს მთვლელების გვერდით: ერთი მეთვალყურე დგება მეორე მთვლელთან, ხოლო მეორე მეთვალყურე – მესამე მთვლელთან. ამ ორ მეთვალყურეს უფლება აქვთ დააკვირდნენ დათვლის მთელ პროცედურას, მიუთითონ მთვლელებს შეცდომაზე, მოითხოვონ შეცდომის გასწორება (საარჩევნო კოდექსი, მუხლი 59.2);
    - • კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირებს (რომლებსაც უფლება აქვთ დააკვირდნენ ხმების დათვლას მთვლელებიდან 1 მეტრის დაშორებით) უფლება აქვთ მიუთითონ მთვლელს ცალკე გადადოს ის ბიულეტენები, რომელთა ნამდვილობაც საეჭვოდ იქნა მიჩნეული. მთვლელი ვალდებულია დააკმაყოფილოს ეს მოთხოვნა (საარჩევნო კოდექსი, მუხლი 59.2).
- ▪ დამკვირვებელს უფლება აქვს დააკვირდეს საარჩევნო ყუთების გახსნას, საარჩევნო ბიულეტენების დათვლას და ოქმის შედგენას;
- ▪ დამკვირვებელს უფლება აქვს დაესწროს და დააკვირდეს საარჩევნო კომისიის მიერ კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმისა და სხვა დოკუმენტების შედგენას;
- ▪ დამკვირვებელს უფლება აქვს გაეცნოს საარჩევნო კომისიების მიერ შედგენილ კენჭისყრისა და არჩევნების შედეგების შემაჯამებელ ოქმს.
- ▪ დამკვირვებელს უფლება აქვს მიმართოს განცხადებით (საჩივრით) საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს ხმის მიცემისა და კენჭისყრის პროცედურასთან დაკავშირებულ საკითხებზე, რომლითაც კონკრეტული დარღვევის დაფიქსირების შემთხვევაში, მოითხოვს რეაგირებას;
- ▪ დამკვირვებელს უფლება აქვს გაასაჩივროს საუბნო საარჩევნო კომისიის ქმედება ზემდგომ საარჩევნო კომისიაში ან სასამართლოში;

დამკვირვებელს ასევე არ აქვს უფლება:

- ✗ ჩაერიოს საარჩევნო კომისიის ფუნქციებსა და საქმიანობაში;
- ✗ გავლენა მოახდინოს ამომრჩეველთა ნების თავისუფალ გამოვლენაზე;
- ✗ აგიტაცია გაუწიოს ამომრჩეველს რომელიმე საარჩევნო სუბიექტის სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ;
- ✗ ატაროს რომელიმე საარჩევნო სუბიექტის სიმბოლიკა და ნიშანი;
- ✗ კენჭისყრის დღეს კენჭისყრის შენობაში იმყოფებოდეს სამკერდე ნიშნის გარეშე;
- ✗ დაარღვიოს საარჩევნო კოდექსის სხვა მოთხოვნები.

საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლები კენჭისყრის დღეს სარგებლობენ 70.1 საარჩევნო კოდექსი, მუხლით (დამკვირვებლის უფლებები) გათვალისწინებული უფლებებით.

თავი X. კენჭისყრამდე ჩასატარებელი პროცედურები

საარჩევნო უბნის გახსნა

კომისიის წევრები კენჭისყრის დღეს საარჩევნო უბანში უნდა გამოცხადნენ 07:00 საათამდე. თუ კომისიის წევრთა რაოდენობა ხუთზე ნაკლები აღმოჩნდა, საარჩევნო უბანი არ იხსნება. ზუსტად 07:00 საათზე იხსნება საარჩევნო უბანი, რაც კომისიის თავმჯდომარემ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს საოლქო საარჩევნო კომისიას (საარჩევნო კოდექსი, მუხლი 52).

თუ საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს და მოადგილეს ერთდროულად ან კომისიის მდივანს დროებით არ შეუძლიათ მოვალეობის შესრულება, თუმცა კანონი ითხოვს გარკვეული მოქმედების შესრულებას, რომელიც თავმჯდომარის ან მდივნის განსაკუთრებულ უფლებამოსილებას მიეკუთვნება, საუბნო საარჩევნო კომისია თავისი შემადგენლობიდან დაუყოვნებლივ ირჩევს თავმჯდომარის/მდივნის მოვალეობის შემსრულებელს. კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის უფლებამოსილება შეწყდება, როგორც კი კომისიის თავმჯდომარე ან თავმჯდომარის მოადგილე შეძლებს თავისი უფლებამოსილების განხორციელებას; ხოლო კომისიის მდივნის მოვალეობის შემსრულებლის უფლებამოსილება შეწყდება, როგორც კი მდივანი შეძლებს თავისი უფლებამოსილების განხორციელებას (კანონი "უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ", მუხლი 27.5).

ჩანაწერთა წიგნის გახსნა

კომისიის თავმჯდომარე საარჩევნო უბნის გახსნისთანავე ჩანაწერთა წიგნს გადასცემს საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანს, რომელსაც პირველ და მეორე გვერდებზე შეაქვს კენჭისყრის შენობაში მყოფი საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების სახელი და გვარი მათი დამნიშვნელი სუბიექტის მითითებით; ასევე, კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე ყველა პირის სახელი, გვარი, წარმდგენი ორგანიზაცია ან საარჩევნო სუბიექტი და ხელმოწერით ამოწმებინებს მას (საარჩევნო კოდექსი, მუხლი 51[2]).

საუბნო საარჩევნო კომისიის ყველა წევრს უნდა ეკეთოს კომისიის წევრის სამკერდე ნიშანი (მოწმობა). საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ დამკვირვებლებს, საარჩევნო სუბიექტების და პრესის და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების წარმომადგენლებს უნდა მოსთხოვოს ეკეთოთ სააკრედიტაციო მოწმობები (სამკერდე ნიშნები) (საარჩევნო კოდექსი, მუხლი 39.1.ზ[1])).

კომისიის თავმჯდომარე კომისიის მდივანს ასევე გადასცემს კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმებს და სადემონსტრაციო ოქმებს. სადემონსტრაციო ოქმები თვალსაჩინო ადგილას (კომისიის მდივნის მაგიდის სიახლოვეს) უნდა გამოიკრას. კომისიის მდივანი ასევე აწარმოებს სარეგისტრაციო ჟურნალს.

წილისყრა (საარჩევნო კოდექსი, მუხლი 52)

საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებს შორის გასანაწილებელი ფუნქციებია:

1. ამომრჩეველთა ნაკადის მომწესრიგებელი;
2. ამომრჩეველთა რეგისტრატორი (არანაკლებ ერთი რეგისტრატორი ყოველ 300 ამომრჩეველზე);
3. საარჩევნო ყუთისა და სპეციალური კონვერტების ზედამხედველი;
4. გადასატანი საარჩევნო ყუთის წამღები კომისიის 2 წევრი.

წილისყრაში მონაწილეობას არ იღებენ კომისიის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე და მდივანი.

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ წილისყრის ჩატარებამდე უნდა შეადაროს საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების რაოდენობა და გასანაწილებელი ფუნქციების რაოდენობა. იმ შემთხვევაში, თუ წილისყრის ჩატარების დროს კომისიის წევრთა რაოდენობა

აღმოჩნდა:

1) ერთით ნაკლები, ვიდრე გასანაწილებელი ფუნქციებია, კომისიის მდივანი ასრულებს ამომრჩეველთა რეგისტრატორი კომისიის წევრის ფუნქციას (იმ შემთხვევაში, თუ კომისიის მდივანს მიენიჭება ამომრჩეველთა რეგისტრატორის ფუნქცია, ჩანაწერთა წიგნი გადაეცემა კომისიის თავმჯდომარეს).

2) ორით ნაკლები, ვიდრე გასანაწილებელი ფუნქციებია, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ასრულებს ამომრჩეველთა ნაკადის მომწესრიგებელი კომისიის წევრის ფუნქციას.

3) სამით ნაკლები, ვიდრე გასანაწილებელი ფუნქციებია, კომისიის თავმჯდომარე ასრულებს საარჩევნო ყუთისა და კონვერტების ზედამხედველი კომისიის წევრის ფუნქციას.

4) ოთხით ნაკლები, ვიდრე გასანაწილებელი ფუნქციებია, მცირდება ამომრჩეველთა რეგისტრატორი კომისიის წევრების რაოდენობა.

წილისყრა ტარდება კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირების თანდასწრებით. საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ამოწმებს იმ კონვერტის მთლიანობას, რომელშიც მოთავსებულია საუბნო საარჩევნო კომისიის ბეჭედი და ხსნის მას.

პირველ რიგში, კომისიის თავმჯდომარე ატარებს წილისყრას გადასატანი საარჩევნო ყუთის წამღები 2 წევრის გამოსავლენად.



საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე:

- ✓ აანალიზებს, თუ პარტიების მიერ დანიშნული (7 კომისიის წევრისგან) რამდენი კომისიის წევრი ესწრება წილისყრის პროცესს;
- ✓ მათი რაოდენობის შესაბამისად ამზადებს ერთი ფორმისა და სახეობის (ფერის) ფურცლებს;
- ✓ 2 ფურცელზე ერთი და იმავე ფერის საწერი კალმით წერს ფუნქციის დასახელებას "გადასატანი საარჩევნო ყუთის წამღები";
- ✓ ყველა ფურცელს ამოწმებს კომისიის ბეჭდით;
- ✓ კეცავს ისე, რომ მათზე ტექსტის წაკითხვა შეუძლებელი იყოს და ათავსებს გადასატან საარჩევნო ყუთში;
- ✓ მიმართავს პარტიების მიერ დანიშნულ დამსწრე კომისიის წევრებს, სათითაოდ ამოიღონ წილისყრის ფურცლები გადასატანი საარჩევნო ყუთიდან.

კომისიის მდივანს წილისყრის შედეგი შეაქვს ჩანაწერთა წიგნის მე-3 გვერდზე.

☝ იმ შემთხვევაში, თუ პარტიების მიერ დანიშნული კომისიის წევრებისგან რომელიმე უარს აცხადებს წილისყრაში მონაწილეობაზე, კომისიის თავმჯდომარე წილისყრას ატარებს დანარჩენ (პარტიების მიერ დანიშნულ) კომისიის წევრებს შორის; თუ, პარტიის მიერ დანიშნული კომისიის წევრი უარს აცხადებს წილისყრის შედეგად განაწილებული ფუნქციის შესრულებაზე, კომისიის თავმჯდომარე მას ჩაანაცვლებს წილისყრების შედეგად ფუნქციის გარეშე დარჩენილი კომისიის ნებისმიერი წევრით (სასურველია პარტიის მიერ დანიშნული წევრით). კომისიის მდივანი ჩანაცვლების ფაქტს ჩაწერს ჩანაწერთა წიგნის მე-5 გვერდზე.

გადასატანი საარჩევნო ყუთის წამღებ კომისიის წევრთა გამოვლენის შემდეგ, კომისიის თავმჯდომარე ატარებს წილისყრას სხვა ფუნქციების გამოსავლენად:



- ✓ აანალიზებს, თუ რამდენი კომისიის წევრი მონაწილეობს წილისყრის პროცესში (თავმჯდომარის, მოადგილის, მდივნის და გადასატანი საარჩევნო ყუთის წამღები 2 წევრის გამოკლებით);
- ✓ მათი რაოდენობის შესაბამისად ამზადებს ერთი ფორმისა

და სახეობის (ფერის) ფურცლებს;

- ✓ ფურცლებზე ერთი და იმავე ფერის საწერი კალმით წერს ფუნქციების დასახელებას "ნაკადის მომწესრიგებელი, "რეგისტრატორი", "საარჩევნო ყუთისა და სპეციალური კონვერტების ზედამხედველი";
- ✓ ყველა ფურცელს ამოწმებს კომისიის ბეჭდით;
- ✓ კეცავს ისე, რომ მათზე ტექსტის წაკითხვა შეუძლებელი იყოს და ათავსებს გადასატან საარჩევნო ყუთში;
- ✓ მიმართავს წილისყრაში მონაწილე კომისიის წევრებს, სათითაოდ ამოიღონ წილისყრის ფურცლები გადასატანი საარჩევნო ყუთიდან.

კომისიის მდივანს წილისყრის შედეგი შეაქვს ჩანაწერთა წიგნის მე-3 გვერდზე.

კომისიის თავმჯდომარის ნებართვით, წილისყრის შედეგად გამოვლენილი კომისიის წევრის ფუნქცია დროებით შეიძლება დაეკისროს კომისიის სხვა წევრს, რაც კომისიის მდივანმა ჩანაწერთა წიგნის მე-5 გვერდზე დროის მითითებით უნდა აღნიშნოს.

თუ კომისიის რომელიმე წევრი კომისიაში გამოცხადდა წილისყრის პროცედურის დასრულების შემდეგ, მისთვის ფუნქციის მინიჭების საკითხს წყვეტს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე (საარჩევნო კოდექსი, მუხლი 52.1[1]).

ამომრჩეველთა რაოდენობის გამოცხადება



კომისიის თავმჯდომარე აცხადებს ამომრჩეველთა რაოდენობას ამომრჩეველთა ერთიან, სპეციალურ სიებში და ამომრჩეველთა სიის დანართში. საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანს ამომრჩეველთა რაოდენობა ერთიან სიაში შეაქვს კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნში, სადემონსტრაციო ოქმებსა და კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმების პირველ გრაფაში (საარჩევნო კოდექსი, მუხლი 52.4.ა)). ამომრჩეველთა რაოდენობა ამომრჩეველთა სპეციალურ სიაში შეიტანება კენჭისყრის დასრულების შემდეგ.

მიღებული საარჩევნო ბიულეტენების და კონვერტების რაოდენობის გამოცხადება

კომისიის თავმჯდომარე ამოწმებს საარჩევნო ბიულეტენებისა და სპეციალური კონვერტების პაკეტების მთლიანობას. მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე აცხადებს მიღებული საარჩევნო ბიულეტენებისა და სპეციალური კონვერტების რაოდენობას. მიღებული ბიულეტენების რაოდენობა საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანს დაუყოვნებლივ შეაქვს კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნში, სადემონსტრაციო ოქმებსა და კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმების მე-5 გრაფაში (საარჩევნო კოდექსი, მუხლი 52.4.ბ)).

საარჩევნო ყუთების დალუქვა



კომისიის თავმჯდომარე ამოწმებს და ინდივიდუალური ნომრის მქონე ზონრით ლუქავს ძირითად და გადასატან საარჩევნო ყუთებს, რომლის ნომერი საარჩევნო კომისიის მდივანს შეაქვს კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნის მე-4 გვერდზე (საარჩევნო კოდექსი, მუხლი 52.4.დ)).

საარჩევნო ყუთები ისე უნდა იყოს დალუქული (ბიულეტენის ჩასაგდები ჭრილის გარდა), რომ მათი მთლიანობის დაურღვევლად შეუძლებელი იყოს მათში რაიმეს ჩადება ან ამოღება.

კომისიის წევრებისთვის მასალების გადაცემა

- კომისიის თავმჯდომარე ამომრჩეველთა რეგისტრატორებს გადასცემს:
  - ✓ ანბანის მიხედვით დანაწილებულ ამომრჩეველთა ერთიან სიას (დაახლოებით 300 ამომრჩეველიან სიას);
    - თავმჯდომარემ თითოეულ სარეგისტრაციო მაგიდასთან უნდა გამოაკრას ამომრჩეველთა გვარების ანბანური თანმიმდევრობა (მაგიდაზე განლაგებული სიების შესაბამისად);
    - თითოეული რეგისტრატორისთვის გადაცემული ერთიანი სიის ანბანური თანმიმდევრობა კომისიის მდივანს შეაქვს ჩანაწერთა წიგნის მე-3 გვერდზე რეგისტრატორის სახელის და გვარის გასწვრივ.



  - ✓ ამომრჩეველთა სპეციალურ სიას (გადასცემს ერთ-ერთ რეგისტრატორს);
  - ✓ საარჩევნო ბიულეტენების ბლოკნოტებს (პროპორციული და მაჟორიტარული სისტემის არჩევნებისთვის); კომისიის თავმჯდომარე და მიმღები რეგისტრატორები ბლოკნოტების თავფურცელზე ხელმოწერით ადასტურებენ ბიულეტენების მიღება-ჩაბარებას (საარჩევნო კოდექსი, მუხლი 52.7);
  - ✓ რეგისტრატორის ბეჭედს *(თავმჯდომარე ამოწმებს იმ პაკეტის მთლიანობას, სადაც მოთავსებულია რეგისტრატორის ბეჭდები; რეგისტრატორის ბეჭდებს ათავსებს გადასატან საარჩევნო ყუთში, რეგისტრატორები ყუთიდან სათითაოდ იღებენ ერთ ბეჭედს, რომლის კოდიც კომისიის მდივანს შეაქვს ჩანაწერთა წიგნის მე-3 გვერდზე რეგისტრატორის სახელის და გვარის გასწვრივ; ასევე მიუთითებს რეგისტრატორის ბეჭდების ნომრებს კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმებში)*;
  - ✓ შტამპს "არჩევნებიდან მოხსნილია (თუ რეგისტრატორების რაოდენობა ერთზე მეტია, საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, საჭიროების შემთხვევაში, თავად უსვამს ბიულეტენებს შტამპს რეგისტრატორებისთვის ბიულეტენების ბლოკნოტის გადაცემის წინ);
  - ✓ მარკირების სითხეს.

- კომისიის თავმჯდომარე ამომრჩეველთა ნაკადის მომწესრიგებელ კომისიის წევრს გადასცემს მარკირების შესამოწმებელ ულტრაიისფერ ფარანს.
- კომისიის თავმჯდომარე საარჩევნო ყუთისა და სპეციალური კონვერტების ზედამხედველ კომისიის წევრს გადასცემს ძირითად საარჩევნო ყუთს და სპეციალურ კონვერტებს.

საკონტროლო ფურცლის შევსება

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე საარჩევნო დოკუმენტაციიდან იღებს სამ საკონტროლო ფურცელს და კენჭისყრის დაწყებამდე შესავსებად გადასცემს საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანს (საარჩევნო კოდექსი, მუხლი 52.6). საუბნო საარჩევნო კომისიის ყველა დამსწრე წევრმა ხელი უნდა მოაწეროს სამივე საკონტროლო ფურცელს.

კომისიის მდივანი პირველი ამომრჩევლის მოსვლის შემდეგ (უნდა შემოწმდეს ამომრჩეველი შეყვანილია თუ არა ამომრჩეველთა სიაში) საკონტროლო ფურცელში შეიტანს:

- ✓ პირველი ამომრჩევლის სახელსა და გვარს;
- ✓ პირველი ამომრჩევლის რეგისტრაციის ადგილს;
- ✓ პირველი ამომრჩევლის პირადობის მოწმობის (ან საქართველოს მოქალაქის პასპორტის) ნომერს და პირად ნომერს;
- ✓ საკონტროლო ფურცლების საარჩევნო ყუთებში ჩაშვების



ზუსტ დროს.

კომისიის მდივანი მიუთითებს პირველ ამომრჩეველს ხელი მოაწეროს საკონტროლო ფურცელს.

კომისიის მდივანი ჩანაწერთა წიგნის მე-4 გვერდზე მიუთითებს საკონტროლო ფურცელში შეტანილ მონაცემებს.

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე დალუქულ ძირითად და გადასატან ყუთებში ათავსებს საკონტროლო ფურცლებს. საარჩევნო ყუთების გახსნის შემდეგ მათში არსებულ საკონტროლო ფურცლებთან შედარების მიზნით საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ინახავს საკონტროლო ფურცლის ერთ ცალს და პასუხისმგებელია მის დაცვასა და ნამდვილობაზე.

☝ იმ შემთხვევაში, თუ საუბნო საარჩევნო კომისიაში არ ტარდება კენჭისყრა გადასატანი საარჩევნო ყუთის საშუალებით, საკონტროლო ფურცელი მაინც ივსება სამ ცალად; შესაბამისად თავმჯდომარე ინახავს 2 საკონტროლო ფურცელს.

თავი XI. კენჭისყრის პროცესი



კენჭისყრა ტარდება კენჭისყრის დღეს 08:00 საათიდან 20:00 საათამდე (საარჩევნო კოდექსი, მუხლი 49).

ამომრჩეველთა ნაკადის მომწესრიგებელი (საარჩევნო კოდექსი, მუხლი 54.2):



- არეგულირებს საარჩევნო უბანში შემოსული ამომრჩევლების ნაკადს;
- სთხოვს ამომრჩეველს წარმოადგინოს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა (ან პასპორტი); არ დაუშვებს ამომრჩეველს კენჭისყრის შენობაში, თუ მას არ აღმოაჩნდება პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- ულტრაიისფერი ფარნით ამოწმებს, აღენიშნება თუ არა ამომრჩეველს მარკირება.

  - ➢ იმ შემთხვევაში, თუ ხელსაწყომ გამოავლინა, რომ ამომრჩეველს უკვე აქვს მარკირება, ის არ დაიშვება ხმის მისაცემად. ნაკადის მომწესრიგებელმა კომისიის თავმჯდომარეს უნდა აცნობოს ამომრჩევლის ვინაობა; კომისიის მდივანი ჩანაწერთა წიგნში (მე-10 ან მომდევნო გვერდებზე) მიუთითებს აღნიშნულ ფაქტს (საარჩევნო კოდექსი, მუხლი 52^{1}.2);

- ამოწმებს, თუ რამდენი ამომრჩეველი დგას ამომრჩევლისთვის განკუთვნილ სარეგისტრაციო მაგიდასთან.
  - ➢ თუ სარეგისტრაციო მაგიდასთან ორზე მეტი ამომრჩეველი დგას, დროებით აყოვნებს ამომრჩეველს;.
- მიუთითებს ამომრჩეველს, სარეგისტრაციო მაგიდასთან მისვლისას იქონიოს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა ან პასპორტი;
- მიუთითებს ამომრჩეველს, მივიდეს იმ სარეგისტრაციო მაგიდასთან, რომელსაც მიეკუთვნება ამომრჩეველთა სიაში მისი გვარის პირველი ასო.

ამომრჩეველთა რეგისტრატორი:



- სთხოვს ამომრჩეველს, წარმოადგინოს საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა ან საქართველოს მოქალაქის პასპორტი
  - ➢ დაუშვებელია პირადობის დამადასტურებელი საბუთის წარდგენის გარეშე საარჩევნო ბიულეტენის გაცემა.
- ამოწმებს, არის თუ არა ამომრჩეველი შეყვანილი ამომრჩეველთა ერთიან (ან სპეციალურ) სიაში და ადარებს ამომრჩევლის პირად ნომერს;

- ➢ თუ სპეციალურ სიაში შეყვანილი ამომრჩევლის რეგისტრაციის ადგილი არ განეკუთვნება მოცემულ საარჩევნო ოლქს, ის მონაწილეობას იღებს მხოლოდ პროპორციულ არჩევნებში;

- უკეთებს ამომრჩეველს მარკირებას;
  - ➢ თუ ამომრჩეველი უარს განაცხადებს მარკირებაზე, ამომრჩეველი ვერ მიიღებს არჩევნებში მონაწილეობას;
- თუ საარჩევნო ბიულეტენში შეყვანილი რომელიმე საარჩევნო სუბიექტი აღარ მონაწილეობს არჩევნებში, სუბიექტის დასახელების გასწვრივ უსვამს შტამპს წარწერით "არჩევნებიდან მოხსნილია";
- ხელმოწერით ამოწმებს საარჩევნო ბიულეტენებს (უკანა გვერდზე, ამისთვის განკუთვნილ ადგილზე);
- რეგისტრატორის ბეჭდით ამოწმებს საარჩევნო ბიულეტენებს (უკანა გვერდზე, ამისთვის განკუთვნილ ადგილზე);
- ადასტურებს ბიულეტენების გაცემას ამომრჩეველთა სიაში ხელმოწერით;
- სთხოვს ამომრჩეველს, ხელმოწერით დაადასტუროს საარჩევნო ბიულეტენების მიღება ამომრჩეველთა სიაში თავისი გვარის გასწვრივ;
- გადასცემს ამომრჩეველს დამოწმებულ საარჩევნო ბიულეტენებს;
- მიუთითებს ამომრჩეველს შევიდეს ფარული კენჭისყრის კაბინაში.

ამომრჩეველი:

- შედის ფარული კენჭისყრის კაბინაში.



- ➢ დაუშვებელია ერთდროულად ერთზე მეტი ამომრჩევლის შესვლა ფარული კენჭისყრის კაბინაში.
- ➢ კომისიის წევრებსა და კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირებს შეუძლიათ ამომრჩეველს ფარული კენჭისყრის კაბინაში შესვლამდე მოსთხოვონ უჩვენოს, თუ რამდენი ბიულეტენი აქვს მას ხელთ. ამომრჩეველი ვალდებულია შეასრულოს ეს მოთხოვნა;
- ➢ კენჭისყრის კაბინაში ფოტო და ვიდეოგადაღება აკრძალულია.

- ავსებს საარჩევნო ბიულეტენებს.
- კეცავს ბიულეტენებს ისე, რომ არ ჩანდეს, თუ ვის მისცა ხმა.

საარჩევნო ყუთისა და სპეციალური კონვერტების ზედამხედველი:

- ფარული კენჭისყრის კაბინიდან გამოსვლის შემდეგ, მიუთითებს ამომრჩეველს, აიღოს ერთი სპეციალური კონვერტი და ჩადოს მასში გადაკეცილი საარჩევნო ბიულეტენები (მხოლოდ ამომრჩეველს აქვს უფლება ბიულეტენები მოათავსოს სპეციალურ კონვერტში);
- ➢ კომისიის წევრებსა და კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირებს შეუძლიათ, მოსთხოვონ ამომრჩეველს სპეციალურ კონვერტში ბიულეტენის ჩადებამდე უჩვენოს, თუ რამდენი ბიულეტენი და სპეციალური კონვერტი აქვს მას ხელთ. ამომრჩეველი ვალდებულია შეასრულოს ეს მოთხოვნა. დაუშვებელია საარჩევნო ბიულეტენის კენჭისყრის შენობიდან გატანა.
- მას შემდეგ, როდესაც დარწმუნდება, რომ ამომრჩეველს ხელში მხოლოდ ერთი კონვერტი აქვს, ხსნის საარჩევნო ყუთის ჭრილს და მიუთითებს ამომრჩეველს მოათავსოს სპეციალური კონვერტი საარჩევნო ყუთში;
- ➢ დაუშვებელია საარჩევნო ყუთთან ერთდროულად ერთზე მეტი ამომრჩევლის მისვლა;
- მიუთითებს ამომრჩეველს დატოვოს საარჩევნო უბანი.
- ➢ ამომრჩეველი კენჭისყრის შენობაში შეიძლება იმყოფებოდეს მხოლოდ ხმის მიცემისთვის საჭირო დროის განმავლობაში.

კენჭისყრის პროცესი





კენჭისყრაში მონაწილე ამომრჩეველთა აღრიცხვა

კენჭისყრის დღეს ამომრჩეველთა აქტივობის განსასაზღვრად, კომისიის მდივანი, რეგისტრატორების დახმარებით, დღის განმავლობაში ორჯერ (12:00 სთ-ზე და 17:00 სთ-ზე), ითვლის ამომრჩეველთა სიებში ამომრჩეველთა ხელმოწერების რაოდენობას (საარჩევნო კოდექსი, მუხლი 53.6).

კომისიის მდივანს დაფიქსირებული მონაცემები შეაქვს კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმებში, სადემონსტრაციო ოქმებსა და კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნში. კომისიის თავმჯდომარე 12:00 და 17:00 საათის ინფორმაციას კენჭისყრაში მონაწილეთა რაოდენობის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობებს საოლქო საარჩევნო კომისიას.

თავი XII. კენჭისყრის პროცესის განსაკუთრებული შემთხვევები

1) <u>ამომრჩეველი ვერ მიიღებს კენჭისყრაში მონაწილეობას, თუ:</u>

- ამომრჩეველს უკვე აქვს მარკირება;
- ამომრჩეველს არ აქვს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა ან პასპორტი;
- ამომრჩევლის პირადი ნომერი შედარებისას არ დაემთხვა სიაში მითითებულ ნომერს;
- ამომრჩეველმა წარადგინა ვადაგასული პირადობის დამადასტურებელი მოწმობა ან პასპორტი;
- ამომრჩეველი არ არის შეყვანილი არცერთი სახის სიაში (გარდა საარჩევნო კოდექსი, მუხლი 9.11[1] შემთხვევისა);
- ამომრჩეველმა უარი განაცხადა მარკირებაზე.

2) <u>ამომრჩევლის რეგისტრაცია სპეციალურ სიაში</u>





თუ ამომრჩეველი არ არის შეყვანილი ამომრჩეველთა ერთიან ან სპეციალურ სიაში, მაგრამ ამომრჩეველი წარადგენს ცნობას საზღვრის გადაკვეთის შესახებ (ჩანაწერი პასპორტში), ცნობას სტაციონარული სამკურნალო დაწესებულებიდან გამოწერის შესახებ, ან ცნობას სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან განთავისუფლების შესახებ, კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე, ამომრჩეველს რეგისტრაციაში გაატარებს ამომრჩეველთა რეგისტრატორი (საარჩევნო კოდექსი, მუხლი 9.11[1]).

რეგისტრატორმა უნდა შეამოწმოს, რომ წარმოდგენილი ცნობა გაცემულია კენჭისყრის დღემდე ბოლო 16 დღის განმავლობაში, ხოლო საზღვრის გადმოკვეთის შემთხვევაში რეგისტრატორმა უნდა შეამოწმოს ჩანაწერი პასპორტში (საზღვრის გადმოკვეთის თარიღი), რომელიც ასევე ბოლო 16 დღის განმავლობაში უნდა იყოს გაკეთებული. რეგისტრატორს ამომრჩეველი წარმოდგენილი ცნობისა და პირადობის დამადასტურებელი მოწმობის (რეგისტრაციის მოწმობის) საფუძველზე შეჰყავს ამომრჩეველთა სპეციალურ სიაში და წარმოდგენილი დოკუმენტაციის ფოტოასლებს გადასცემს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს.

3) <u>ამომრჩეველი ბიულეტენის შევსებისას საჭიროებს დახმარებას</u>

თუ ამომრჩეველს არ შეუძლია დამოუკიდებლად შეავსოს ბიულეტენები, მას უფლება აქვს დახმარებისთვის მიმართოს ნებისმიერ სხვა, მისთვის სასურველ პირს, გარდა კომისიის წევრების, საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლების, კანდიდატისა და დამკვირვებლებისა. ამომრჩეველს, რომელიც დაეხმარა სხვა ამომრჩეველს ბიულეტენის შევსებისას, ეკრძალება გაამჟღავნოს მისი არჩევანი (საარჩევნო კოდექსი, მუხლი 54.3).

4) <u>ამომრჩეველს/კომისიის წევრს გაუფუჭდა საარჩევნო ბიულეტენი</u>

თუ ამომრჩეველს ან რეგისტრატორს გაუფუჭდათ საარჩევნო ბიულეტენი, მათ ამის შესახებ უნდა აცნობონ კომისიის თავმჯდომარეს. კომისიის თავმჯდომარის დავალებით, რეგისტრატორი ვალდებულია ამომრჩეველს შეუცვალოს გაფუჭებული ბიულეტენი ახლით. კომისიის თავმჯდომარემ გაფუჭებულ ბიულეტენს ამომრჩევლის თანდასწრებით უნდა ჩამოაჭრას კუთხე, დააწეროს „გაფუჭებულია“ და ხელი მოაწეროს. კომისიის მდივანმა გაფუჭებული ბიულეტენი ცალკე უნდა შეინახოს (საარჩევნო კოდექსი, მუხლი 54.4).

5) <u>კომისიის წევრის ფუნქციის დროებით გადაცემა</u>

თუ კომისიის რომელიმე წევრს არ შეუძლია წილისყრით მინიჭებული ფუნქციის შესრულება, კომისიის თავმჯდომარეს უფლება აქვს ეს ფუნქცია დროებით გადასცეს სხვა კომისიის წევრს. კომისიის მდივანმა ჩანაწერთა წიგნის მე-5 გვერდზე უნდა აღნიშნოს, რომელი კომისიის წევრით და რა დროით მოხდა ჩანაცვლება (საარჩევნო კოდექსი, მუხლი 52.3).

6) <u>კენჭისყრის შეწყვეტა</u>

იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია კენჭისყრის გაგრძელება და ამომრჩეველთა ნების თავისუფალი გამოვლენა, საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ერთპიროვნულად იღებს გადაწყვეტილებას განკარგულებით კენჭისყრის შენობის ჩაკეტვის და კენჭისყრის შეჩერების შესახებ. განკარგულებაში აღინიშნება შენობის დროებითი ჩაკეტვის, კენჭისყრის შეჩერების ან მისი შეწყვეტის მიზეზები და დრო. თავმჯდომარეს ეკისრება სრული პასუხისმგებლობა ამ განკარგულების მიღებისთვის (საარჩევნო კოდექსი, მუხლი 49.3).



შენობის დროებით ჩაკეტვისა თუ კენჭისყრის შეჩერებისთანავე საუბნო საარჩევნო კომისია ვალდებულია მიიღოს განკარგულება კომისიის თავმჯდომარის განკარგულების დადასტურების ან მისი გაუქმების შესახებ.

შენობის დროებით ჩაკეტვის ან კენჭისყრის შეჩერების მიზეზების აღმოფხვრისთანავე კომისიის თავმჯდომარე იღებს განკარგულებას კენჭისყრის განახლებისა და კენჭისყრის შენობის გახსნის შესახებ.

საუბნო საარჩევნო კომისია უფლებამოსილია მიიღოს განკარგულება კენჭისყრის შეწყვეტისა და საარჩევნო უბნის დახურვის შესახებ.

კომისიის მდივანს ჩანაწერთა წიგნში (მე-10 და მომდევნო გვერდებზე) შეაქვს კენჭისყრის შეჩერების, გაგრძელების ან/და შეწყვეტის მიზეზი და დრო.

7) <u>საარჩევნო ყუთის მთლიანობის დარღვევა</u>

თუ საარჩევნო ყუთის ლუქის მთლიანობა დარღვეული აღმოჩნდა, საუბნო საარჩევნო კომისია აჩერებს კენჭისყრის პროცესს და განკარგულებით იღებს გადაწყვეტილებას (საარჩევნო კოდექსი, მუხლი 54.6):

- ყუთის ხელახლა დალუქვისა და კენჭისყრის გაგრძელების შესახებ;

ან

- კენჭისყრის პროცესის შეწყვეტისა და საარჩევნო უბნის დახურვის შესახებ.

კომისიის მდივანს კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნში (მე-10 და მომდევნო გვერდებზე) შეაქვს მომხდარი ფაქტის შინაარსი და საარჩევნო ყუთის ხელახალი დალუქვის დრო.

გახსოვდეთ, თუ კენჭისყრა შეწყვეტილად გამოცხადდა, იგი აღარ განახლდება.

<u>8) კენჭისყრის დროზე ადრე დამთავრება</u>

კენჭისყრის დღეს სამხედრო ნაწილებში, ძნელად მისადგომ ადგილებში, საავადმყოფოებსა და სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში შექმნილ საარჩევნო უბნებში საუბნო საარჩევნო კომისიას შეუძლია კენჭისყრა დამთავრებულად გამოაცხადოს 20 საათამდე ნებისმიერ დროს, თუ კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა სიაში შეყვანილმა ყველა ამომრჩეველმა (საარჩევნო კოდექსი, მუხლი 49.5).

თავი XIII. გადასატანი საარჩევნო ყუთის საშუალებით ხმის მიცემა

გადასატანი საარჩევნო ყუთის საშუალებით კენჭისყრა ტარდება კენჭისყრის დღეს 09:00 საათიდან 19:00 საათამდე (საარჩევნო კოდექსი, მუხლი 49.7).

კენჭისყრის დღის 9 საათიდან საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე წილისყრით გამოვლენილ კომისიის 2 წევრს გადასცემს (საარჩევნო კოდექსი, მუხლი 56):

- ამომრჩეველთა სიის დანართს (გადასატანი საარჩევნო ყუთის სიას), რომლის საფუძველზეც წინასწარ უნდა განისაზღვროს გადასატანი საარჩევნო ყუთის მარშრუტი;
- რეგისტრატორის მიერ ხელმოწერითა და სპეციალური ბეჭდით დამოწმებულ საარჩევნო ბიულეტენების საჭირო რაოდენობას (თავმჯდომარემ უნდა გაითვალისწინოს ბიულეტენების გაფუჭების შესაძლებლობა) და სპეციალურ კონვერტებს (*კომისიის მდივანმა ჩანაწერთა წიგნის მე-4 გვერდზე უნდა აღნიშნოს, რამდენი ბიულეტენი და სპეციალური კონვერტი გადაეცა გადასატანი საარჩევნო ყუთის თანმხლებ კომისიის წევრს*);
- დალუქულ გადასატან საარჩევნო ყუთს, რომელშიც მოთავსებულია საკონტროლო ფურცელი.

გახსოვდეთ, მარკირება არ გამოიყენება გადასატანი საარჩევნო ყუთით კენჭისყრაში მონაწილე ამომრჩეველთათვის (საარჩევნო კოდექსი, მუხლი 52[1].5).

კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირებს, საკუთარი სურვილისამებრ, შეუძლიათ დაესწრონ გადასატანი ყუთის საშუალებით ხმის მიცემას.

გადასატანი საარჩევნო ყუთით ხმის მიცემისას ავტომანქანის გამოყენების შემთხვევაში, საუბნო საარჩევნო კომისია ვალდებულია გამოყოს ადგილი ავტომობილში კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირთაგან წილისყრით გამოვლენილი 2 მეთვალყურისთვის.

გადასატანი საარჩევნო ყუთით კენჭისყრა მთავრდება 19:00 საათზე. კენჭისყრის დამთავრების შემდეგ დაუყოვნებლივ ილუქება საარჩევნო ყუთში სპეციალური კონვერტის ჩასაგდები ჭრილი (ისე უნდა დაილუქოს, რომ შეუძლებელი იყოს ლუქის დაზიანების გარეშე მისი გახსნა). კენჭისყრის დღის არა უგვიანეს 20:00 საათისა გადასატანი საარჩევნო ყუთი უნდა დაბრუნდეს საარჩევნო უბანში.

გადასატანი საარჩევნო ყუთის თანმხლებმა კომისიის წევრებმა (კენჭისყრის შენობაში დაბრუნების შემდეგ) საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანს უნდა გადასცენ გამოუყენებელი ბიულეტენები და სპეციალური კონვერტები. კომისიის მდივანმა ასეთ ბიულეტენებს და სპეციალურ კონვერტებს უნდა ჩამოაჭრას კუთხე, დააწეროს "გაფუჭებულია" და კომისიის თავმჯდომარის ხელმოწერის შემდეგ ცალკე შეინახოს.

ზუსტი აღრიცხვის მიზნით, *კომისიის მდივანმა კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნის მე-4 გვერდზე უნდა მიუთითოს გადასატანი საარჩევნო ყუთისთვის განკუთვნილი გამოუყენებელი ბიულეტენების და სპეციალური კონვერტების რაოდენობა.*

თავი XIV. კენჭისყრის დღეს წესრიგის დაცვა კენჭისყრის შენობაში

კენჭისყრის დღეს კენჭისყრის შენობაში წესრიგის დაცვას ხელმძღვანელობს და მასზე პასუხისმგებელია საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე. საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მიერ კენჭისყრის შენობაში წესრიგის დაცვის მიზნით მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულება სავალდებულოა საარჩევნო კომისიის წევრებისთვის, კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე ყველა პირისა და ამომრჩევლისთვის (საარჩევნო კოდექსი, მუხლი 55).

- ✓ დაუშვებელია კენჭისყრის შენობაში შეიარაღებულ პირთა შესვლა;

✓ ხმის მიცემის ადგილზე შესვლა პოლიციის მუშაკებს შეუძლიათ მხოლოდ კომისიის თავმჯდომარის მოთხოვნით და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს აუცილებელია საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად;

✓ საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის აღკვეთისთანავე, კომისიის თავმჯდომარის თანხმობის შემთხვევაში, პოლიციის მუშაკები ტოვებენ კენჭისყრის შენობას და მის მიმდებარე ტერიტორიას.

თავი XV. საარჩევნო უბნის დახურვა



ზუსტად 20:00 საათზე საარჩევნო უბანი იკეტება. ამ დროისთვის რიგში მდგომ ამომრჩევლებს შეუძლიათ ხმის მიცემა. საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის დავალებით, კომისიის ერთ-ერთი წევრი ჩაინიშნავს რიგში მდგომი ამომრჩევლების გვარსა და სახელს და მათ რაოდენობას აცნობებს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს, რომელიც გამოაცხადებს, რომ კენჭისყრაში მონაწილეობა შეუძლიათ მხოლოდ რიგში მდგომ ამომრჩევლებს; ხოლო მდივანი მათ გვარებს აღნიშნავს ჩანაწერთა წიგნში (საარჩევნო კოდექსი, მუხლი 54.7).

იმავე კომისიის წევრმა დაგვიანებით მისულ ამომრჩევლებს უნდა განუმარტოს, რომ ისინი ვეღარ მიიღებენ კენჭისყრაში მონაწილეობას. თუ კენჭისყრის ოთახი იძლევა საშუალებას, კომისიის თავმჯდომარემ რიგში მდგომი ამომრჩევლები უნდა შემოიყვანოს კენჭისყრის ოთახში და ჩაკეტოს საარჩევნო უბანი.

როგორც კი ბოლო ამომრჩეველი მისცემს ხმას, საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ უნდა უზრუნველყოს, რომ ყველა პირმა, ხმების დათვლისას კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირების გარდა, დატოვოს საარჩევნო უბანი. საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანმა კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნში უნდა მიუთითოს ხმების დათვლის დროს კენჭისყრის შენობაში მყოფ პირთა ვინაობა.

გახსოვდეთ!

კენჭისყრის დამთავრების შემდეგ საარჩევნო ყუთში სპეციალური კონვერტის ჩასაგდები ჭრილი ილუქება.

თავი XVI. სამხედრო ნაწილში გახსნილი საარჩევნო უბნის პროცედურები

სპეციალურ სიაში შეყვანილი სამხედრო მოსამსახურეები ხმას აძლევენ სამხედრო შენაერთის დისლოკაციის ადგილის მიხედვით (კანონი "უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ", მუხლი 17.9).

სამხედრო ნაწილში გახსნილ საარჩევნო უბანში კენჭისყრის პროცედურა ტარდება ზოგადი პროცედურების დაცვით. ხოლო ხმების დათვლას ახორციელებს საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ წინასწარ განსაზღვრული საუბნო საარჩევნო კომისია, ე.წ. ძირითადი უბანი (საარჩევნო კოდექსი, მუხლი 57.6). ძირითადი და მასზე მიმაგრებული "სამხედრო უბნის" შედეგები ითვლება ერთად და ფორმდება ერთი ოქმით; შესაბამისად, ძირითადი საარჩევნო უბანი მიმაგრებული სამხედრო უბნიდან საარჩევნო დოკუმენტაციის გადაცემამდე არ იწყებს ხმების დათვლას და არ ავსებს მონაცემებს კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმში.

სამხედრო უბანში კენჭისყრის დასრულების შემდეგ საუბნო საარჩევნო კომისია ლუქავს საარჩევნო ყუთის ჭრილს და ითვლის ამომრჩეველთა სიაში ხელმოწერების რაოდენობას, გამოუყენებელი და გაფუჭებული ბიულეტენების რაოდენობას. საუბნო საარჩევნო კომისია განცალკევებულ კონვერტებში სახეობების მიხედვით ლუქავს:

- ამომრჩეველთა სპეციალურ სიას;
- გამოუყენებელ საარჩევნო ბიულეტენებს;

- გაფუჭებულ საარჩევნო ბიულეტენებს;
- ჩანაწერთა წიგნს, სარეგისტრაციო ჟურნალს და საჩივრებს;
- კომისიის ბეჭედს და რეგისტრატორების ბეჭდებს;
- საკონტროლო ფურცელს;
- სპეციალურ კონვერტებს.

კონვერტს დაეწერება საარჩევნო დოკუმენტაციის სახეობა, საარჩევნო ოლქის და უბნის ნომერი. კონვერტის დალუქვის ზოლზე ხელს აწერს კომისიის ყველა წევრი და მიეთითება დალუქვის თარიღი და დრო. აღნიშნული კონვერტები და სხვა საარჩევნო დოკუმენტაცია/ინვენტარი თავსდება ერთ დიდ ტომარაში. საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე და წილისყრით გამოვლენილი კომისიის 2 წევრი დალუქულ დოკუმენტაციას, საარჩევნო ყუთს და სხვა ინვენტარს დაუყოვნებლივ გადასცემს მიმაგრებულ საუბნო საარჩევნო კომისიას. ძირითადი საარჩევნო უბანი, 20:00 სთ-ის შემდეგ საარჩევნო უბნის დახურვის მიუხედავად, ვალდებულია შემოუშვას სამხედრო უბნიდან საარჩევნო დოკუმენტაციის თანმხლები კომისიის წევრები.

☝ იმ შემთხვევაში, თუ სამხედრო ნაწილში გახსნილ საარჩევნო უბანში კენჭისყრა დამთავრებულად გამოცხადდა 20:00 საათამდე (საარჩევნო კოდექსი, მუხლი 49.5), სამხედრო უბანი საარჩევნო დოკუმენტაციას წარუდგენს მიმაგრებულ უბანს მხოლოდ 20:00 საათის შემდეგ.

ძირითადი საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე საარჩევნო უბნის დახურვის პროცედურების დასრულების შემდეგ ატარებს წილისყრას მთვლელების გამოვლენის მიზნით, მაგრამ არ იწყებს ხმების დათვლის პროცედურას, სანამ არ მიიღებს საარჩევნო დოკუმენტაციას სამხედრო უბნიდან.

ძირითადი უბანი პირველ რიგში ახორციელებს მიმაგრებული სამხედრო უბნიდან შემოსული საარჩევნო დოკუმენტაციის დათვლას. საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე თანმიმდევრობით ასრულებს შემდეგ პროცედურას:

1. ხსნის და მთვლელებს მიუთითებს დაითვალონ ამომრჩეველთა ხელმოწერების რაოდენობა ამომრჩეველთა სპეციალურ სიაში;
2. ხსნის და მიუთითებს მთვლელებს დაითვალონ გამოუყენებელი საარჩევნო ბიულეტენები;
3. ხსნის და მიუთითებს მთვლელებს დაითვალონ გაფუჭებული საარჩევნო ბიულეტენები;
4. ამოწმებს მონაცემთა სისწორეს: გამოუყენებელი ბიულეტენების რაოდენობას + გაფუჭებული ბიულეტენების რაოდენობა + ხელმოწერების რაოდენობა = მიღებული ბიულეტენების რაოდენობისა; თუ ტოლობა არ შედგა, კომისიის თავმჯდომარე მთვლელებს მიუთითებს გადაითვალონ სიაში ხელმოწერების რაოდენობა, გამოუყენებელი და გაფუჭებული ბიულეტენების რაოდენობა.

   ☝ იმ შემთხვევაში, თუ ტოლობა არ შედგა, საარჩევნო ყუთი დაილუქება, კომისია განკარგულებით მიიღებს გადაწყვეტილებას სამხედრო უბნიდან შემოსული ყუთისა და საარჩევნო დოკუმენტაციის დალუქვის შესახებ, რომელსაც ხმის დათვლის პროცედურების დასრულების შემდეგ წარუდგენს საოლქო საარჩევნო კომისიას.

5. ხსნის ჩანაწერთა წიგნის დალუქულ კონვერტს და უდარებს საარჩევნო ყუთის ლუქის ნომრებს;

   ☝ თუ ლუქის ნომერი განსხვავდება ჩანაწერთა წიგნში მითითებული ნომრისგან, საარჩევნო ყუთი დაილუქება, კომისია განკარგულებით მიიღებს გადაწყვეტილებას სამხედრო უბნიდან შემოსული ყუთისა და საარჩევნო დოკუმენტაციის დალუქვის შესახებ, რომელსაც ხმის დათვლის პროცედურების დასრულების შემდეგ წარუდგენს საოლქო საარჩევნო კომისიას.

6. ხსნის საარჩევნო ყუთს;

   ☝ თუ საარჩევნო ყუთის ლუქის მთლიანობა დარღვეული აღმოჩნდა, მაგრამ კომისია მიიჩნევს, რომ ამას არ გამოუწვევია საარჩევნო კოდექსის მოთხოვნათა დარღვევა,

კომისიის განკარგულებით გრძელდება შედეგების შეჯამების პროცედურა (საარჩევნო კოდექსი, მუხლი 58.2). წინააღმდეგ შემთხვევაში, კომისია განკარგულებით მიიღებს გადაწყვეტილებას სამხედრო უბნიდან შემოსული ყუთისა და საარჩევნო დოკუმენტაციის დალუქვის შესახებ, რომელსაც ხმის დათვლის პროცედურების დასრულების შემდეგ წარუდგენს საოლქო საარჩევნო კომისიას;

7. ხსნის საკონტროლო ფურცლის დალუქულ კონვერტს და ადარებს საარჩევნო ყუთში არსებულ საკონტროლო ფურცელს;

   ☝ თუ საკონტროლო ფურცელი არ აღმოჩნდა ან ის არსებითად განსხვავდება შესადარებლად შენახული საკონტროლო ფურცლისგან, ყველა სპეციალურ კონვერტს დაეწერება „ბათილია", დაუყოვნებლივ შეიფუთება და დაილუქება. კომისია მიიღებს განკარგულებას სამხედრო უბნის საარჩევნო დოკუმენტაციის დალუქვასთან დაკავშირებით; ხმის დათვლის პროცედურების დასრულების შემდეგ სამხედრო უბნიდან შემოსული დალუქული დოკუმენტაცია წარედგინება საოლქო საარჩევნო კომისიას (საარჩევნო კოდექსი, მუხლი 58.5);

8. მიუთითებს მთვლელებს დაითვალონ სპეციალური კონვერტების რაოდენობა და ადარებს ამომრჩეველთა სიაში ხელმოწერების რაოდენობას;

   ☝ თუ კონვერტების რაოდენობა ხელმოწერების რაოდენობაზე მეტი აღმოჩნდა, საარჩევნო ყუთში არსებულ ყველა სპეციალურ კონვერტს დაეწერება „ბათილია", დაუყოვნებლივ შეიფუთება და დაილუქება. კომისია მიიღებს განკარგულებას სამხედრო უბნის საარჩევნო დოკუმენტაციის დალუქვასთან დაკავშირებით; ხმის დათვლის პროცედურების დასრულების შემდეგ სამხედრო უბნიდან შემოსული დალუქული დოკუმენტაცია წარედგინება საოლქო საარჩევნო კომისიას (საარჩევნო კოდექსი, მუხლი 58.4).

სამხედრო უბნის საარჩევნო დოკუმენტაციის თანმხლები საუბნო საარჩევნო კომისიის წევრები ვალდებულნი არიან დატოვონ ძირითადი საარჩევნო უბანი სამხედრო უბნისა და ძირითადი უბნის კონვერტების შერევის შემდეგ.

ძირითადი საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე მიუთითებს კომისიის მდივანს ცალკე (ან სამხედრო უბნის ჩანაწერთა წიგნში) ჩაიწეროს სამხედრო უბნის ხელმოწერების, მიღებული, გაფუჭებული და გამოუყენებელი ბიულეტენების რაოდენობები. კომისიის მდივანი ძირითადი და სამხედრო უბნის მონაცემებს აჯამებს და ისე შეაქვს კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმებში.

სამხედრო უბნიდან შემოსული საარჩევნო დოკუმენტაციის მონაცემების შემოწმების შემდეგ, ძირითადი საუბნო საარჩევნო კომისია ატარებს ძირითადი უბნის საარჩევნო ყუთის გახსნამდე ჩასატარებელ პროცედურას, რომლის დროსაც პირველ რიგში ითვლება ძირითადი უბნის ხელმოწერების, მიღებული, გაფუჭებული და გამოუყენებელი ბიულეტენების რაოდენობები და შემდგომ ერთად ჯამდება ძირითადი და სამხედრო უბნის მონაცემები (ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა ძირითად და სპეციალურ სიებში, კენჭისყრაში მონაწილე ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა, მიღებული, გამოუყენებელი, გაფუჭებული ბიულეტენების რაოდენობა).

ძირითადი საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ცალკე კონვერტში დებს და ლუქავს სამხედრო უბნიდან შემოსულ განცხადებებს/საჩივრებს, კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნს და სარეგისტრაციო ჟურნალს, რომელსაც შემდგომ გადასცემს საოლქო საარჩევნო კომისიას.

წილისყრა



კენჭისყრის დასრულებისთანავე, საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ატარებს წილისყრას მთვლელების გამოვლენის მიზნით (საარჩევნო კოდექსი, მუხლი 57.1, 52.2):

- ✓ აანალიზებს, თუ რამდენი კომისიის წევრი იღებს წილისყრის პროცესში მონაწილეობას (თავმჯდომარე, მოადგილე და მდივანი წილისყრაში არ იღებენ მონაწილეობას);
- ✓ მათი რაოდენობის შესაბამისად ამზადებს ერთი ფორმისა და სახეობის (ფერის) ფურცლებს;
- ✓ მათგან 3 ფურცელზე ერთი და იმავე ფერის საწერი კალმით წერს: "პირველი მთვლელი", "მეორე მთვლელი" და "მესამე მთვლელი";
- ✓ ყველა ფურცელს ამოწმებს კომისიის ბეჭდით;
- ✓ ყველა ფურცელს კეცავს ისე, რომ მათზე ტექსტის წაკითხვა შეუძლებელი იყოს და ათავსებს ყუთში;
- ✓ მიმართავს წილისყრაში მონაწილე კომისიის წევრებს, სათითაოდ ამოიღონ წილისყრის ფურცლები ყუთიდან.

კომისიის მდივანს წილისყრის შედეგი შეაქვს ჩანაწერთა წიგნის მე-3 გვერდზე ($51^2.4^1$).

საარჩევნო უბანში მყოფი დამკვირვებლები ურთიერთშეთანხმებით არჩევენ ორ მეთვალყურეს, რომლებიც დააკვირდებიან ხმების დათვლის პროცედურას მთვლელების გვერდით. თუ დამკვირვებლებმა ურთიერთშეთანხმებით ვერ შეარჩიეს ორი მეთვალყურე, საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე კენჭისყრის შენობაში მყოფი დამკვირვებლებისგან წილისყრით გამოავლენს ორ მეთვალყურეს (საარჩევნო კოდექსი, მუხლი 57.1).

საარჩევნო უბნის მომზადება საარჩევნო ბიულეტენების დასათვლელად



კომისიის თავმჯდომარე და მთვლელები ხმების დასათვლელად ამზადებენ საარჩევნო უბანს: მთვლელები იკავებენ ადგილს მაგიდის ერთ მხარეს; ერთი მეთვალყურე დგება მეორე მთვლელის გვერდით, ხოლო მეორე მეთვალყურე მესამე მთვლელის გვერდით (საარჩევნო კოდექსი, მუხლი 59.2); კომისიის თავმჯდომარე იკავებს ადგილს ისე, რომ მან შეძლოს ყველა მთვლელის დანახვა; კომისიის მდივანი ადგილს იკავებს თავმჯდომარის გვერდით და ავსებს ჩანაწერთა წიგნს.

კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე დანარჩენი პირები ადგილს იკავებენ მაგიდისგან (მთვლელებისგან) ერთი მეტრის დაშორებით (საარჩევნო კოდექსი, მუხლი 58.3).

კომისიის თავმჯდომარემ უნდა გაითვალისწინოს, რომ მაგიდაზე, რომელზეც მიმდინარეობს დათვლა, არ იდოს ზედმეტი დოკუმენტაცია, საწერი საშუალება; ასევე, მაგიდას არ ჰქონდეს გადასაფარებელი.

კომისიის თავმჯდომარემ მთვლელების მაგიდასთან უნდა მიიტანოს:

- ▪ ამომრჩეველთა ერთიანი სია, სპეციალური სია და სიის დანართი;
- ▪ გამოუყენებელი საარჩევნო ბიულეტენები;
- ▪ გაფუჭებული საარჩევნო ბიულეტენები;
- ▪ ძირითადი და გადასატანი საარჩევნო ყუთები;
- ▪ შესადარებლად შენახული საკონტროლო ფურცელი;
- ▪ სანთლები, ფარანი (ელექტროენერგიის შეწყვეტის შემთხვევისთვის);
- ▪ კალკულატორი.

საარჩევნო ყუთის გახსნამდე ჩასატარებელი პროცედურები

კომისიის თავმჯდომარე მთვლელებს მიუთითებს დაითვალონ შემდეგი თანმიმდევრობით (საარჩევნო კოდექსი, მუხლი 57.2):

I. ამომრჩეველთა რაოდენობა ამომრჩეველთა სპეციალურ სიაში; აღნიშნული მონაცემი კომისიის მდივანს შეაქვს ჩანაწერთა წიგნის, სადემონსტრაციო ოქმებისა და კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმების მე-2 გრაფაში;

II. ამომრჩეველთა ხელმოწერების რაოდენობა ამომრჩეველთა ერთიან სიაში, სპეციალურ სიასა და ამომრჩეველთა სიის დანართში. კომისიის მდივანი აჯამებს სამივე მონაცემს და მიღებული რაოდენობა დაუყოვნებლივ შეაქვს ჩანაწერთა წიგნში და სადემონსტრაციო ოქმებში (საარჩევნო კოდექსი, მუხლი 57.2).

III. გამოუყენებელი საარჩევნო ბიულეტენები, რომელთა რაოდენობა კომისიის მდივანს დაუყოვნებლივ შეაქვს ჩანაწერთა წიგნში და სადემონსტრაციო ოქმებში (საარჩევნო კოდექსი, მუხლი 57.3.ა)).

IV. გაფუჭებული საარჩევნო ბიულეტენები, რომელთა რაოდენობა კომისიის მდივანს დაუყოვნებლივ შეაქვს ჩანაწერთა წიგნში და სადემონსტრაციო ოქმებში (საარჩევნო კოდექსი, მუხლი 57.3.ბ)).

მონაცემების სისწორის გადამოწმების მიზნით, კომისიის მდივანი ამოწმებს:

- ✓ მიღებული ბიულეტენების რაოდენობას – ხელმოწერების რაოდენობა – გაფუჭებული ბიულეტენების რაოდენობა = გამოუყენებელი ბიულეტენების რაოდენობას. თუ ტოლობა არ შედგა, კომისიის თავმჯდომარე მთვლელებს მიუთითებს გადაითვალონ:
  1. ყველა სახის სიაში ხელმოწერების რაოდენობა;
  2. გამოუყენებელი ბიულეტენების რაოდენობა;
  3. გაფუჭებული ბიულეტენების რაოდენობა.

კომისიის თავმჯდომარე მთვლელებს მიუთითებს ცალ-ცალკე კონვერტებში დალუქონ:

- ➢ ამომრჩეველთა ერთიანი სია, სპეციალური სია (ასევე, კენჭისყრის დღეს სპეციალურ სიაში შეყვანილი ამომრჩევლების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ასლები) და ამომრჩეველთა სიის დანართი. კონვერტებს ზემოდან ეწერება საარჩევნო დოკუმეტაციის სახეობა, საარჩევნო ოლქისა და უბნის ნომერი. კონვერტის დალუქვის ზოლზე ხელს აწერენ მთვლელები და კომისიის თავმჯდომარე და მიეთითება დალუქვის თარიღი და დრო (საარჩევნო კოდექსი, მუხლი 57.2, 57.4).

- ➢ გამოუყენებელი საარჩევნო ბიულეტენების ბლოკნოტები. კონვერტის თავფურცელზე იწერება არჩევნების სახეობა (პროპორციული ან მაჟორიტარული), საარჩევნო დოკუმენტაციის სახეობა (გამოუყენებელი საარჩევნო ბიულეტენები), კონვერტში მოთავსებული ბიულეტენების რაოდენობა, საარჩევნო ოლქის და უბნის ნომერი. კონვერტის დალუქვის ზოლზე ხელს აწერენ მთვლელები და კომისიის თავმჯდომარე და მიეთითება დალუქვის თარიღი და დრო (საარჩევნო კოდექსი, მუხლი 57.3.ბ)).

- ➢ გაფუჭებული საარჩევნო ბიულეტენები. კონვერტის თავფურცელზე იწერება არჩევნების სახეობა (პროპორციული ან მაჟორიტარული), საარჩევნო დოკუმენტაციის სახეობა (გაფუჭებული საარჩევნო ბიულეტენები), კონვერტში მოთავსებული ბიულეტენების

რაოდენობა, საარჩევნო ოლქის და უბნის ნომერი. კონვერტის დალუქვის ზოლზე ხელს აწერენ მთვლელები და კომისიის თავმჯდომარე და მიეთითება დალუქვის თარიღი და დრო.

➢ რეგისტრატორების ბეჭდები და შტამპი; კონვერტს დაეწერება საარჩევნო ინვენტარის სახეობა, საარჩევნო ოლქის და უბნის ნომერი. კონვერტის დალუქვის ზოლზე ხელს აწერენ მთვლელები და კომისიის თავმჯდომარე და მიეთითება დალუქვის თარიღი და დრო.

საარჩევნო დოკუმენტაციის ყოველი შეკვრა ილუქება იმგვარად, რომ ლუქის დაუზიანებლად შეუძლებელი იყოს შეკვრიდან დოკუმენტაციის ამოღება ან ჩადება.

თავი XVIII. საარჩევნო ყუთების გახსნა

I. კომისიის თავმჯდომარე გადასატანი საარჩევნო ყუთის გახსნის მიზნით ატარებს შემდეგ პროცედურას:

1. კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირთა თანდასწრებით ამოწმებს გადასატანი საარჩევნო ყუთის ლუქის მთლიანობას (საარჩევნო კოდექსი, მუხლი 58.1) და ლუქის ნომერს ადარებს კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნში მითითებულ ნომერს.

   ☝ თუ ლუქის მთლიანობა დარღვეული აღმოჩნდა, მაგრამ საუბნო საარჩევნო კომისია მიიჩნევს, რომ ამას არ გამოუწვევია საარჩევნო კოდექსის მოთხოვნათა დარღვევა, კომისიის განკარგულებით გრძელდება კენჭისყრის შედეგების შეჯამების პროცედურა (საარჩევნო კოდექსი, მუხლი 58.2). წინააღმდეგ შემთხვევაში, კომისია განკარგულებით მიიღებს გადაწყვეტილებას ყუთისა და საარჩევნო დოკუმენტაციის დალუქვის შესახებ და ხმის დათვლის პროცედურების დასრულების შემდეგ დალუქული გადასატანი ყუთი სხვა დოკუმენტაციასთან ერთად წარედგინება საოლქო საარჩევნო კომისიას;

   ☝ თუ ლუქის ნომერი განსხვავდება ჩანაწერთა წიგნში მითითებული ნომრისგან, გადასატანი საარჩევნო ყუთი დაილუქება, კომისია განკარგულებით მიიღებს გადაწყვეტილებას ყუთისა და საარჩევნო დოკუმენტაციის დალუქვის შესახებ და ხმის დათვლის პროცედურების დასრულების შემდეგ დალუქული გადასატანი ყუთი სხვა დოკუმენტაციასთან ერთად წარედგინება საოლქო საარჩევნო კომისიას.

2. ხსნის გადასატან საარჩევნო ყუთს; მიუთითებს მთვლელებს, რომ სპეციალური კონვერტები განათავსონ მაგიდაზე, რის შემდეგაც ამოწმებს საკონტროლო ფურცლის არსებობას და უდარებს შესადარებლად შენახულ საკონტროლო ფურცელს; მიუთითებს

მდივანს შეინახოს გადასატან საარჩევნო ყუთში აღმოჩენილი საკონტროლო ფურცელი ხმების დათვლის დამთავრებამდე (საარჩევნო კოდექსი, მუხლი 58.4);

- ☝ თუ საკონტროლო ფურცელი არ აღმოჩნდა ან ის არსებითად განსხვავდება შესადარებლად შენახული საკონტროლო ფურცლისგან, გადასატან ყუთში აღმოჩენილ ყველა სპეციალურ კონვერტს დაეწერება „ბათილია", დაუყოვნებლივ შეიფუთება და დაილუქება. კომისია მიიღებს განკარგულებას გადასატან საარჩევნო ყუთში აღმოჩენილი სპეციალური კონვერტების დალუქვასთან დაკავშირებით; ხმის დათვლის პროცედურების დასრულების შემდეგ ხმის დალუქული კონვერტები სხვა დოკუმენტაციასთან ერთად წარედგინება საოლქო საარჩევნო კომისიას (საარჩევნო კოდექსი, მუხლი 58.5);

3. მიუთითებს მთვლელებს დაითვალონ გადასატან საარჩევნო ყუთში აღმოჩენილი კონვერტების რაოდენობა, რომელსაც უდარებს ამომრჩეველთა სიის დანართში ხელმომწერ ამომრჩეველთა რაოდენობას;

- ☝ თუ კონვერტების რაოდენობა ხელმოწერების რაოდენობაზე მეტი აღმოჩნდა, გადასატან საარჩევნო ყუთში არსებული კონვერტები ილუქება, ეწერება „ბათილია"; კომისია განკარგულებით მიიღებს გადაწყვეტილებას არსებული კონვერტების დალუქვის შესახებ და ხმის დათვლის პროცედურების დასრულების შემდეგ სხვა დოკუმენტაციასთან ერთად წარედგინება საოლქო საარჩევნო კომისიას (საარჩევნო კოდექსი, მუხლი 58.4).

4. მიუთითებს მთვლელებს დროებით დააბრუნონ სპეციალური კონვერტები გადასატან საარჩევნო ყუთში;

II. კომისიის თავმჯდომარე ძირითადი საარჩევნო ყუთის გახსნის მიზნით ატარებს შემდეგ პროცედურას:



1. კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირთა თანდასწრებით ამოწმებს ძირითადი საარჩევნო ყუთის ლუქის მთლიანობას და ლუქის ნომერს ადარებს კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნში მითითებულ ნომერს (საარჩევნო კოდექსი, მუხლი 58.1).

- ☝ თუ ლუქის მთლიანობა დარღვეული აღმოჩნდა, მაგრამ კომისია მიიჩნევს, რომ ამას არ გამოუწვევია საარჩევნო კოდექსის მოთხოვნათა დარღვევა, კომისიის განკარგულებით გრძელდება კენჭისყრის შედეგების შეჯამების პროცედურა. წინააღმდეგ შემთხვევაში, საარჩევნო ყუთი ილუქება და საარჩევნო ყუთი, სხვა საარჩევნო დოკუმენტაცია და კომისიის განკარგულება, ყუთისა და საარჩევნო დოკუმენტაციის დალუქვის გადაწყვეტილების შესახებ, დაუყოვნებლივ გადაეცემა საოლქო საარჩევნო კომისიას (საარჩევნო კოდექსი, მუხლი 58.2)

- ☝ თუ ლუქის ნომერი განსხვავდება ჩანაწერთა წიგნში მითითებული ნომრისგან, კომისია განკარგულებით მიიღებს ყუთისა და შესაბამისი საარჩევნო დოკუმენტაციის დალუქვის გადაწყვეტილებას, ყველა საარჩევნო დოკუმენტაცია დაილუქება და დაუყოვნებლივ წარედგინება საოლქო საარჩევნო კომისიას;

2. ხსნის ძირითად საარჩევნო ყუთს; მიუთითებს მთვლელებს სპეციალური კონვერტები განათავსონ მაგიდაზე, რის შემდეგაც ამოწმებს საკონტროლო ფურცლის არსებობას და უდარებს შესადარებლად შენახულ საკონტროლო ფურცელს;

- ☝ თუ საკონტროლო ფურცელი არ აღმოჩნდა ან ის არსებითად განსხვავდება შესადარებლად შენახული საკონტროლო ფურცლისგან, ყველა სპეციალურ კონვერტს დაეწერება "ბათილია". კომისია მიიღებს განკარგულებას ყველა საარჩევნო დოკუმენტაციის დაილუქვის შესახებ, რომელიც დაუყოვნებლივ გადაეცემა საოლქო საარჩევნო კომისიას (საარჩევნო კოდექსი, მუხლი 58.5).

3. მიუთითებს მდივანს შეინახოს ძირითად და გადასატან საარჩევნო ყუთებში აღმოჩენილი საკონტროლო ფურცლები ხმების დათვლის დამთავრებამდე;

III. კომისიის თავმჯდომარე მიუთითებს მთვლელებს აურიონ ძირითადი და გადასატანი საარჩევნო ყუთებიდან გადმოყრილი სპეციალური კონვერტები.

თავი XIX. საარჩევნო ბიულეტენების დახარისხება, დათვლა და დალუქვა

☝ ამომრჩევლის მიერ ნების გამოვლენის შემდეგ საარჩევნო ბიულეტენში ნებისმიერი ფორმით შესწორების, ცვლილების ან დამატების შეტანა ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე (საარჩევნო კოდექსი, მუხლი 59.3[1]).

საარჩევნო ბიულეტენების დახარისხება

მთვლელები საარჩევნო ბიულეტენებს ახარისხებენ შემდეგი წესის დაცვით (იხ. დახარისხების დიაგრამა):



I. პირველი მთვლელი სპეციალური კონვერტიდან იღებს საარჩევნო ბიულეტენებს;

☝ თუ კონვერტში დადგენილ რაოდენობაზე მეტი ბიულეტენი აღმოჩნდა, მასში მოთავსებული ყველა ბიულეტენი ბათილია (საარჩევნო კოდექსი, მუხლი 59.3.გ)).

☝ თუ კონვერტში აღმოჩნდა დაუდგენელი ნიმუშის ბიულეტენი (საარჩევნო ყუთში აღმოჩენილი ნებისმიერი სახის ფურცელი, რომელიც არ შეესაბამება ცესკო/უსკო-ს მიერ ოფიციალურად დადგენილ ფორმას), მას ცალკე გადადებს (დაუდგენელი ნიმუშის ბიულეტენები დალუქვის გარეშე წარედგინება საოლქო საარჩევნო კომისიას).

II. პირველი მთვლელი ამოწმებს საარჩევნო ბიულეტენების ნამდვილობას და აცხადებს ვისთვისაა ხმა მიცემული მაჟორიტარული და პროპორციული არჩევნების მიხედვით; ან მისი ბათილობის შემთხვევაში აცხადებს ბათილობის მიზეზს. საარჩევნო ბიულეტენი ბათილია იმ შემთხვევაში, თუ (საარჩევნო კოდექსი, მუხლი 59.3):

1) საარჩევნო ბიულეტენი დამოწმებული არ არის რეგისტრატორის ხელმოწერითა და სპეციალური ბეჭდით;
2) შეუძლებელია იმის დადგენა, რომელ საარჩევნო სუბიექტს მისცა ხმა ამომრჩეველმა (ამომრჩეველმა ხმა არ მისცა არცერთ სუბიექტს, ან ხმა მისცა ერთზე მეტ სუბიექტს, ყველა გადახაზა და სხვ.);
3) სპეციალური კონვერტი არ არის დადგენილი ნიმუშის;
4) საარჩევნო ბიულეტენი საარჩევნო ყუთში აღმოჩნდა სპეციალური კონვერტის გარეშე;
5) საარჩევნო ბიულეტენი განკუთვნილი იყო სხვა საარჩევნო უბნისთვის.

ბათილად არ უნდა ჩაითვალოს ის საარჩევნო ბიულეტენი, რომელშიც აშკარაა ამომრჩევლის განზრახვა, ხმა მისცეს რომელიმე სუბიექტს.

☝ იმ შემთხვევაში, თუ კომისიის რომელიმე წევრი, ან კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე რომელიმე პირი, არ დაეთანხმება პირველი მთვლელის გადაწყვეტილებას ბიულეტენის ნამდვილობის შესახებ, ასეთი ბიულეტენი გადაიდება ცალკე – საეჭვოდ მიჩნეულ ბიულეტენებში (მთვლელი ვალდებულია დააკმაყოფილოს ეს მოთხოვნა) (საარჩევნო კოდექსი, მუხლი 59.2).

III. პირველი მთვლელი აწვდის პროპორციულ ბიულეტენს მეორე მთვლელს, ხოლო მაჟორიტარულ ბიულეტენს – მესამე მთვლელს, ხოლო სპეციალურ კონვერტს გადადებს ცალკე (საარჩევნო კოდექსი, მუხლი 59.1.ა));
IV. მეორე და მესამე მთვლელები ახარისხებენ საარჩევნო ბიულეტენებს საარჩევნო სუბიექტებისთვის მიცემული ხმების, ბათილი ბიულეტენების და საეჭვოდ მიჩნეული ბიულეტენების მიხედვით (საარჩევნო კოდექსი, მუხლი 59.1.ბ));
V. საარჩევნო ბიულეტენების დახარისხების დასრულების შემდეგ, კომისიის თავმჯდომარე კომისიის წევრებთან ერთად განიხილავს და კენჭისყრით წყვეტენ საეჭვოდ მიჩნეული ბიულეტენების ნამდვილობის საკითხს. ნამდვილად მიჩნეული საარჩევნო ბიულეტენს კომისიის თავმჯდომარე დებს ნამდვილი ბიულეტენების დასტაში (საარჩევნო სუბიექტისთვის მიცემული ხმის მიხედვით), ხოლო ბათილად მიჩნეულ საარჩევნო ბიულეტენს – ბათილად მიჩნეული საარჩევნო ბიულეტენების დასტაში (საარჩევნო კოდექსი, მუხლი 59.4);

VI. კომისიის თავმჯდომარე ბათილ საარჩევნო ბიულეტენებს ზემოდან აწერს „ბათილია“ და ხელს აწერენ მთვლელები და კომისიის თავმჯდომარე (საარჩევნო კოდექსი, მუხლი 59.5).

საარჩევნო ბიულეტენების დათვლა

ბიულეტენების დახარისხების შემდეგ კომისიის თავმჯდომარე მთვლელებს მიუთითებს დაითვალონ:

1. ბათილი საარჩევნო ბიულეტენები;
2. საარჩევნო სუბიექტების მიხედვით დახარისხებული ბიულეტენები.
   - პირველი და მეორე მთვლელები ითვლიან დახარისხებულ საარჩევნო ბიულეტენებს და აწყობენ ათ-ათ ცალად ერთმანეთზე ჯვარედინად. მესამე მთვლელი ხელახლა ითვლის/ამოწმებს ათ-ათ ცალად დაწყობილ საარჩევნო ბიულეტენებს.

კომისიის თავმჯდომარე აცხადებს თითოეული საარჩევნო სუბიექტის მიერ მიღებული ხმების რაოდენობას მაჟორიტარული და პროპორციული არჩევნების მიხედვით. კომისიის მდივანს ეს მონაცემები შეაქვს კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნში და სადემონსტრაციო ოქმებში.

კომისიის მდივანი მონაცემების სისწორის გადამოწმების მიზნით ამოწმებს:

- ✓ სუბიექტების მიერ მიღებული ხმების საერთო რაოდენობას + ბათილი ბიულეტენების რაოდენობა <= ამომრჩეველთა ხელმოწერების რაოდენობის. თუ ტოლობა არ შედგა, კომისიის თავმჯდომარემ მთვლელებს უნდა მიუთითოს გადაითვალონ:
  - საარჩევნო სუბიექტების მიერ მიღებული ხმები/ბიულეტენები; და
  - ბათილი საარჩევნო ბიულეტენები.

თუ ტოლობა მაინც ვერ იქნა მიღებული, კომისიის მდივანმა კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმი უნდა შეავსოს ხელთ არსებული დოკუმენტაციის/მონაცემების საფუძველზე.

საარჩევნო ბიულეტენების დალუქვა

საარჩევნო ბიულეტენების დათვლის შემდეგ კომისიის თავმჯდომარე მთვლელებს მიუთითებს შეკრან და დალუქონ:

- ➢ ბათილი საარჩევნო ბიულეტენები; სხვა საარჩევნო უბნისთვის განკუთვნილი ბათილი ბიულეტენები ცალკე იკვრება და მათი რაოდენობა აღინიშნება მხოლოდ ჩანაწერთა წიგნში. მთვლელებმა კონვერტს უნდა დააწერონ არჩევნების სახეობა, საარჩევნო დოკუმენტაციის სახეობა (ბათილი საარჩევნო ბიულეტენები), კონვერტში მოთავსებული ბიულეტენების რაოდენობა, საარჩევნო ოლქის და უბნის ნომერი. კონვერტის დალუქვის ზოლზე ხელს აწერენ მთვლელები და კომისიის თავმჯდომარე და მიეთითება დალუქვის თარიღი და დრო (საარჩევნო კოდექსი, მუხლი 59.5);
- ➢ საარჩევნო სუბიექტების მიერ მიღებული ხმები/საარჩევნო ბიულეტენები; მთვლელებმა ათ-ათად დაწყობილი საარჩევნო ბიულეტენები უნდა შეკრან ლითონის შემკვრელით („სტეპლერით“). ყოველ შეკვრას, როგორც სრულს, ისე არასრულს, ზემოდან უნდა დააწერონ შეკრული საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობა. საარჩევნო სუბიექტების მიერ მიღებული ხმები/საარჩევნო ბიულეტენები ცალ-ცალკე იდება კონვერტებში. თითოეულ კონვერტს მთვლელებმა უნდა დააწერონ არჩევნების სახეობა, საარჩევნო სუბიექტის დასახელება, სუბიექტის მიერ მიღებული ხმების რაოდენობა, საარჩევნო ოლქის და უბნის ნომერი. კონვერტის დალუქვის ზოლზე ხელს აწერენ მთვლელები და კომისიის თავმჯდომარე და მიეთითება დალუქვის თარიღი და დრო (საარჩევნო კოდექსი, მუხლი 59.8);



- ➢ საარჩევნო ყუთებიდან ამოღებული საკონტროლო ფურცლები, ასევე შესადარებელი საკონტროლო ფურცელი. კონვერტს დაეწერება საარჩევნო დოკუმენტაციის სახეობა, საარჩევნო ოლქის და უბნის ნომერი. კონვერტის დალუქვის ზოლზე ხელს აწერენ მთვლელები და კომისიის თავმჯდომარე და მიეთითება დალუქვის თარიღი და დრო.

თავი XX. კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის შევსება

საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანი საარჩევნო ბიულეტენების დალუქვის შემდეგ (საარჩევნო კოდექსი, მუხლი 60.1) ავსებს შემაჯამებელ ოქმებს (იხ. დანართი №1); ამ დროისთვის შევსებული უნდა იყოს მხოლოდ 1-ელი, მე-2, მე-3 და მე-5 გრაფები.

კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმებში შესული ყველა მონაცემი უნდა გამოცხადდეს ხმამაღლა, ყველას გასაგონად.

თუ შემაჯამებელი ოქმის შევსებისას კომისიის მდივანი დაუშვებს შეცდომას, შეცდომით შევსებული მონაცემის გასწვრივ მაშინვე აკეთებს წარწერას „შესწორებულია“. კომისიის მდივანი ავსებს შესწორების ოქმის ფორმას (იხ. დანართი №2), მასში აღნიშნავს შემაჯამებელ ოქმში შეცდომით შეტანილ მონაცემს და მის გასწვრივ მიუთითებს სწორ

მონაცემს.

კომისიის მდივანი შესწორების ოქმს უსვამს შედგენის თარიღს და დროს; ოქმს ხელს აწერენ სხდომაზე დამსწრე კომისიის ყველა წევრი; კომისიის თავმჯდომარე უსვამს ბეჭედს. შესწორების ოქმი დაერთვება იმ შემაჯამებელ ოქმს, რომელში შეტანილი მონაცემიც შესწორდა (საარჩევნო კოდექსი, მუხლი $51^1.3$, $51^1.3.^1$).

კომისიის მდივანი შესწორების ოქმს რეგისტრაციაში ატარებს სარეგისტრაციო ჟურნალის "გასული დოკუმენტაციის" ნაწილში და ანიჭებს რეგისტრაციის ნომერს. კომისიის მდივანი მიუთითებს შესწორების ოქმის შევსების თარიღსა და დროს, ორგანიზაციის დასახელებას (საუბნო საარჩევნო კომისია), დოკუმენტის შინარსს (მაგ. კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი მაჟორიტარული ოქმის შესწორების ოქმი); მდივანი ხელს აწერს გრაფაში " დოკუმენტის გამტანის ხელმოწერა".

☝ შემაჯამებელ ოქმში შეტანილი მონაცემების გადასწორება იწვევს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის და მდივნის დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით. ხოლო ასეთი ოქმის ბათილობის საკითხს განიხილავს საოლქო საარჩევნო კომისია (საარჩევნო კოდექსი, მუხლი $51^1.3$).

საუბნო საარჩევნო კომისიის ყველა წევრი ხელს აწერს ოქმებს; ოქმზე ხელის მოწერა სავალდებულოა, რადგან ამით დასტურდება მათი დასწრება (ყოფნა) კომისიის სხდომაზე. საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ოქმებს ამოწმებს კომისიის ბეჭდით (საარჩევნო კოდექსი, მუხლი 60.4).

თუ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრი არ ეთანხმება ოქმში შეტანილ მონაცემებს, მას უფლება აქვს ოქმს წერილობით დაურთოს განხსვავებული აზრი, ასევე ჩანაწერი გააკეთოს შემაჯამებელ ოქმში „განსხვავებული აზრის" გრაფაში და მოაწეროს ხელი ოქმს (საარჩევნო კოდექსი, მუხლი 60.5).

კომისიის მდივანი შემაჯამებელ ოქმებზე ხელმოწერების და ბეჭდის დასმის შემდეგ, ოქმებს (დედანს) ატარებს რეგისტრაციაში სარეგისტრაციო ჟურნალის "გასული დოკუმენტაციის" ნაწილში და ოქმებს ანიჭებს სარეგისტრაციო ნომრებს. კომისიის მდივანი მიუთითებს ოქმების შევსების თარიღსა და დროს, ორგანიზაციის დასახელებას (საუბნო საარჩევნო კომისია), დოკუმენტის შინარსს (მაგ. კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი მაჟორიტარული ოქმი); მდივანი ხელს აწერს გრაფაში " დოკუმენტის გამტანის ხელმოწერა".

კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის საჯაროობა

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ვალდებულია შემაჯამებელი ოქმის ასლი დაუყოვნებლივ, ოქმის შევსებისთანავე, თავის ხელთ არსებული ტექნიკური საშუალებებით (მათ შორის ფაქსის მეშვეობით, სადაც არის ამის შესაძლებლობა) გაუგზავნოს ცესკო/უსკო-ს (საარჩევნო კოდექსი, მუხლი $60^1.1$).

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ოქმების ასლები უნდა გამოაკრას საარჩევნო უბანში საჯარო გაცნობისთვის (საარჩევნო კოდექსი, მუხლი 60.8).

მოთხოვნის შემთხვევაში, საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანი პარტიის/საარჩევნო ბლოკის წარმომადგენლებს და დამკვირვებელი ორგანიზაციის დამკვირვებლებს დაუყოვნებლივ გადასცემს შემაჯამებელი ოქმების ასლებს (კომისიის წევრების თანდართული განსხვავებული აზრებით და შესწორების ოქმებით ასეთების არსებობის შემთხვევაში).

ოქმის ასლი მოწმდება საუბნო საარჩევნო კომისიის ბეჭდით და საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისა და მდივნის ხელმოწერებით (ამ ოქმების იურიდიული ძალა ისეთივეა, როგორიც საუბნო საარჩევნო კომისიის შემაჯამებელი ოქმისა). ოქმის ასლს კომისიის ბეჭედი და ხელმოწერები ესმება ცარიელ ადგილზე, ისე, რომ არ გადაიფაროს მონაცემები.

კომისიის მდივანი კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმების ასლების გაცემისას

სარეგისტრაციო ჟურნალში მიუთითებს გაცემული დოკუმენტის დასახელებას (შინაარსს), მიმღები სუბიექტის დასახელებას და გაცემის თარიღს. კომისიის მდივანი მიმღებს გადასცემს ცნობას, რომელზეც მიუთითებს, თუ რომელი სარეგისტრაციო ნომრით გადაეცა ოქმის ასლი (ოქმის ასლს ზემოდან არ უნდა დაეწეროს ასლის სარეგისტრაციო ნომერი). ოქმის მიღება წარმომადგენელმა/დამკვირვებელმა ჩანაწერთა წიგნში და სარეგისტრაციო ჟურნალში ხელმოწერით უნდა დაადასტუროს.

☝ კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის ასლის გაუცემლობა იწვევს კომისიის თავმჯდომარისა და კომისიის მდივნის პასუხისმგებლობას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით (საარჩევნო კოდექსი, მუხლი 60.8[1]).

თავი XXI. საარჩევნო დოკუმენტაციის გადაცემა

ოქმის შევსების და ოქმების ასლების გაცემის შემდეგ კომისიის თავმჯდომარე ლუქავს:

➢ სარეგისტრაციო ჟურნალს, ჩანაწერთა წიგნს და საჩივრებს: კომისიის მდივანი ჩანაწერთა წიგნის ბოლო შევსებულ გვერდზე და სარეგისტრაციო ჟურნალის (ორივე ნაწილში) უკანასკნელი ჩანაწერის შემდეგ აკეთებს წარწერას: „დახურულია“, მიუთითებს თარიღს და ზუსტ დროს. სარეგისტრაციო ჟურნალი იხურება კომისიის მდივნისა და კომისიის წევრთა ხელმოწერებით და მოწმდება საუბნო საარჩევნო კომისიის ბეჭდით.

სარეგისტრაციო ჟურნალი, ჩანაწერთა წიგნი და განცხადებები/საჩივრები ილუქება ერთ კონვერტში (ცესკო-ს დადგენილება №31/2008). კონვერტს დაეწერება საარჩევნო დოკუმენტაციის სახეობა, საარჩევნო ოლქის და უბნის ნომერი. კონვერტის დალუქვის ზოლზე ხელს აწერენ მთვლელები და კომისიის თავმჯდომარე და მიეთითება დალუქვის თარიღი და დრო. აღნიშნული კონვერტი სხვა დალუქული დოკუმენტაციისგან განცალკევებით წარედგინება საოლქო საარჩევნო კომისიას (51[2].10).

➢ კომისიის ბეჭედს. კონვერტს დაეწერება საარჩევნო დოკუმენტაციის სახეობა, საარჩევნო ოლქის და უბნის ნომერი; კონვერტის დალუქვის ზოლზე ხელს აწერენ კომისიის ყველა წევრი და მიეთითება დალუქვის თარიღი და დრო.

კომისიის თავმჯდომარე დიდ ყუთში/ტომარაში დებს დალუქულ კონვერტებს შემდეგი დოკუმენტაციით:

- ☐ ამომრჩეველთა ერთიანი სია;
- ☐ ამომრჩეველთა სპეციალური სია;
- ☐ ამომრჩეველთა სიის დანართი;
- ☐ გამოუყენებელი საარჩევნო ბიულეტენები;
- ☐ გაფუჭებული საარჩევნო ბიულეტენები;
- ☐ რეგისტრატორების ბეჭდები;
- ☐ შტამპი “არჩევნებიდან მოხსნილია”
- ☐ საარჩევნო სუბიექტების მიერ მიღებული ხმები/საარჩევნო ბიულეტენები;
- ☐ ბათილად მიჩნეული საარჩევნო ბიულეტენები;
- ☐ სხვა საარჩევნო უბნისთვის განკუთვნილი ბათილი ბიულეტენები;
- ☐ საკონტროლო ფურცლები;
- ☐ კომისიის ბეჭედი.

ყუთს/ტომარას ეკვრება თავი, მაგრამ არ ილუქება; კომისიის თავმჯდომარე დააწერს საარჩევნო ოლქისა და უბნის ნომრებს.

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე და კომისიის დანარჩენი ყველა სხვა წევრიდან წილისყრით გამოვლენილი კომისიის ორი წევრი საოლქო საარჩევნო კომისიას გადასცემს საარჩევნო დოკუმენტაციის ყუთს/ტომარას და მისგან განცალკევებით:

- კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმებს (არ ილუქება);
- განცხადებები/საჩივრების, კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნისა და სარეგისტრაციო ჟურნალის დალუქულ კონვერტს.

საუბნო საარჩევნო კომისიამ საოლქო საარჩევნო კომისიას დაულუქავი სახით უნდა გადასცეს: გამოუყენებელი სპეციალური კონვერტები; მარკირების სითხე და მარკირების შესამოწმებელი ულტრაიისფერი ფარანი; ძირითადი და გადასატანი საარჩევნო ყუთები; ფარული კენჭისყრის კაბინები; საარჩევნო უბნის აბრა; ასლგადამღები (და ფაქსის) მანქანა.

საოლქო საარჩევნო კომისიაში საუბნო საარჩევნო კომისიის მიერ საარჩევნო დოკუმენტაციის გადაცემისას, დგება მიღება-ჩაბარების აქტი, სადაც მიეთითება საარჩევნო დოკუმენტაციის სახეობა და რაოდენობა. აქტს ხელს აწერენ საარჩევნო დოკუმენტაციის გამცემი და მიმღები პირები და თითოეულს გადაეცემა აქტის თითო ცალი. აქტის თითო ცალი უნდა გადაეცეს გამცემს და მიმღებს.

თავი XXII. კენჭისყრის დღის განცხადებები და საჩივრები

საუბნო საარჩევნო კომისია განიხილავს საარჩევნო პროცესთან და კენჭისყრის მომზადებასთან დაკავშირებულ განცხადებებსა და საჩივრებს და თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, იღებს სათანადო გადაწყვეტილებას (საარჩევნო კოდექსი, მუხლი 38.2.კ)).

კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე ყველა პირს უფლება აქვს კენჭისყრის დღეს საარჩევნო პროცედურასთან დაკავშირებული პრეტენზიები, საჩივრები და შენიშვნები შეიტანოს ჩანაწერთა წიგნში (მე-10 და მომდევნო გვერდებზე). ჩანაწერთა წიგნში ჩანაწერის შემტანი პირი ვალდებულია მიუთითოს თავისი გვარი, სახელი და მისამართი საქართველოს მოქალაქის რეგისტრაციის მოწმობის მიხედვით. არავის აქვს უფლება ხელი შეუშალოს კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირს ჩანაწერთა წიგნში შეიტანოს პრეტენზია, შენიშვნა ან საჩივარი (საარჩევნო კოდექსი, მუხლი $51^2.8$, $51^2.9$).

განცხადების/საჩივრის შედგენა

განცხადება-საჩივარი საარჩევნო უბანში **კენჭისყრის პროცედურის დროს ჩადენილი დარღვევის შესახებ** შედგენილი უნდა იქნეს კანონის დარღვევის შემჩნევისთანავე, კენჭისყრის დღის 7 საათიდან საარჩევნო ყუთის გახსნამდე. აღნიშნული განცხადება უნდა გადაეცეს საუბნო კომისიის თავმჯდომარეს, თავმჯდომარის მოადგილეს ან კომისიის მდივანს საარჩევნო ყუთის გახსნამდე (საარჩევნო კოდექსი, მუხლი 61.1).

განცხადება-საჩივარი **ხმის დათვლისა და კენჭისყრის შედეგების შეჯამების პროცედურების დროს დაფიქსირებული დარღვევების შესახებ** და კენჭისყრის შედეგების გადასინჯვის ან ბათილად ცნობის მოთხოვნით, შედგენილი უნდა იქნეს კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის შედგენამდე. აღნიშნული განცხადება-საჩივარი (საუბნო საარჩევნო კომისიის სარეგისტრაციო ჟურნალსა და ჩანაწერთა წიგნში გატარების შემდეგ) საუბნო საარჩევნო კომისიის მიერ გადაეცემა საოლქო საარჩევნო კომისიას კენჭისყრის დღის მომდევნო დღის 18 საათამდე (საარჩევნო კოდექსი, მუხლი 61.6).

განცხადებაში (საჩივარში) აღინიშნება (საარჩევნო კოდექსი, მუხლი 61.2):

- განცხადების (საჩივრის) შედგენის თარიღი და დრო;

- განმცხადებლის (მომჩივნის) სახელი, გვარი და მისამართი;
- საარჩევნო უბნის ნომერი და მისამართი;
- დარღვევის არსი და მისი ჩადენის დრო;
- მოწმის არსებობის შემთხვევაში მისი სახელი, გვარი და რეგისტრაციის ადგილი;
- დამრღვევის დადგენის შემთხვევაში მისი ის მონაცემები, რომელთა დადგენა შესაძლებელი გახდა;
- დამრღვევის ახსნა-განმარტება (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- სხვა დამატებითი ინფორმაცია.

განცხადების/საჩივრის მიღება

განცხადების/საჩივრის მიღება შეუძლიათ თავმჯდომარეს, მოადგილეს ან მდივანს. საუბნო საარჩევნო კომისიაში შემოსულ განცხადება-საჩივარს რეგისტრაციაში ატარებს კომისიის მდივანი. კომისიის მდივანი სარეგისტრაციო ჟურნალში მიუთითებს განმცხადებლის ვინაობას; განცხადების/საჩივრის წარმდგენი და მიმღები პირები ხელს აწერენ ჩანაწერის გასვწრივ.

კომისიის მდივანი, განცხადების/საჩივრის მიღების დასტურის მიზნით, განმცხადებელს გადასცემს წერილობით ცნობას (კანონი "უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ", მუხლი 26.15), რომელშიც მიეთითება განცხადების/საჩივრის მიღების თარიღი, ზუსტი დრო და ჟურნალში მისთვის მინიჭებული ნომერი. აღნიშნული ცნობა კომისიის მდივანმა უნდა დაადასტუროს ხელმოწერით.

☝ კომისია არ არის ვალდებული ხელმოწერით დადასტურებული განცხადების ქსეროასლი გადასცეს განმცხადებელს.

კომისიის მდივანმა მიღებული განცხადების/საჩივრის რეგისტრაციის მონაცემები (სარეგისტრაციო ჟურნალში მინიჭებული რეგისტრაციის ნომერი) და შინაარსი დაუყოვნებლივ უნდა გადაიტანოს ჩანაწერთა წიგნშიც (საარჩევნო კოდექსი, მუხლი 61.3).

განცხადების/საჩივრის ხარვეზის დადგენა

განცხადების/საჩივრის მიმღები პირი ვალდებულია განცხადების/საჩივრის წარმდგენს დაუდგინოს ხარვეზი, თუ წარდგენილ განცხადება/საჩივარში არასრულყოფილად არის მითითებული (საარჩევნო კოდექსი, მუხლი 62.1[1]):

- განცხადების (საჩივრის) შედგენის თარიღი და დრო;
- განმცხადებლის (მომჩივნის) სახელი, გვარი და მისამართი,
- საარჩევნო უბნის ნომერი და მისამართი,
- მოწმის (არსებობის შემთხვევაში) სახელი, გვარი და რეგისტრაციის ადგილი.

ხარვეზის დადგენის შემთხვევაში კომისიის მდივანი სარეგისტრაციო ჟურნალში რეგისტრირებული განცხადების/საჩივრის გასწვრივ აკეთებს ჩანაწერს, თუ რა სახის ხარვეზი დაუდგინდა და მის გამოსასწორებლად მიცემულ კონკრეტულ ვადას; ხარვეზის გამოსასწორებლად მიცემული ვადა უნდა იყოს გონივრული, რომ განმცხადებელმა შეძლოს მითითებული ხარვეზის გამოსწორება. განცხადების/საჩივრის წარმდგენი და მიმღები პირები ჩანაწერის გასწვრივ ხელს აწერენ.

ხარვეზდადგენილი საჩივარი უბრუნდება განმცხადებელს. განცხადების ავტორს დადგენილ ვადაში უფლება აქვს თავიდან შეადგინოს ანალოგიური საჩივარი ხარვეზის გამოსწორებით ან/და წარადგინოს განცხადება, სადაც მიეთითება ის მონაცემები, რომლის გამოც დაუდგინდა ხარვეზი.

ხარვეზის შევსების შემთხვევაში, საუბნო საარჩევნო კომისიის სარეგისტრაციო ჟურნალში რეგისტრირებული განცხადების/საჩივრის გასწვრივ აკეთებს ჩანაწერს ხარვეზის შევსების ზუსტი დროისა და თარიღის მითითებით. ჩანაწერის გასვწრივ ხელს აწერენ განცხადების/საჩივრის წარმდგენი და მიმღები პირები.

განცხადების/საჩივრის განხილვა

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ვალდებულია დაუყოვნებლივ მოახდინოს სათანადო რეაგირება განცხადებაზე/საჩივარზე და აღმოფხვრას არსებული დარღვევა (საარჩევნო კოდექსი, მუხლი 61.4)

☝ წარდგენილი განცხადება/საჩივარი არ განიხილება, თუ (საარჩევნო კოდექსი, მუხლი 62.2):

- განცხადება/საჩივარი შედგენილია არაუფლებამოსილი პირის მიერ (საარჩევნო კოდექსი, მუხლი 77.11, 77^{1}.18)
- განცხადება/საჩივარში არ არის აღნიშნული დარღვევის არსი და მისი ჩადენის დრო;
- განცხადება/საჩივარი საუბნო საარჩევნო კომისიას გადაეცა დაგვიანებით (კენჭისყრის პროცედურის შესახებ – საარჩევნო ყუთის გახსნამდე; ხმების დათვლის პროცედურების შესახებ – შემაჯამებელი ოქმის შედგენამდე);
- დადგენილ ვადაში არ გამოსწორდა წარდგენილი განცხადების/საჩივრის ხარვეზი.

თუ კომისიის თავმჯდომარემ არ ან ვერ აღმოფხვრა დარღვევა ან სხვაგვარი ფორმით უარი განაცხადა განცხადებაზე/საჩივარზე რეაგირებაზე, განმცხადებელს/მომჩივანს, ხოლო უფლებამოსილი ორგანიზაციის, პარტიის/საარჩევნო ბლოკის შემთხვევაში – ასევე მის წარმომადგენელს, უფლება აქვს ანალოგიური განცხადება/საჩივარი დაუყოვნებლივ წარუდგინოს საოლქო საარჩევნო კომისიას (საარჩევნო კოდექსი, მუხლი 61.4).

კომისიის თავმჯდომარე ან მდივანი ვალდებულია სარეგისტრაციო ჟურნალში და ჩანაწერთა წიგნში მოცემული საჩივრის გასწვრივ მიუთითოს, თუ როგორ მოგვარდა/გადაწყდა აღნიშნული პრობლემა, ასევე, თუ რა შემთხვევაში ეთქვა უარი დაკმაყოფილებაზე, ან რა შემთხვევაში არ განიხილა საჩივარი.

გახსოვდეთ, ხმის დათვლისა და შედეგების შეჯამების პროცედურებზე შედგენილი განცხადება/საჩივარი შეიძლება გადაეცეს საოლქო საარჩევნო კომისიას უშუალოდ განმცხადებლის მიერ.

თავი XXIII. კომისიის წევრების უფლება-მოვალეობა

ამომრჩეველთა ნაკადის მომწესრიგებელი



წინასაარჩევნო პერიოდში საარჩევნო უბანში განთავსებული საარჩევნო პროგრამები კომისიის წევრმა უნდა ჩამოხსნას კენჭისყრის დღის წინა დღის 24 საათამდე.

1. არეგულირეთ საარჩევნო უბანში შემოსულ ამომრჩეველთა ნაკადი:
   - მიაქციეთ ყურადღება, რომ რიგში მდგომმა ამომრჩევლებმა დაიცვან წესრიგი;
   - წინ გაატარეთ რიგში მდგომი მოხუცი, ავადმყოფი ან ფეხმძიმე ამომრჩეველი;
   - ამომრჩეველთა შორის გამოავლინეთ ინვალიდი ამომრჩევლები, რომლებიც განსაკუთრებულ მოპყრობას საჭიროებენ და გააგზავნეთ ისინი კომისიის თავმჯდომარესთან;
   - შესთავაზეთ ამომრჩევლებს, გადაამოწმონ თავიანთი გვარები საარჩევნო უბანში გამოკრულ ერთიან და სპეციალურ სიებში.
2. მოსთხოვეთ ამომრჩეველს წარმოადგინოს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა ან პასპორტი. თუ ამომრჩეველს არ აღმოაჩნდება პირადობის დამადასტურებელი არც ერთი საბუთი, აუხსენით მას, რომ იგი ვერ მიიღებს კენჭისყრაში მონაწილეობას. სთხოვეთ მას, დატოვოს საარჩევნო უბანი და დაბრუნდეს იმ შემთხვევაში, თუ იქონიებს პირადობის დამადასტურებელ რომელიმე საბუთს.
3. სპეციალური ხელსაწყოთი (ულტრაიისფერი ფარნით) შეამოწმეთ, აღენიშნება თუ არა ამომრჩეველს მარკირება. თუ ამომრჩეველი მარკირებულია, ამომრჩევლის ვინაობა აცნობეთ კომისიის მდივანს, რომელიც ამომრჩევლის სახელსა და გვარს შეიტანს ჩანაწერთა წიგნში. მოსთხოვეთ ამომრჩეველს, დატოვოს კენჭისყრის შენობა;
4. თვალყური ადევნეთ კენჭისყრის შენობაში მყოფ ამომრჩეველთა რაოდენობას. არ დაუშვათ ამომრჩეველი კენჭისყრის შენობაში, თუ მისთვის განკუთვნილ სარეგისტრაციო მაგიდასთან ერთდროულად ორზე მეტი ამომრჩეველი დგას;
5. მიუთითეთ ამომრჩეველს, თუ რომელი სარეგისტრაციო მაგიდაა მისთვის განკუთვნილი (ამომრჩეველი უნდა მივიდეს იმ სარეგისტრაციო მაგიდასთან, რომელსაც მიეკუთვნება ამომრჩეველთა სიაში მისი გვარის პირველი ასო);

კენჭისყრის დამთავრება

20:00 საათზე, კენჭისყრის დამთავრების შემდეგ, სთხოვეთ რიგში მდგომ ამომრჩევლებს, შემოვიდნენ საარჩევნო უბნის შიგნით და დახურეთ კარები. 20:00 საათის შემდეგ მოსული ამომრჩევლები კენჭისყრაზე აღარ დაიშვებიან.

კენჭისყრის დამთავრების შემდეგ, თქვენ შესაძლოა შეასრულოთ მთვლელის ფუნქცია ან სხვა დავალება კომისიის თავმჯდომარის მითითებით.

1. მოსთხოვეთ ამომრჩეველს წარმოადგინოს პირადობის დამადასტურებელი საბუთებიდან ერთ-ერთი:
   - ✓ საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა;
   - ✓ საქართველოს მოქალაქის პასპორტი;
2. შეამოწმეთ, არის თუ არა ამომრჩეველი შეყვანილი ამომრჩეველთა ერთიან ან სპეციალურ სიებში და შეადარეთ ამომრჩევლის პირადი ნომერი.
   - ➢ თუ ამომრჩეველი არ არის შეყვანილი ამომრჩეველთა სიაში, მაგრამ ამომრჩეველი წარადგენს სათანადო დოკუმენტაციას (ჩანაწერი პასპორტში საზღვრის გადაკვეთის შესახებ, ცნობა სტაციონარული სამკურნალო დაწესებულებიდან, სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან განთავისუფლების ცნობა), საუბნო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებით შეიყვანეთ ის ამომრჩეველთა სპეციალურ სიაში და წარმოდგენილი დოკუმენტაციის ფოტოასლები გადაეცით საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს.
3. თუ ამომრჩეველი შეყვანილია ამომრჩეველთა სიაში, განახორციელეთ ამომრჩევლის მარკირება (დაასხურეთ მარკირების საღებავი მარჯვენა ხელის საჩვენებელი ან ცერა თითის ფრჩხილზე; აღნიშნული მოქმედების შეუძლებლობის შემთხვევაში – ხელის თითის სხვა ფრჩხილზე). თუ ამომრჩეველი უარს განაცხადებს მარკირებაზე, განუმარტეთ მას, რომ მარკირების გარეშე ამომრჩეველი ვერ მიიღებს არჩევნებში მონაწილეობას; ასევე განუმარტეთ, რომ მარკირება უვნებელია ჯანმრთელობისთვის. თუ ამომრჩეველი ამ შემთხვევაშიც უარს განაცხადებს, არ გადასცეთ მას ბიულეტენი.
4. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე საარჩევნო სუბიექტი აღარ მონაწილეობას არჩევნებში, დასვით შტამპი წარწერით "არჩევნებიდან მოხსნილია";
5. დაამოწმეთ საარჩევნო ბიულეტენები ხელმოწერით უკანა გვერდზე, ამისთვის განკუთვნილ ადგილზე;
6. დაამოწმეთ ბიულეტენები სპეციალური ბეჭდით უკანა გვერდზე, ამისთვის განკუთვნილ ადგილზე;
7. დაადასტურეთ საარჩევნო ბიულეტენის გაცემა ამომრჩეველთა სიაში ხელმოწერით;
8. სთხოვეთ ამომრჩეველს, დაადასტუროს საარჩევნო ბიულეტენ(ებ)ის მიღება ამომრჩეველთა სიაში თავისი გვარის გასწვრივ ხელმოწერით;
9. გადაეცით ამომრჩეველს საარჩევნო ბიულეტენები;
   - ➢ თუ სპეციალურ სიაში შეყვანილი ამომრჩევლის რეგისტრაციის ადგილი არ განეკუთვნება მოცემულ საარჩევნო ოლქს, გადაეცით მხოლოდ პროპორციული საარჩევნო ბიულეტენი;
10. მიუთითეთ ამომრჩეველს შევიდეს ფარული კენჭისყრის კაბინაში.

გაფუჭებული საარჩევნო ბიულეტენი

თუ თქვენ ან ამომრჩეველს გაგიფუჭდათ საარჩევნო ბიულეტენი, აცნობეთ ამის შესახებ კომისიის თავმჯდომარეს, რომელიც გაფუჭებულ ბიულეტენს, ამომრჩევლის თანდასწრებით, ჩამოაჭრის კუთხეს, დააწერს „გაფუჭებულია" და ხელს მოაწერს. კომისიის მდივანი გაფუჭებულ ბიულეტენს ცალკე გადადებს.

- ✓ გადაეცით ამომრჩეველს ხელმოწერილი და ბეჭედდასმული ახალი საარჩევნო ბიულეტენი.

კენჭისყრის დამთავრების შემდეგ თქვენ შესაძლოა შეასრულოთ მთვლელის ფუნქცია ან სხვა დავალება კომისიის თავმჯდომარის მითითებით.

1. მუდმივად აკონტროლეთ საარჩევნო ყუთი და სპეციალური კონვერტები. არ დაუშვათ საარჩევნო ყუთთან ერთდროულად ერთზე მეტი ამომრჩევლის მისვლა;
2. დახურული გქონდეთ საარჩევნო ყუთის სპეციალური კონვერტის ჩასაგდები ჭრილი;
3. ფარული კენჭისყრის კაბინიდან გამოსვლის შემდეგ, მიუთითეთ ამომრჩეველს, აიღოს სპეციალური კონვერტი და ჩადოს მასში გადაკეცილი საარჩევნო ბიულეტენები (მხოლოდ ამომრჩეველს აქვს უფლება ბიულეტენები მოათავსოს სპეციალურ კონვერტში);
4. შეამოწმეთ, რომ საარჩევნო ყუთთან მისვლისას ამომრჩეველს ჰქონდეს მხოლოდ ერთი სპეციალური კონვერტი;
5. საარჩევნო ყუთში სპეციალური კონვერტის ჩაშვების შემდეგ, ამომრჩეველს მიუთითეთ გასასვლელისკენ. **ამომრჩეველი კენჭისყრის შენობაში შეიძლება იმყოფებოდეს მხოლოდ ხმის მიცემისთვის საჭირო დროის განმავლობაში.**

თქვენ ვალდებული ხართ მუდმივად აკონტროლოთ და ყურადღების გარეშე არ დატოვოთ საარჩევნო ყუთი. შეატყობინეთ კომისიის თავმჯდომარეს, როდესაც, აუცილებლობის შემთხვევაში, დააპირებთ კენჭისყრის შენობიდან გასვლას და სთხოვეთ მას დროებით დანიშნოს შემცვლელი.

თუ საარჩევნო ყუთის ლუქის მთლიანობა დარღვეული აღმოჩნდა დაუყოვნებლივ აცნობეთ კომისიის თავმჯდომარეს; კომისია უფლებამოსილია შეაჩეროს კენჭისყრის პროცესი საარჩევნო ყუთის ხელახლა დასალუქად; ამომრჩეველმა სპეციალური კონვერტი არ უნდა ჩაუშვას საარჩევნო ყუთში მანამ, სანამ კომისია ოფიციალურად არ გამოაცხადებს კენჭისყრის განახლებას.

კენჭისყრის დამთავრების შემდეგ თქვენ შესაძლოა შეასრულოთ მთვლელის ფუნქცია ან სხვა დავალება კომისიის თავმჯდომარის მითითებით.

1. განსაზღვრეთ გადასატანი საარჩევნო ყუთის მარშრუტი ამომრჩეველთა სიის დანართის მიხედვით;
2. აცნობეთ და გადაეცით გადასატანი საარჩევნო ყუთის მარშრუტი კომისიის თავმჯდომარეს;
3. შეამოწმეთ, გაქვთ თუ არა კომისიის თავმჯდომარის საკონტაქტო ტელეფონი. აცნობეთ თქვენი ტელეფონის ნომერი კომისიის თავმჯდომარეს;
4. შეამოწმეთ, ამომრჩეველთა ერთიანი ან სპეციალური სიებიდან გადაყვანილი ამომრჩევლების გასწვრივ გაკეთებული იყოს აღნიშვნა ამომრჩეველთა სიის დანართში გადაყვანის შესახებ, რაც დამოწმებული უნდა იყოს კომისიის თავმჯდომარისა და მდივნის ხელმოწერით.
5. სანამ დატოვებთ საარჩევნო უბანს, თქვენ მოვალე ხართ, შეამოწმოთ, გაქვთ თუ არა ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი ნივთი:
   - ✓ ამომრჩეველთა სიის დანართი;
   - ✓ ხელმოწერითა და ბეჭდით წინასწარ დამოწმებული საჭირო რაოდენობის საარჩევნო ბიულეტენები;
   - ✓ სპეციალური კონვერტები;
   - ✓ დალუქული გამჭვირვალე გადასატანი საარჩევნო ყუთი, რომელშიც უნდა იყოს მოთავსებული საკონტროლო ფურცელი;
   - ✓ სხვა მასალა (საწერი კალმები, საწერი ქაღალდები, არჩევნებში მონაწილე სუბიექტების ჩამონათვალი, საარჩევნო ბიულეტენის შევსების ინსტრუქცია, ამონარიდი კანონიდან ბიულეტენის ბათილობის შესახებ, წებვადი ლენტი „სკოტჩი“);
6. გადასატანი საარჩევნო ყუთის საშუალებით ხმის მიცემა:
   - ✓ გადასატანი საარჩევნო ყუთის საშუალებით ხმის მიცემა იწყება 9:00 საათიდან;
   - ✓ მოსთხოვეთ ამომრჩეველს, წარმოადგინოს პირადობის დამადასტურებელი საბუთებიდან ერთ-ერთი და შეადარეთ პირადი ნომერი:
     - ✓ საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა;
     - ✓ საქართველოს მოქალაქის პასპორტი;
   - ✓ გადაეცით ამომრჩეველს საარჩევნო ბიულეტენები;
     - ➢ თუ სიის დანართში შეყვანილი ამომრჩევლის რეგისტრაციის ადგილი არ განეკუთვნება მოცემულ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქს, გადაეცით მას მხოლოდ პროპორციული საარჩევნო ბიულეტენი.
   - ✓ სთხოვეთ ამომრჩეველს, დაადასტუროს საარჩევნო ბიულეტენების მიღება ამომრჩეველთა სიაში თავისი გვარის გასწვრივ ხელმოწერით;
   - ✓ ხელმოწერით დაადასტურეთ საარჩევნო ბიულეტენების გაცემა ამომრჩეველთა სიის დანართის შესაბამის გრაფაში;
   - ✓ ბიულეტენების შევსების შემდეგ, გადაეცით ამომრჩეველს ერთი სპეციალური კონვერტი და მიუთითეთ, ჩადოს მასში გადაკეცილი საარჩევნო ბიულეტენები (მხოლოდ ამომრჩეველს აქვს უფლება ბიულეტენები მოათავსოს სპეციალურ კონვერტში);
   - ✓ სთხოვეთ ამომრჩეველს, მოათავსოს სპეციალური კონვერტი გადასატან საარჩევნო ყუთში.

გაფუჭებული საარჩევნო ბიულეტენი

თუ ამომრჩეველს ან კომისიის წევრს გაუფუჭდა საარჩევნო ბიულეტენი კომისიის წევრმა:

- ✓ გაფუჭებულ ბიულეტენს ამომრჩევლის თანდასწრებით უნდა ჩამოაჭრას კუთხე;
- ✓ გაფუჭებულ ბიულეტენს უნდა დააწეროს „გაფუჭებულია“ და ცალკე შეინახოს;
- ✓ ამომრჩეველს უნდა გადასცეს ახალი საარჩევნო ბიულეტენი.

თქვენ ვალდებული ხართ, მუდმივად აკონტროლოთ გადასატანი საარჩევნო ყუთი. არ დატოვოთ გადასატანი საარჩევნო ყუთი ყურადღების გარეშე. იმ შემთხვევაში, თუ ვერ ახერხებთ გადასატანი საარჩევნო ყუთის თვალყურს, დროებით შეაჩერეთ კენჭისყრა, შეადგინეთ შესაბამისი ოქმი და ხელი მოაწერინეთ თანმხლებ პირებს.

თუ გადასატანი საარჩევნო ყუთის ლუქის მთლიანობა დარღვეული აღმოჩნდა:

- თუ შესაძლებელია, აცნობეთ კომისიის თავმჯდომარეს;
- შეადგინეთ შესაბამისი ოქმი და ხელი მოაწერინეთ თანმხლებ პირებს;
- დროებით შეაჩერეთ კენჭისყრის პროცესი გადასატანი საარჩევნო ყუთის ხელახალი დალუქვის მიზნით;
- საარჩევნო უბანში დაბრუნებისას კომისიის მდივანს აცნობეთ გადასატანი საარჩევნო ყუთის ლუქის მთლიანობის დარღვევის მიზეზი, ხელახალი დალუქვის დრო და გადაეცით ოქმი. ეს ინფორმაცია კომისიის მდივანს შეაქვს კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნში.

გადასატანი საარჩევნო ყუთის საშუალებით კენჭისყრის დამთავრება:

გადასატანი საარჩევნო ყუთის საშუალებით კენჭისყრა სრულდება 19:00 საათზე. კენჭისყრის დამთავრების შემდეგ, დალუქეთ გადასატან საარჩევნო ყუთში სპეციალური კონვერტის ჩასაგდები ჭრილი მასზე ქაღალდის და წებვადი ლენტის („სკოტჩის“) დაწებებით.

გადასატანი საარჩევნო ყუთი, საარჩევნო დოკუმენტაციასთან ერთად, დააბრუნეთ საარჩევნო უბანში არა უგვიანეს 20:00 საათისა.

გადასატანი საარჩევნო ყუთით ხმის მიცემისას დარჩენილი გამოუყენებელი ბიულეტენები და სპეციალური კონვერტები გადაეცემა კომისიის თავმჯდომარეს ან კომისიის მდივანს. თავმჯდომარე გამოუყენებელ საარჩევნო ბიულეტენებს ჩამოაჭრის კუთხეს, დააწერს „გაფუჭებულია“, ხელს მოაწერს და ცალკე შეინახავს.

კენჭისყრის დამთავრების შემდეგ თქვენ შესაძლოა შეასრულოთ მთვლელის ფუნქცია ან სხვა დავალება კომისიის თავმჯდომარის მითითებით.

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე

1. კენჭისყრის დაწყებიდან პირველი ერთი საათი მონიტორინგი გაუწიეთ კენჭისყრის პროცესს და დაეხმარეთ ამომრჩეველთა რეგისტრატორებს;
2. ყურადღება მიაქციეთ, არის თუ არა კენჭისყრის შენობაში ისეთი ამომრჩეველი, რომელსაც დამოუკიდებლად არ შეუძლია ბიულეტენის შევსება და შესაბამისად დაახმარეთ მას სხვა ამომრჩეველი;
3. შეენაცვლეთ (დროებით) კომისიის ნებისმიერ წევრს, მათ შორის, კომისიის თავმჯდომარეს და მდივანს, თუ ისინი აუცილებლობის შემთხვევაში ტოვებენ კენჭისყრის შენობას;
4. მოაწესრიგეთ ამომრჩეველთა მიერ კენჭისყრის პროცედურების თანმიმდევრობის დაცვა;
5. შეამოწმეთ, რომ კენჭისყრის შენობაში იმყოფებოდეს დამკვირვებელი ორგანიზაციების თითო და საარჩევნო სუბიექტის მხოლოდ ერთი წარმომადგენელი;
6. თვალყური ადევნეთ, რომ დამკვირვებლები, პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებისა და საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლები არ აჭარბებდნენ თავიანთ უფლებებს.

თქვენ შესაძლოა შეასრულოთ ნაკადის მომწესრიგებელის ფუნქცია, თუ კენჭისყრის დღეს წევრთა რაოდენობა შესასრულებელ ფუნქციებზე 2-ით ნაკლები აღმოჩნდა,

საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანი

1. შეამოწმეთ, რომ კომისიის თითოეულ წევრს ეკეთოს სამკერდე მოწმობა;
2. საარჩევნო უბნის გახსნისას კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნში მიუთითეთ:
   - ☐ კენჭისყრის შენობაში მყოფი კომისიის წევრების, დამკვირვებლების, წარმომადგენლების სახელი, გვარი, დამნიშვნელი სუბიექტი და ხელმოწერით დაამოწმებინეთ მათ (1-ლი და მე-2 გვერდები);
   - ☐ კომისიის წევრებს შორის ფუნქციების წილისყრით გადანაწილების შედეგად თითოეული კომისიის წევრის მიერ შესასრულებელი ფუნქცია (მე-3 გვერდი);
   - ☐ ემთხვევა თუ არა რეალურად მიღებული საარჩევნო ბიულეტენების, სპეციალური კონვერტების რაოდენობა მიღება-ჩაბარების აქტში აღნიშნულ რაოდენობას;
   - ☐ თითოეული რეგისტრატორისთვის წილისყრით გადაცემული რეგისტრატორის ბეჭდების კოდი (მე-3 გვერდი);
   - ☐ საარჩევნო ყუთების დალუქვის დრო; საარჩევნო ყუთების ლუქების ინდივიდუალური ნომრები; პირველი ამომრჩევლის სახელი, გვარი, რეგისტრაციის ადგილი, პირადობის მოწმობის ნომერი და პირადი ნომერი (მე-4 გვერდი);
3. კომისიის თავმჯდომარის მითითებით, კენჭისყრის დაწყებამდე, შეავსეთ კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმების პირველი და მე-5 გრაფები. აღნიშნული მონაცემები გადაიტანეთ კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნში (მე-6–მე-9 გვერდები) და სადემონსტრაციო ოქმებში;
4. 12:00 და 17:00 საათზე თითოეულ რეგისტრატორთან ერთად გადაითვალეთ ამომრჩეველთა სიებში კენჭისყრაში მონაწილე ამომრჩეველთა ხელმოწერების რაოდენობა და მათი ჯამი შეიტანეთ ჩანაწერთა წიგნში, შემაჯამებელ ოქმებსა და სადემონსტრაციო ოქმებში;
5. ჩანაწერთა წიგნის მე-4 გვერდზე აღნიშნეთ, რამდენი ბიულეტენი და სპეციალური კონვერტი გადაეცა გადასატანი საარჩევნო ყუთის თანმხლებ კომისიის წევრს;
6. კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნში აღნიშნეთ საარჩევნო ყუთების ხელახალი დალუქვის შემთხვევები დროის მითითებით;
7. კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნში ჩაიწერეთ კენჭისყრის შეჩერების ან შეწყვეტის მიზეზი, კენჭისყრის განახლების დრო (მე-10 ან/და მომდევნო გვერდები);
8. სარეგისტრაციო ჟურნალში და კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნში რეგისტრაციაში გაატარეთ ყველა შემოსული განცხადება (საჩივარი); ასევე აღნიშნეთ ხარვეზის გამოსასწორებლად მიცემული ვადა განმცხადებლის ვინაობის მითითებით და განმცხადებელთან ერთად ხელი მოაწერეთ;
9. კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნში აღნიშნეთ კომისიის წევრებს შორის მთვლელების ფუნქციების წილისყრით გადანაწილების შედეგები (მე-3 გვერდი);
10. კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნში ჩაიწერეთ ხმების დათვლის დროს კენჭისყრის შენობაში მყოფი პირების ვინაობა (მე-10 ან/და მომდევნო გვერდები);
11. მთვლელების მიერ ხმების დათვლის პროცედურების დამთავრების შემდეგ შეავსეთ კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმები;
12. ჩანაწერთა წიგნში მიუთითეთ ბათილი, სხვა საარჩევნო უბნისთვის განკუთვნილი ბიულეტენების რაოდენობა (ეს ინფორმაცია შეიტანება მხოლოდ ჩანაწერთა წიგნში);
13. ხელი მოაწერეთ კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმებს. თვალყური ადევნეთ, რომ კომისიის ყველა წევრმა ხელი მოაწეროს კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმებს, რომელიც შემდეგ უნდა დამოწმდეს კომისიის ბეჭდით;
14. თვალყური ადევნეთ, რომ კომისიის ყველა წევრმა ხელი მოაწეროს (თქვენი ჩათვლით) კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნს, რომელიც შემდეგ უნდა დამოწმდეს კომისიის ბეჭდით;
15. დახურეთ სარეგისტრაციო ჟურნალი და ჩანაწერთა წიგნი და ხელი მოაწერეთ;
16. თვალყური ადევნეთ, რომ კომისიის ყველა წევრმა ხელი მოაწეროს (თქვენი ჩათვლით) კომისიის ბეჭდის დალუქულ კონვერტს.

თუ კენჭისყრის დღეს კომისიის წევრთა რაოდენობა შესასრულებელ ფუნქციებზე 1-ით ნაკლები აღმოჩნდა, თქვენ შესაძლოა შეასრულოთ რეგისტრატორის ფუნქცია. ასეთ შემთხვევაში გადაეცით ჩანაწერთა წიგნი, სარეგისტრაციო ჟურნალი და კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმები კომისიის თავმჯდომარეს.

- ☐ გახსენით საარჩევნო უბანი 07:00 საათზე;
  - ✓ იმ შემთხვევაში, თუ საარჩევნო უბანში გამოცხადდა 5-ზე ნაკლები საუბნო საარჩევნო კომისიის წევრი, საარჩევნო უბანი არ იხსნება;
- ☐ გადაეცით მდივანს კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნი, სარეგისტრაციო ჟურნალი, კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმები და სადემონსტრაციო ოქმები;
- ☐ ხელმოწერით დაადასტურეთ საარჩევნო უბანში ყოფნა ჩანაწერთა წიგნში;
- ☐ მოსთხოვეთ დამკვირვებლებს, საარჩევნო სუბიექტების და პრესის და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების წარმომადგენლებს წარმოადგინონ სააკრედიტაციო მოწმობები (სამკერდე ნიშნები);
- ☐ შეამოწმეთ იმ კონვერტის მთლიანობა, რომელშიც მოთავსებულია საუბნო საარჩევნო კომისიის ბეჭედი და გახსენით ის;
- ☐ გაანალიზეთ კომისიის წევრების რაოდენობა და შესასრულებელი ფუნქციების რაოდენობა;
- ☐ ჩაატარეთ წილისყრა გადასატანი საარჩევნო ყუთის წამღები 2 კომისიის წევრის გამოსავლენად (მონაწილეობენ მხოლოდ პარტიების მიერ დანიშნული კომისიის წევრები);
- ☐ ჩაატარეთ წილისყრა საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა შორის ფუნქციების განაწილების მიზნით (თქვენ წილისყრაში მონაწილეობას არ იღებთ);
- ☐ გამოაცხადეთ ამომრჩეველთა რაოდენობა (1) ამომრჩეველთა ერთიან, (2) სპეციალურ სიებში და (3) ამომრჩეველთა სიის დანართში;
- ☐ შეამოწმეთ მიღებული საარჩევნო ბიულეტენების და სპეციალური კონვერტების პაკეტების მთლიანობა. მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, შეამოწმეთ და გამოაცხადეთ მიღებული საარჩევნო ბიულეტენების და სპეციალური კონვერტების რაოდენობა;
- ☐ შეამოწმეთ, რომ საარჩევნო ყუთები ცარიელია და დალუქეთ ძირითადი და გადასატანი საარჩევნო ყუთები ინდივიდუალური ნომრის მქონე ზონრებით (ზონრების ნომრები აცნობეთ მდივანს);
- ☐ გადაეცით საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანს სამი საკონტროლო ფურცელი შესავსებად; კომისიის ყველა წევრმა ხელი უნდა მოაწეროს საკონტროლო ფურცლებს;
- ☐ ანბანის მიხედვით გაანაწილეთ ამომრჩეველთა ერთიანი სია და გადაეცით რეგისტრატორებს;
  - ✓ გამოაკარით ამომრჩეველთა ანბანური თანმიმდევრობა თითოეულ სარეგისტრაციო მაგიდასთან (მაგიდაზე განლაგებული სიების შესაბამისად);
- ☐ გადაეცით ამომრჩეველთა სპეციალური სია ერთ-ერთ რეგისტრატორს;
- ☐ გადაეცით საარჩევნო ბიულეტენების თითო ბლოკნოტი რეგისტრატორებს (ხელი მოაწერეთ ბლოკნოტის თავფურცელზე);
- ☐ შეამოწმეთ იმ კონვერტის მთლიანობა, სადაც მოთავსებულია რეგისტრატორების სპეციალური ბეჭდები, ჩაატარეთ წილისყრა რეგისტრატორებისთვის სპეციალური ბეჭდის გადასაცემად და გადაეცით თითოეულ რეგისტრატორს სპეციალური ბეჭედი;
- ☐ გადაეცით მარკირების სითხე თითოეულ რეგისტრატორს;
- ☐ გადაეცით ნაკადის მომწესრიგებელს მარკირების შესამოწმებელი ულტრაიისფერი ფარანი;
- ☐ გადაეცით საარჩევნო ყუთის და კონვერტების ზედამხედველ კომისიის წევრს სპეციალური კონვერტები და ძირითადი საარჩევნო ყუთი;
- ☐ შეამოწმეთ, რომ ფარული კენჭისყრის კაბინა და საარჩევნო უბანი სათანადოდ იყოს მოწყობილი;
- ☐ პირველი ამომრჩევლის მოსვლის შემდეგ გადაამოწმეთ პირველი ამომრჩევლის რეგისტრაციის ადგილი მიეკუთვნება თუ არა მოცემული საარჩევნო უბნის საზღვრებს;

მიუთითეთ მდივანს შეიტანოს საკონტროლო ფურცელში პირველი ამომრჩევლის მონაცემები;

- ☐ მოათავსეთ საკონტროლო ფურცლები საარჩევნო ყუთებში; შეინახეთ მესამე საკონტროლო ფურცელი (საარჩევნო ყუთის გახსნამდე);
- ☐ 09:00 საათიდან დაავალეთ გადასატანი საარჩევნო ყუთის საშუალებით კენჭისყრის ჩატარება წილისყრით გამოვლენილ კომისიის 2 წევრს და გადაეცით საჭირო საარჩევნო დოკუმენტაცია/ინვენტარი;
- ☐ გადასატანი საარჩევნო ყუთით ხმის მიცემისას ავტომანქანის გამოყენების შემთხვევაში, ჩაატარეთ წილისყრა ორი მეთვალყურის გამოვლენის მიზნით, რომლებიც დაიკავებენ ავტომანქანაში გამოყოფილ ადგილებს;
- ☐ 12:00 და 17:00 საათისთვის კენჭისყრაში მონაწილე ამომრჩეველთა რაოდენობა აცნობეთ საოლქო საარჩევნო კომისიას;
- ☐ კონტროლი გაუწიეთ კენჭისყრის პროცესს და საჭიროების შემთხვევაში დაეხმარეთ ამომრჩეველთა რეგისტრატორებს;
- ☐ განიხილეთ შემოსული საჩივრები/განცხადებები; შესაძლებლობის ფარგლებში შეეცადეთ მოაგვაროთ პრობლემა;
- ☐ თუ ამომრჩეველს ან რეგისტრატორს გაუფუჭდათ საარჩევნო ბიულეტენი, გაფუჭებულ ბიულეტენს ამომრჩევლის თანდასწრებით ჩამოაჭერით კუთხე, დააწერეთ „გაფუჭებულია“ და ხელი მოაწერეთ. გაფუჭებული ბიულეტენი გადაეცით კომისიის მდივანს ცალკე შესანახად;
- ☐ ყურადღება მიაქციეთ, არის თუ არა კენჭისყრის შენობაში ისეთი ამომრჩეველი, რომელსაც დამოუკიდებლად არ შეუძლია ბიულეტენის შევსება;
- ☐ მოაწესრიგეთ ამომრჩეველთა მიერ კენჭისყრის პროცედურების თანმიმდევრობის დაცვა;
- ☐ თვალყური ადევნეთ, რომ დამკვირვებლები, პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებისა და საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლები არ აჭარბებდნენ თავიანთ უფლებებს;
- ☐ შეამოწმეთ, რომ კენჭისყრის შენობაში იმყოფებოდეს თითოეული ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის, საარჩევნო სუბიექტის მხოლოდ ერთი წარმომადგენელი;
- ☐ დაიცავით წესრიგი კენჭისყრის შენობაში; საჭიროების შემთხვევაში, წესრიგის დასაცავად მიმართეთ პოლიციის მუშაკს (რომელმაც კენჭისყრის შენობა წესრიგის დარღვევის აღკვეთისთანავე უნდა დატოვოს);
- ☐ თუ 20:00 საათისთვის რიგში დგას ამომრჩეველი, დაავალეთ კომისიის ერთ-ერთ წევრს ჩაიწეროს რიგში მდგომი ყველა ამომრჩევლის სახელი და გვარი.
- ☐ 20:00-ზე (თუ რიგში დგას ამომრჩეველი, ბოლო ამომრჩევლის მიერ ხმის მიცემის შემდეგ) გამოაცხადეთ, რომ კენჭისყრა დასრულებულია;
- ☐ უზრუნველყავით, რომ ყველა პირმა, ხმების დათვლისას კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირების გარდა, დატოვოს საარჩევნო უბანი;
- ☐ ჩაატარეთ წილისყრა მთვლელების გამოვლენის მიზნით (თქვენ წილისყრაში მონაწილეობას არ იღებთ);
- ☐ მიუთითეთ მთვლელებს დაითვალონ:
  - ✓ ამომრჩეველთა რაოდენობა ამომრჩეველთა სპეციალურ სიაში;
  - ✓ ამომრჩეველთა ხელმოწერების რაოდენობა;
  - ✓ გამოუყენებელი საარჩევნო ბიულეტენები;
  - ✓ გაფუჭებული საარჩევნო ბიულეტენები;
- ☐ ხმამაღლა გამოაცხადეთ ოქმში შესული ყველა მონაცემი;
- ☐ მიუთითეთ მთვლელებს შეკრან და დალუქონ:
  - ➢ ამომრჩეველთა სიები (ცალ-ცალკე);
  - ➢ გამოუყენებელი საარჩევნო ბიულეტენები;

- გაფუჭებული საარჩევნო ბიულეტენები;

- ☐ მთვლელებთან ერთად ხელი მოაწერეთ დალუქულ კონვერტებს;
- ☐ შეამოწმეთ შეესაბამება თუ არა გადასატანი საარჩევნო ყუთის ლუქის ზონრების ნომრები ჩანაწერთა წიგნში მითითებულ ნომრებს;
- ☐ მიუთითეთ მთვლელებს გახსნან გადასატანი საარჩევნო ყუთი; შეადარეთ გადასატან საარჩევნო ყუთში აღმოჩენილი საკონტროლო ფურცელი შენახულ საკონტროლო ფურცელს;
- ☐ მიუთითეთ მთვლელებს დაითვალონ გადასატან საარჩევნო ყუთში აღმოჩენილი კონვერტების რაოდენობა და შეადარეთ ამომრჩეველთა სიის დანართში ხელმოწერების რაოდენობას;
- ☐ შეამოწმეთ შეესაბამება თუ არა ძირითადი საარჩევნო ყუთის ლუქის ზონრების ნომრები ჩანაწერთა წიგნში მითითებულ ნომრებს;
- ☐ მიუთითეთ მთვლელებს გახსნან ძირითადი საარჩევნო ყუთი; შეადარეთ გადასატან საარჩევნო ყუთში აღმოჩენილი საკონტროლო ფურცელი შენახულ საკონტროლო ფურცელს;
- ☐ მიუთითეთ მთვლელებს შეურიონ გადასატანი და ძირითადი საარჩევნო ყუთებიდან გადმოყრილი კონვერტები და დაიწყონ დახარისხება;
- ☐ აკონტროლეთ ბიულეტენების დახარისხების პროცესი და ბიულეტენის ბათილობის შემთხვევები;
- ☐ ბიულეტენების დახარისხების დასრულების შემდეგ კომისიის წევრებთან ერთად კენჭისყრით გადაწყვიტეთ საეჭვოდ მიჩნეული ბიულეტენების ნამდვილობის/ბათილობის საკითხი;
- ☐ ბიულეტენების დახარისხების შემდეგ მიუთითეთ მთვლელებს დაითვალონ:
  - ✓ ბათილი საარჩევნო ბიულეტენები;
  - ✓ თითოეული საარჩევნო სუბიექტის მიერ მიღებული ხმები/საარჩევნო ბიულეტენები;
- ☐ მიუთითეთ მდივანს შეავსოს ოქმები;
- ☐ საჭიროების შემთხვევაში, მიუთითეთ მთვლელებს გადაითვალონ ზემოთ ჩამოთვლილი საარჩევნო დოკუმენტაცია;
- ☐ ბიულეტენების დახარისხების შემდეგ მიუთითეთ მთვლელებს შეკრან და დალუქონ:
  - ✓ ბათილი საარჩევნო ბიულეტენები; ცალკე ილუქება ბათილი, სხვა საარჩევნო უბნისთვის განკუთვნილი ბიულეტენი;
  - ✓ თითოეული საარჩევნო სუბიექტის მიერ მიღებული საარჩევნო ბიულეტენები;
- ☐ მთვლელებთან ერთად ხელი მოაწერეთ დალუქულ კონვერტებს;
- ☐ მიუთითეთ კომისიის ყველა წევრს, ხელი მოაწეროს კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმს;
- ☐ დაუსვით კომისიის ბეჭედი ოქმებს;
- ☐ მოთხოვნის შემთხვევაში გადაეცით ოქმის ქსეროასლი პარტიის/საარჩევნო ბლოკის წარმომადგენლებს და დამკვირვებელი ორგანიზაციის დამკვირვებლებს; საუბნო საარჩევნო კომისიის ბეჭდით და ხელმოწერით (ასევე მდივნის ხელმოწერით) დაამოწმეთ ქსეროასლი;
- ☐ მიუთითეთ მთვლელებს დალუქონ დარჩენილი საარჩევნო დოკუმენტაცია;
- ☐ წილისყრით გამოვლენილ კომისიის 2 წევრთან ერთად გადაეცით დალუქული საარჩევნო დოკუმენტაცია საოლქო საარჩევნო კომისიას.

თქვენ შესაძლოა შეასრულოთ საარჩევნო ყუთისა და სპეცკონვერტების ზედამხედველის ფუნქცია, თუ კენჭისყრის დღეს კომისიის წევრთა რაოდენობა შესასრულებელ ფუნქციებზე 3-ით ნაკლები აღმოჩნდა.

თავი XXIV. საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევისთვის დადგენილი პასუხისმგებლობა

ამონარიდი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსიდან

საარჩევნო კოდექსი, მუხლი 162. არჩევნებში, რეფერენდუმში ან პლებისციტში ნების განხორციელებისათვის ხელის შეშლა

1. არჩევნებში, რეფერენდუმში ან პლებისციტში ნების განხორციელებისათვის ხელის შეშლა, - ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე ან თავისუფლების შეზღუდვით ვადით ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით იმავე ვადით.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი:

ა) სამსახურებრივი მდგომარეობის ან იარაღის გამოყენებით;

ბ) მოტყუებით;

გ) ძალადობით ან ძალადობის მუქარით;

დ) ჯგუფურად, - ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან სამ წლამდე.

საარჩევნო კოდექსი, მუხლი 163. საარჩევნო ან სარეფერენდუმო კომისიის მუშაობისათვის ხელის შეშლა

საარჩევნო ან სარეფერენდუმო კომისიის მუშაობისათვის ხელის შეშლა, რამაც არჩევნების, რეფერენდუმის ან პლებისციტის ანდა საარჩევნო უბანში ხმის მიცემის პროცესის ჩაშლა გამოიწვია, - ისჯება გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ოთხ წლამდე.

საარჩევნო კოდექსი, მუხლი 164. ხმის მიცემის ფარულობის დარღვევა, ხმების არასწორად დათვლა ან არჩევნების შედეგების არასწორად შეჯამება

არჩევნებში, რეფერენდუმში ან პლებისციტში მონაწილის ხმის მიცემის ფარულობის დარღვევა, საარჩევნო ან სარეფერენდუმო კომისიის წევრის ან ასეთ კომისიაში რწმუნებულად ან მეთვალყურედ დანიშნულის მიერ საარჩევნო, სარეფერენდუმო ან საპლებისციტო დოკუმენტის გაყალბება, ხმების განზრახ არასწორად დათვლა, არჩევნების შედეგების განზრახ არასწორად შეჯამება ანდა რეფერენდუმის ან პლებისციტის შედეგების განზრახ არასწორად დადგენა, - ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე.

საარჩევნო კოდექსი, მუხლი 164[1]. ამომრჩევლის მოსყიდვა

არჩევნების დანიშვნის შესახებ შესაბამისი სამართლებრივი აქტის გამოქვეყნებიდან არჩევნების საბოლოო შედეგების გამოქვეყნებამდე ამომრჩევლისათვის ფულადი სახსრების, საჩუქრებისა და სხვა მატერიალური ფასეულობების უსასყიდლოდ ან შეღავათიან ფასებში გადაცემა ან მიყიდვა, უფასო მომსახურების გაწევა ან ფულადი სახსრების, ფასიანი ქაღალდებისა და სხვა მატერიალურ ფასეულობათა გადაცემის დაპირება რომელიმე საარჩევნო სუბიექტის მხარდაჭერის ან არჩევნებში ხმის მიცემისგან თავის შეკავების მიზნით, გარდა საარჩევნო კოდექსით გათვალისწინებული სააგიტაციო მასალისა, –

-ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე.

საარჩევნო კოდექსი, მუხლი 164[2]. ყალბი დოკუმენტის საფუძველზე არჩევნებში, რეფერენდუმში ან პლებისციტში მონაწილეობის მიღება

არჩევნების, რეფერენდუმის ან პლებისციტის დროს სხვისი პიროვნების დამადასტურებელი დოკუმენტის ან ყალბი დოკუმენტის საფუძველზე ან არაერთგზის ხმის მიცემა, - ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე.

საარჩევნო კოდექსი, მუხლი 164[3]. არჩევნების გაყალბება

არჩევნებთან დაკავშირებული დოკუმენტების: საარჩევნო სიების, ოქმების, ბიულეტენების, სარეგისტრაციო ჟურნალების და საკონტროლო ფურცლების განზრახ გაყალბება, - ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე.

საარჩევნო კოდექსი, მუხლი 174[3]. საარჩევნო კომისიაში მუშაობაში ჩარევა არჩევნების, რეფერენდუმის ან პლებისციტის ჩატარების დროს

საარჩევნო კომისიების მუშაობაში ჩარევა არჩევნების, რეფერენდუმის ან პლებისციტის ჩატარების დროს, რაც გამოიხატება საარჩევნო უბნებში ხმის მიცემის, პარლამენტის ან სხვა წარმომადგენლობითი ორგანოს წევრობის კანდიდატის, პარტიის ან რეფერენდუმის მოწყობის საინიციატივო ჯგუფის რეგისტრაციის, საარჩევნო უბნებსა და ოლქებში ხმების დათვლისა და არჩევნების, რეფერენდუმის ან პლებისციტის საერთო შედეგების დადგენასთან დაკავშირებული მოვალეობის შესრულებისათვის ხელის შეშლაში, - გამოიწვევს მოქალაქეთა დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ერთიდან სამ მინიმალურ ოდენობამდე, თანამდებობის პირთა – შრომის ანაზღაურების ორიდან ოთხ მინიმალურ ოდენობამდე.

საარჩევნო კოდექსი, მუხლი 174[4]. საარჩევნო სარეფერენდუმო ან საპლებისციტო კომისიებისათვის მასალების წარდგენაზე უარის თქმა ან მათი გადაწყვეტილების შეუსრულებლობა

საარჩევნო სარეფერენდუმო ან საპლებისციტო კომისიებისათვის საჭირო მასალების და მონაცემების წარდგენაზე უარის თქმა ან მათი გადაწყვეტილების შეუსრულებლობა, - გამოიწვევს თანამდებობის პირთა დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ორიდან ხუთ მინიმალურ ოდენობამდე.

საარჩევნო კოდექსი, მუხლი 174[5]. აგიტაციის გაწევა არჩევნების, რეფერენდუმის ან პლებისციტის დღეს

არჩევნების, რეფერენდუმის ან პლებისციტის დღეს პარლამენტის ან სხვა წარმომადგენლობითი ორგანოს წევრობის კანდიდატისა და არჩევნებში მონაწილე პარტიის, რეფერენდუმზე ან პლებისციტზე გამოტანილი საკითხის სასარგებლოდ ან წინააღმდეგ აგიტაციის გაწევა, - გამოიწვევს მოქალაქეთა დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ერთიდან სამ მინიმალურ ოდენობამდე, თანამდებობის პირთა – შრომის ანაზღაურების ორიდან ოთხ მინიმალურ ოდენობამდე.

საარჩევნო კოდექსი, მუხლი 174[6]. წინასაარჩევნო აგიტაციის ან ხმის მიცემისათვის გამოყოფილ ადგილებში იარაღით მისვლა

წინასაარჩევნო აგიტაციის ან ხმის მიცემისათვის გამოყოფილ ადგილას ცეცხლსასროლი ან ცივი იარაღით, ანდა საბრძოლო მასალით მისვლა, თუ ეს დაკავშირებული არ არის სამსახურებრივი მოვალეობის აღსრულებასთან, - გამოიწვევს მოქალაქეთა დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ერთიდა სამ მინიმალურ ოდენობამდე, თანამდებობის პირთა – შრომის ანაზღაურების ორიდან ხუთ მინიმალურ ოდენობამდე.

დანართი №1

კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის ნიმუში

საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმი

№ ____ _____ საარჩევნო ოლქი № ____ საარჩევნო უბანი ☐☐☐☐ **მიმაგრებული სპეციალური უბნების N_____**

(საარჩევნო ოლქის დასახელება)

1	ერთიან სიაში ამომრჩეველთა რაოდენობა	☐☐☐☐
2	სპეციალურ სიაში ამომრჩეველთა რაოდენობა	☐☐☐☐
3	არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა ხელმოწერების რაოდენობა ყველა სახის ამომრჩეველთა სიაში ა) 12:00 საათისთვის ☐☐☐☐ | ბ) 17:00 საათისთვის	☐☐☐☐
4	კენჭისყრაში მონაწილე ამომრჩეველთა რაოდენობა (ხელმოწერების ჯამი ყველა სახის სიაში)	☐☐☐☐
5	მიღებული საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობა	☐☐☐☐
6	გამოუყენებელი საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობა	☐☐☐☐
7	გაფუჭებული საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობა	☐☐☐☐

მიცემულ ხმათა რაოდენობა

1	☐☐☐☐
2	☐☐☐☐
3	☐☐☐☐
4	☐☐☐☐
5	☐☐☐☐
6	☐☐☐☐
7	☐☐☐☐
8	☐☐☐☐
9	☐☐☐☐
10	☐☐☐☐
11	☐☐☐☐
12	☐☐☐☐
8	ბათილად მიჩნეული საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობა ☐☐☐☐

რეგისტრატორების ბეჭდების ნომრები: ☐☐☐☐☐, ☐☐☐☐☐, ☐☐☐☐☐, ☐☐☐☐☐, ☐☐☐☐☐

_____ / _____ (თავმჯდომარე) _____ / _____ (თავმჯდომარის მოადგილე)

_____ / _____ (მდივანი) ბ.ა. წევრები: _____ / _____

_____ / _____ _____ / _____ _____ / _____

_____ / _____ _____ / _____ _____ / _____

_____ / _____ _____ / _____ _____ / _____

შედგენის თარიღი - „___"_____ 200_წ., დრო: ___ საათი ___ წუთი, კომისიის ბეჭდის ნომერი ☐☐☐☐

№	ოქმის მონაცემების გრაფა, რომელსაც არ ეთანხმება კომისიის წევრი	კომისიის წევრის სახელი და გვარი	კომისიის წევრის ხელმოწერა

განსხვავებული აზრი

სარეგისტრაციო № _____, რეგისტრაციის თარიღი ____ _____ 200 __ წ., დრო: ___ საათი ___ წუთი

დანართი №2

შესწორების ოქმი

საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმში შესწორების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის "საარჩევნო კოდექსი" 51[1]-ე საარჩევნო კოდექსი, მუხლის მე-31 პუნქტის თანახმად საოლქო საარჩევნო კომისიის **კენჭისყრის** შედეგების შემაჯამებელ ოქმში შეტანილია შემდეგი შესწორებები გრაფაში:

№ ___ – ნაცვლად რიცხვისა _____ უნდა ეწეროს რიცხვი _____;
№ ___ – ნაცვლად რიცხვისა _____ უნდა ეწეროს რიცხვი _____;
№ ___ – ნაცვლად რიცხვისა _____ უნდა ეწეროს რიცხვი _____;
№ ___ – ნაცვლად რიცხვისა _____ უნდა ეწეროს რიცხვი _____;
№ ___ – ნაცვლად რიცხვისა _____ უნდა ეწეროს რიცხვი _____;
№ ___ – ნაცვლად რიცხვისა _____ უნდა ეწეროს რიცხვი _____;
№ ___ – ნაცვლად რიცხვისა _____ უნდა ეწეროს რიცხვი _____;
№ ___ – ნაცვლად რიცხვისა _____ უნდა ეწეროს რიცხვი _____;
„მიცემულ ხმათა რაოდენობა“
_____ გასწვრივ – ნაცვლად რიცხვისა _____ უნდა ეწეროს რიცხვი _____;
(სუბიექტის დასახელება)
_____ გასწვრივ – ნაცვლად რიცხვისა _____ უნდა ეწეროს რიცხვი _____;
(სუბიექტის დასახელება)
_____ გასწვრივ – ნაცვლად რიცხვისა _____ უნდა ეწეროს რიცხვი _____;
(სუბიექტის დასახელება)
_____ გასწვრივ – ნაცვლად რიცხვისა _____ უნდა ეწეროს რიცხვი _____;
(სუბიექტის დასახელება)
_____ გასწვრივ – ნაცვლად რიცხვისა _____ უნდა ეწეროს რიცხვი _____;
(სუბიექტის დასახელება)
_____ გასწვრივ – ნაცვლად რიცხვისა _____ უნდა ეწეროს რიცხვი _____;
(სუბიექტის დასახელება)
_____ გასწვრივ – ნაცვლად რიცხვისა _____ უნდა ეწეროს რიცხვი _____;
(სუბიექტის დასახელება)

კომისიის თავმჯდომარე _____ / _____ /
(სახელი, გვარი)
თავმჯდომარის მოადგილე _____ / _____ / **ბ.ა.**
(სახელი, გვარი)
კომისიის მდივანი _____ / _____ /
(სახელი, გვარი)

წევრები:

_____ /_____ / _____ /_____ /
(სახელი, გვარი) (სახელი, გვარი)
_____ /_____ / _____ /_____ /
(სახელი, გვარი) (სახელი, გვარი)
_____ /_____ / _____ /_____ /
(სახელი, გვარი) (სახელი, გვარი)
_____ /_____ / _____ /_____ /
(სახელი, გვარი) (სახელი, გვარი)
_____ /_____ / _____ /_____ /
(სახელი, გვარი) (სახელი, გვარი)

200_ წლის __ _____ , ___ სთ. ___ წთ.

სარეგისტრაციო № _____ რეგისტრაციის თარიღი “___”_____200_ წელი